ეროვნული ბიბლიოთეკა


# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№14 (579) ◆ 3 – 9 აპრილი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


### „პრემიერ-მინისტრი დამალობანას თამაშობს და ფიქრობს, რომ ამით გადარჩება“

გვ.5,15



„პირდაპირ გელაშვილს რომ მიადგნენ, რატომ არ იძიებენ ჩხარტიშვილის ან ბეჟუაშვილის ბიზნესინტერესებს?“

„აქცია ჩავატაროთ და ვინც რომელი ქვეყნის აგენტია, იმ ქვეყნის დროშით გამოვიდეს“

### ქართულ-ავსტრიული სკანდალი გრძელდება



„პოლიტიკური უმეცრებაა, ავსტრიელ ბიზნესმენებს საქართველოში ექაჩებოდე და ამავე დროს, ცნობილ ავსტრიულ კომპანიასთან სასამართლოში გქონდეს დავა“.

გვ.5

ნოღაიდელს პასუხს სთხოვენ...




ავსტრიული ჟურნალები საქართველოზე...

### მარჩენალი ძროხა უნდა მოწველო, მაგრამ არა ისე, რომ ცური მოაგლიჯო

კარლმა ვერ მოითმინა და ავსტრიაში შეხვედრაზე განაცხადა, ჩემი ფეხით ჩამოვედი და წამოსვლა მაიძულეთ. ახლა სხვებს რატომღა ეხვეწებით, გინდათ მათაც ჩემი ბედი გაიზიარონო?..



...შევარდნაძის მმართველობის დროსაც ასე ხდებოდა – საკმარისი იყო, პატარკაციშვილს ჟვანიას ან მემარჯვენეების სასარგებლოდ გაეკეთებინა რამე, რომ მაშინდელი პრეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობებზე იწყებდა საუბარს. ზუსტად ძნელია ყველა დეტალის გარჩევა, რაშია მართალი ან რაში ტყუის ბადრი პატარკაციშვილი. მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია – ბიზნესი მხოლოდ იმისთვის არ არსებობს, რომ გადასახადები იხადონ...

გვ.3

### „გიგა ბოკერია დღევანდელი ლუი მეთოთხმეტეა“

გვ.7

„ერთადერთი გამოსავალი – უნდა მოხსნას ყველაზე მაღალი ფენა“

**ექსკლუზივი**

### სოხუმში ანტირუსული პროკლამაციები გაჩნდა

გვ.11

**ეკონომიკა**

გვ.27

### პირველი მაისიდან გაზი და ელექტროენერგია ძვირდება



### ვინ შეიტანა ციხეში იარაღი?

გვ.14,31



„ქურდებმა ციხის ადმინისტრაციას სალუდეთ აკრძალული ზონა შემოუხაზეს, გუშაგებს დღეში 5-5 ლარს უხდიდნენ, თქვენი ჭირიმეთ, სამსახური არ გააცდინოთო.

...ციხის ადმინისტრაცია უფრო მასშტაბურ ამბოხს უნდა ელოდოს.“

### „ამბობენ, საქართველოში რაღაცები იყიდაო, რა ვიყიდე“...

„ჩემი ნაყიდი და ნათესავებზე გაფორმებული ქონებაც თუ იპოვეს, ისიც მათი იყოს“

„ყოველ დილით ავდივარ მყინვარწვერზე, დელტაპლანით მოვფრინავ თბილისში და სამსახურშიც ამიტომ მაგვიანდება ხოლმე“

გვ.6




**ევრიკა**

### „ექვი გვიჩნდება, მშობიარობის გაიოლება ექიმთა უმრავლესობას ხელს არ აძლევს“

გვ.29

– ამ სავარძლის მედიცინაში დანერგვით შემცირდება მშობიარობის დროს ქირურგიული ჩარევის აუცილებლობა, საკეისრო ოპერაციები... მშობიარობა შეიძლება გაიაფდეს კიდეც(!).

„ცნობილ სათნოებათაგან ერთ-ერთი – პატიმრის მონახულებაა“

„არც ერთ ქურდს არ უნდა თავისი შვილი მის გზას გაჰყვეს“



გვ.31

STANDARD BANK
სტანდარტ ბანკი

სტანდარტ ბანკი აცხადებს მიღებას პერსონალური ბანკირისა და საკრედიტო მენეჯერის თანამდებობებზე

გვ.8

### „გასტოცხლებული სახარება“

გვ.18

უფლის გზაზე სიარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა...

## ვიხაროთ ხარების სიხარულით!

# როდესაც გარეთ ისედაც ძალიან ცხელა, ოთახში ღუმელს მხოლოდ სულელები ანთებენ



## „ბიზნესმენობა ან ყველასთვის შეიძლებოდეს, ან ყველასთვის აკრძალული იყოს“

## „თუ დაიწყო ანონიმური დაბეზღებები, რას აპირებენ?“

გასულ კვირაში, რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უდავოდ, ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგან რუსული ბაზების გაყვანასთან ერთად რეალურად შესუსტდება კრემლის გავლენა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც. თუმცა, ამ ფაქტის გამო თავის დამშვიდება და ნაადრევი სიხარული ჯერ არ ღირს. მოსკოვს საქართველოში მშვიდობაზე ზემოქმედების გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და ეფექტიანი საშუალებები აქვს, ვიდრე ჯარისკაცი და ზარბაზანი შეიძლება იყოს. ბაზების გაყვანის საბოლოო ვადის, 2008 წლის მოახლოებასთან ერთად, უფრო და უფრო საშიში ხდება პოლიტიკური „თამაშები“ საქართველოში და შესაბამისად, ქართველ პოლიტიკოსებსაც როგორც ოპოზიციაში, ისე ხელისუფლებაში, გაცილებით უფრო მეტი პასუხისმგებლობის გამოჩენა მართებთ — პასუხისმგებლობის გამოჩენა და არა ყველაფრის მოწინააღმდეგე მხარისთვის გადაბრალება. მგლის შიშით ფარა არავის გაუწყვეტია და ბუნებრივია, რუსეთის ფაქტორის არსებობამ საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა გაუჩინოს არც განცდა და არც ცდუნება იმისა, რომ ფორს-მაჟორულ ვითარებაში ნებისმიერი შეცდომა ეპატიება, ან ოპოზიციის მხრიდან გამოთქმულ შენიშვნებსა თუ კრიტიკას საზოგადოება ღალატად შეაფასებს. შესაძლებელია, რიგ შემთხვევებში ოპოზიციის მოქმედება არასწორი ან არაეთიკური იყოს. მაგალითად, როდესაც მოქმედი დეპუტატი მოქმედ პრეზიდენტს პირდაპირ ეთერში პირდაპირ ლანძღავს — თუნდაც, საამისო მოტივაცია ჰქონდეს. ძალზე მარტივია, როდესაც ზღვაზე შტორმია, ეკიპაჟმა გემის გადარჩენაზე უნდა იფიქროს და არა ერთმანეთის ანგარიშსწორებაზე, მაგრამ გამუდმებული აპელირება იმაზე, რომ ყველაფერს რუსეთი მართავს, რომ არეულობა და დესტაბილიზაცია კრემლის ინტერესებსა და გეგმებში შედის, შპიონაჟის „კვირეულის“ გამოცხადება და სხვა მრავალი თავის მართლებანი თეთრით ნაკერი შავი პიარია და სხვა არაფერი. ვისთვის სამწუხაროდ და ვისთვის სასიხარულოდ, საზოგადოებრივი თვალსაწიერიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, რა არის უცხოური სპეცსამსახურების შედეგი და რა ჩინოვნიკთა არაპროფესიონალიზმის, ზოგჯერ კი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ბრალი. ბუნებრივია, სოციალური ფონისა და მოსახლეობის შემზადების გარეშე სალაროაპარატების შემოღებას საპარლამენტო უმრავლესობას რუსეთის ფედერალური უშიშროება ვერ აიძულებდა. შესაძლებელია, ჩრდილოეთის სპეცსამსახურებს ჰქონდეს კიდეც ქართულ კრიმინალურ წრეებთან კავშირი და არც ის არის სადავო, რომ ქურდული ინსტიტუტი ის მეტასტაზია, რომელიც თაობიდან თაობას მომაკვდინებელ საზოგადოებრივ სენად გადაეცემა, მაგრამ შეუძლებელია, რუსულ სპეცსამსახურებს ციხისთავ ახალაიასთვის პატიმრების სასტიკი ცემა ეიძულებინათ — ამ უკანასკნელ ფაქტს კი თვით სახალხო დამცველიც აღიარებს(!). ნაკლებ დასაჯერებელია, მაგრამ მაინც დასაშვებია, რომ ამის შემდეგ ციხეში ბუნტი გარეშე ძალებს მოეწყოთ. მაგრამ ცეცხლგამჩენ ტყვიებს, იუსტიციის სამინისტროს მიერვე გავრცელებულ ტელეკადრებში რომ ჩანდა, პატიმრებს არა რუსული, არამედ ქართული სპეცრაზმი უშენდა. ქართული პოლიცია აგინებდა და შეურაცხყოფდა ციხესთან მისულ ქალებს, რომლებიც მართალია პატიმრების, მაგრამ მაინც დედები არიან. მსოფლიოში კი ჯერ არ გამოსულა ისეთი კანონი, დედებს რომ შვილის სიყვარულს (ამ შემთხვევაში მისი დაცვის სურვილს) უკრძალავდეს; თანაც მაშინ, როდესაც მის შვილს (თუნდაც ის მძარცველი, ნარკომოვაჭრე ან ყაჩაღი იყოს) დახურულ საკანში ავტომატებით და რკინის კეტებით სცემენ. ცივილიზებულ და თავმოყვარე ქვეყნებში საკუთარი საზოგადოების აზრს უფრო მეტ პატივს სცემენ, ვიდრე ნებისმიერი ზესახელმწიფოს ან საერთაშორისო საზოგადოებისას. მაგრამ ჩვენთან ხომ ყველაფერი პირიქითაა და როდესაც ეუთო თბილისის ციხეში მომხდარზე შეშფოთებას ბრიუსელიდან გამოთქვამს, მაშინ მაინც არ უნდა გამოვიდეს გამარჯვებული სახით ხელისუფლება და რამდენიმე ათასი სხვადასხვა დანაშაულისთვის გასამართლებული პატიმარი ერთნაირ კაციჭამიად და მკვლელად არ უნდა გამოაცხადოს... ფანტასტიკის სფეროა, მაგრამ დავუშვათ, დეპუტატ ვალერი გელაშვილს ძვალ-რბილი რუსეთის სპესამსახურებმა გაუერთიანეს და ძარცვის იმიტაციისთვის მისი მანქანიდან ერთი ტომარა „პედიგრი“ (ძაღლის საკვები) გაიტაცეს. ამ საქმის გამოძიება ხომ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. სანაცვლოდ, ბიზნესმენობის მოტივით იგივე გელაშვილი პარლამენტიდან უმრავლესობამ გააძევა და არა რუსეთის უშიშროებამ. არადა, იმავე უმრავლესობის წევრები პირდაპირ თუ ირიბად, ლუდის ჩამოსხმითა და ჰიგიენური საფენების გამოშვებით არიან დაკავებული. როდესაც გარეთ ისედაც ძალიან ცხელა, ოთახში ღუმელს მხოლოდ სულელები ანთებენ. მეზობელი რუსეთის „დახმარებით“ საქართველოს პრობლემები ისედაც თავსაყრელი ექნება და მათი რაოდენობა თუ სიმწვავე უფრო და უფრო გაიზრდება. ჯერ არავინ იცის, კახეთის რეგიონში რა შეიძლება მოჰყვეს ღვინის ემბარგოს, რომელიც რუსეთმა უხარისხობის მოტივით დაგვიწესა. ქართული ღვინის ხარისხიანობის დასამტკიცებლად სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სინჯები შვეიცარიისა და საფრანგეთის ალტერნატიულ ლაბორატორიებში გადაგზავნა. საეჭვოა, ლაბორატორიულმა პასუხმა კრემლის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს. სხვათა შორის, „ემბარგოს“ ანალოგები ქართულ სინამდვილეშიც მოიძებნება — „კვირის პალიტრა“ ერთ-ერთ წინა ნომერში წერდა, როგორ აიკრძალა ავსტრიული ძეხვის იმპორტი უხარისხობის მოტივით. თუმცა იმავე სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საქართველოში ჩამოსულ ავსტრიელ ექსპერტებს უარი ალტერნატიულ ანალიზზე მხოლოდ იმიტომ უთხრა, რომ ეს ვილაცის ინტერესებში არ შედის... ამ ორ მოვლენას შორის კავშირი კი იმაში მდგომარეობს, რომ ავსტრიელებისთვის ძეხვი ისეთივე ეროვნული პროდუქტია, როგორიც ღვინო ქართველებისთვის და როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, მხოლოდ საქართველო დაზარალდება. მეტიც, თუ ასე გაგრძელდა, ავსტრიისგან განსხვავებით, საქართველოს არჩევანის გაკეთება მოუწევს ღვინოსა და სახელმწიფოებრიობას შორის... როდესაც მტერთან ომობ, მოკავშირეს კარები არ უნდა აუჭედო! ვენაში, ალტერნატიული ინვესტიციების მოსაძიებლად ჩასულ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა პრეტენზიად სწორედ აღნიშნული საქმე წაუყენა... საეჭვოა, ამ საქმეშიც რუსეთის სპეცსამსახურები ყოფილიყვნენ გარეული. როდესაც რუსეთთან ურთიერთობაში დამდგარ ისტორიულ ფაზას ვახსენებთ, თავად ისტორია არ უნდა დაგვავიწყდეს — მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოს საკმარისი რესურსი ჰქონდა საიმისოდ, რომ ეკონომიკა ფეხზე დამდგარიყო და ქვეყანა დამოუკიდებლად განვითარებულიყო. მაგრამ იმის გამო, რომ დიდსა და პატარას მეფობა სურდა, შინაპოლიტიკურმა დაპირისპირებებმა ჯერ ოსმალეთისა და სპარსების სათარეშოდ გვაქცია, შემდეგ კი რუსეთის შემყურედ. ყოველგვარი მომზადების გარეშე საქართველომ მაშინ ბეწვის ხიდზე გავლა გადაწყვიტა და აკი, ჩავარდა კიდეც... ამ საბედისწერო ბეწვის ხიდთან დღესაც ძალზე ახლოს ვართ და სანამ გაპარტახებულ და ძალაგამოცლილ ქვეყანას ზედ შევაგდებდეთ, გავიხსენოთ, რომ საქართველოს ჩრდილი გვეცემა ყველას — პარლამენტსაც, ფინანსურ პოლიციასაც და გარემოვაჭრესაც, „ბე-ემ-ვეს“ ბოლო მარკის ლიმუზინშიც და ეკლესიასთან, სამათხოვროდ მსხდომთაც. სამშობლო ყველას ერთნაირად დაექცევა. ისტორიას ამის მაგალითებიც ახსოვს და როგორც წესი, ქარტეხილებს საქართველოსთან ერთად უბრალო ხალხი ეწირება ხოლმე, რადგან ბიზნესმენ-პოლიტიკოსთაგან რუსეთის მომხრენი რუსეთში გარბიან, ევროპა-ამერიკისა კი „ცივილიზებულ დასავლეთში“.

საქართველოსა და მის გარშემო მიმდინარე საერთაშორისო მოვლენებზე ამჯერად პოლიტოლოგ **სოსო ცინცაძესთან** ვისაუბრებთ:

**— ვალერი გელაშვილის საპარლამენტო უფლებამოსილების შეჩერებამ დიდი საზოგადოებრივი ვნებათაღელვა და ოპოზიციის დემარში გამოიწვია. გელაშვილის მომხრენი აცხადებენ, რომ უმრავლესობამ გადაწყვეტილება უკანონოდ, მხოლოდ შურისძიების მიზნით მიიღო...**

— თუ მაინცდამაინც კანონიერებაზე ვისაუბრებთ, კონკრეტული დასკვნის გაკეთება ძალიან გამიჭირდება, რადგან მაშინ კანონი უნდა მოვიშველიო. მასში კი იმდენი ხვრელები დატოვეს თავის დროზე, რომ ლავირება ყველას შეუძლია. უფრო სწორად კი მას, ვისაც საპარლამენტო უმრავლესობა დაუჭერს მხარს. არადა, ეს ხომ თვალში ნაცრის შეყრაა. ჩაწერეს იქ ათასგვარი უაზრო და დამაბნეველი ტერმინები — მარკეტინგის უფლება არ აქვსო, წილები შეუძლია ჰქონდესო და რა ვიცი... ამიტომაც გამოდიოდნენ იმავე უმრავლესობის სხვადასხვა მეწარმე-წევრები და არხეინად აცხადებდნენ, ამ საწარმოს მე კი არა ჩემი ძმა, შვილი თუ ცოლი მართავსო. ხომ ხედავთ, სადამდე მივედით? ოფიციალური ტყუილების ხანა დადგა. კაცი 15-20 წელია ბიზნესს აშენებს, ამა თუ იმ წარმოებისა თუ ვაჭრობის სახეს წარმოადგენს, ერთ მშვენიერ დღეს კი ხდება დეპუტატი, დირექტორად ძმას ან შვილს დანიშნავს და მერე ურცხვად აცხადებს, რომ მე აქ არაფერ შუაში ვარო... ჩვენი მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ პარლამენტის „ქართული გაგება“ თავისთავად გულისხმობს ბიზნესმენს და ბიზნესის „კრიშას“. ეს კანონებიც ასეთივე ხალხის დაწერილია და ხვრელებიც საგანგებოდ დატოვეს, რომ შემდეგ ურცხვი ტყუილის თქმა შეძლებოდათ. ნახევრად ფეხმძიმე ქალი გინახავთ ან გაგიგიათ? აბა, ნახევრად ბიზნესმენი რაღას ნიშნავს? კანონი იმისთვის არსებობს, რომ ხისტად უნდა იყოს საკითხი დაყენებული — განა პეტრესთვის შეიძლება და პავლესთვის არა? უბრალოდ, ან ეს ლიბერალურად უნდა გადაწყდეს და ბიზნესმენობა ან ყველასთვის შეიძლებოდეს, ან ყველასთვის აკრძალული იყოს. დღევანდელმა მინისტრებმაც (დღეს რომ სახელმწიფოში მეორე და მესამე კაცები არიან) ასე განაცხადეს თავის დროზე — ბიზნესი აღარ გვაქვს, ცოლების საკუთრებაში გადავიყვანეთო. კაცო, ის ცოლი ვის საკუთრებაშია? ერთად აღარ ცხოვრობენ? რა ვიცი, რა გითხრათ — ზოგჯერ ყველაფერი ტრაგიკომიკურ სახეს იღებს... უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში არის ასეთი მაგალითები, როდესაც ბიზნესმენი პოლიტიკაში გადავიდა. თუნდაც, შულცის მაგალითი ავიღოთ — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნად დანიშვნის შემდეგ უზარმაზარი კორპორაციის პრეზიდენტობა დათმო. მაგრამ იქ მისი ძმა და ცოლი კი არ დაუნიშნავთ, უბრალოდ აქციები გაყიდა და ამ კომპანიისკენ არც მას შემდეგ გაუხედავს, თეთრ სახლში რომ აღარ მუშაობდა. აი, ეს არის სახელმწიფოებრივი მიდგომა. ჩვენ კი ისეთ წუმპეში ვართ, რომ უბრალოდ, ჰიგიენური მოსაზრებები არ გაძლევს კაცს უფლებას, ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარის სინდის-ნამუსზე იმსჯელო...

**— პოლიტიკაში არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც ბადრი პატარკაციშვილმა ბიზნესმენთა ფედერაციაში საგანგებო განცხადება გააკეთა და ხელისუფლება ბიზნესმენთა შევიწროებისთვის გააკრიტიკა... საუბრობენ იმის შესახებაც, რომ პატარკაციშვილის გათამამება ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარეობამ განაპირობა, რადგან ეს თანამდებობა მას ერთგვარ იმუნიტეტს უქმნის...**

— პირველი, რაც ამ სიტუაციაში მენიშნა, ის იყო, რომ პატარკაციშვილს გამოსვლისთანავე ტელეკომპანია „რუსთავი 2-მა“ ინტერპოლის ცირკულარი გამოაქვეყნა. როგორც თავად განაცხადეს, ის 15 მარტს ყოფილა გამოგზავნილი, მით უმეტეს ვერ გამიგია, ორი კვირა რისთვის ინახავდნენ? სხვათა შორის, შევარდნაძის მმართველობის დროსაც ასე ხდებოდა — საკმარისი იყო, პატარკაციშვილს ჟვანიას ან მემარჯვენეების სასარგებლოდ გაეკეთებინა რამე, რომ მაშინდელი პრეზიდენტი რუსეთთან ურთიერთობებზე იწყებდა საუბარს. მაგრამ ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. ზუსტად ძნელია ყველა დეტალის გარჩევა, რაშია მართალი ან რაში ტყუის ხელისუფლებასთან ბადრი პატარკაციშვილი. მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია — ბიზნესი მხოლოდ იმისთვის არ არსებობს, რომ გადასახადები იხადოს, თანაც რაც შეიძლება ბევრი გადასახადები. ბიზნესმა პირველ რიგში, ხალხი უნდა დაასაქმოს. რაც შეიძლება ბევრი სამუშაო ადგილი უნდა შექმნას. ჩვენთან კი ასე ნამდვილად არ არის... ისიც ფაქტია, რომ ბიზნესს სახელმწიფო უწყებები როგორც მეწველ ძროხას, ისე უყურებენ, რომელიც დღესვე, მაქსიმალურად უნდა „აითვისონ“ — თუ რა იქნება ხვალ, ამაზე არავინ ფიქრობს და ზრუნავს. რაც შეეხება პატარკაციშვილის ოლიმპიურ კომიტეტთან კავშირსა და იმუნიტეტს, რამდენადაც მე ვიცი, საერთაშორისო სამართალი მსგავს პრაქტიკას არ იცნობს — ოლიმპიური კომიტეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და არა დიპლომატიური, რომ მისი წარმომადგენლები ხელშეუხებლობით სარგებლობდნენ...

**— პატარკაციშვილის მთავარი შენიშვნა ფონდებს ეხებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ფონდები საჯარო ინფორმაციისთვის ღიაა, თუმცა მასში არის დახურული სახელმწიფო მნიშვნელობის მუხლებიც... საინტერესოა, საერთაშორისო პრაქტიკა თუ იცნობს ასეთი გასაიდუმლოებული ფონდების არსებობას?**

— განვითარებულ სახელმწიფოებში ამის საჭიროება არ არსებობს. იქ აქვთ იმის საშუალება, რომ შესაბამისი თანხები პირდაპირ ბიუჯეტიდან განაწილდეს და მიზანშეწონილობის კონტროლიც, შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოდან ხორციელდება. ასეთი ფონდები არსებობს ისრაელში, ამ სახელმწიფოს ჩამოყალიბების დღიდან და მას მთელ მსოფლიოში გაფანტული ებრაელობა ავსებს. თუმცა ინფორმაცია ამ ფონდებთან დაკავშირებით აბსოლუტურად საჯაროა, თუ არ ჩავთვლით იმ სპეცოპერაციებს, „მოსადი“ და ისრაელის სხვა სპეცსამსახურები მთელ მსოფლიოში რომ ახორციელებენ. თუმცა აქაც, ამა თუ იმ ოპერაციის დეტალურ ინფორმაციაზეა ლაპარაკი და არა მთლიან დანახარჯებზე... ასე რომ, გააჩნია, რა დანახარჯებსა და რა მიზნებზე იქნება ლაპარაკი. ყველასთვის ცნობილია, რომ დაზვერვა ყველაზე ძვირადღირებული ფუფუნებაა და ამ შემთხვევაში ვერც ხარჯების საჯაროობას მოითხოვ. ეს ის მომენტია, როდესაც სახელმწიფოებრიობის შეგრძნება თავად ფულის განმკარგველ ჩინოვნიკებს უნდა ჰქონდეთ...

**— გასულ კვირაში ქართულმა სპეცსამსახურებმა კანცელარიაში ჩანერგილი უცხოეთის ჯაშუში გამოააშკარავეს. ასეთი იყო ოფიციალური განცხადება. უფრო მეტიც — მოგვიანებით, ოფიციალური განცხადება თავად პრეზიდენტმაც გააკეთა. მისი თქმით, ქვეყანაში ბევრი აგენტია და ყველა მათგანი ქართულ სპეცსამსახურებს კონტროლზე ჰყავთ აყვანილი. ჯაშუშებს სახელმწიფოსთან თანამშრომლობისა და აღიარებითი ჩვენების მისაცემად განსაზღვრული დროც მიეცათ. რამდენად ეფექტიანი და სერიოზულია ჯაშუშობასთან ბრძოლა პრესკონფერენციებით? ხომ შეიძლება ეს ფაქტორი დაინტერესებულმა სპეცსამსახურებმა გამოიყენონ და ქვეყანაში დიდი „აგენტომანია“ აგორდეს?**

— თავად დაპატიმრებულ სიმონ კილაძეს მე დიდი ხანია ვიცნობ, პოლიტოლოგიის ინსტიტუტიდანაც და კანცელარიიდანაც. მრჩეველთა საბჭო მას რუსულ პრესაში საჭირო ინფორმაციის მოძიებას ავალებდა ხოლმე. რაკი განაცხადეს, რომ ამ კაცს ხუთი თუ ექვსი თვე უთვალთვალებდნენ, იმედი მაქვს, რომ საბრალდებო არგუმენტაციაც სოლიდური და დამაჯერებელი იქნება. ალბათ, პროცესი საჯაროდ გაიმართება და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები დიდად არ მიყვარს, სიამოვნებით დავესწრები — იმდენად საინტერესო და ეგზოტიკურ ქვეყნებზეა ლაპარაკი მის ჯაშუშობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება „აგენტომანიას“, საკითხი მართლაც ძალზე სათუთია. ნორმალურ და სრულყოფილ ქვეყნებში ჯაშუშებს პრეზიდენტები კი არ ებრძვიან ან კიდევ საგანგებო სამთავრობო პრესკონფერენციებს კი არ მართავენ, არამედ მათ წინააღმდეგ შესაბამისი სამსახურები მოქმედებენ. არც ის არის საიდუმლო, რომ წლების მანძილზე საქართველოსა და განსაკუთრებით, თბილისში, ლამის ყველა ქვეყნის აგენტურული ქსელი განვითარდა. მაგრამ თუ ხელისუფლებამ ბრმად იმოქმედა და ასე, გადამოწმების გარეშე, მხოლოდ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, „ჯაშუშებთან“ თანამშრომლობა დაიწყო, ადვილი წარმოსადგენია, რა ქაოსიც იქნება. ერთი შეხედვით, პრეზიდენტის გამოსვლა ამ თემაზე იმით შეიძლებოდა აგვეხსნა, რომ ქვეყანა ახლა იდგამს ფეხს და განვითარებული სპეცსამსახურები არ გაგვაჩნია. მაგრამ ამ განცხადებას თუ ასობით ადამიანი გამოეხმაურა, დაიწყო ანონიმური დაბეზღებები, რას აპირებენ? ყველაფრის გადამოწმება და გამოძიება ხომ მაღალი დონის უსაფრთხოების სამსახურსაც გაუჭირდება...

*დაჩი გრძელიშვილი*

ერთი შეხედვით, პრეზიდენტის გამოსვლა ამ თემაზე იმით შეიძლებოდა აგვეხსნა, რომ ქვეყანა ახლა იდგამს ფეხს და განვითარებული სპეცსამსახურები არ გაგვაჩნია. მაგრამ ამ განცხადებას თუ ასობით ადამიანი გამოეხმაურა, დაიწყო ანონიმური დაბეზღებები, რას აპირებენ? ყველაფრის გადამოწმება და გამოძიება ხომ მაღალი დონის უსაფრთხოების სამსახურსაც გაუჭირდება...

უცხოეთის განვითარებულ ქვეყნებში არის ასეთი მაგალითები, როდესაც ბიზნესმენი პოლიტიკაში გადავიდა. თუნდაც, შულცის მაგალითი ავიღოთ – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნად დანიშვნის შემდეგ უზარმაზარი კორპორაციის პრეზიდენტობა დათმო. მაგრამ იქ მისი ძმა და ცოლი კი არ დაუნიშნავთ, უბრალოდ აქციები გაყიდა და ამ კომპანიისკენ არც მას შემდეგ გაუხედავს, თეთრ სახლში რომ აღარ მუშაობდა. აი, ეს არის სახელმწიფოებრივი მიდგომა. ჩვენ კი ისეთ წუმპეში ვართ, რომ უბრალოდ, ჰიგიენური მოსაზრებები არ გაძლევს კაცს უფლებას, ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარის სინდის-ნამუსზე იმსჯელო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოტო უკომენტაროდ...



# გაზაფხულის მელოდიები

მოვიდა გაზაფხული და პრობლემებით სავსე ცხოვრება აავსო ჩუმი ღიღინით. აყვავებული ბუნების დანახვაზე გული თავისით ამღერდა... მტვრიან ქალაქს ალუბლების ფიფქმა დაათოვა.

ბოლოს დროს ქალაქში ყვავილებით ხელში მომრავლებული ჭარმაგი კაცები თუ შეგიმჩნევიათ. ალბათ იფიქრეს, ასაკს ჯანი გავარდესო, და... დადიან რაც შეუძლიათ „ახალ“ პიჯაკებში გამოწყობილები, ტიტებით ან სულაც ქუჩებში შეტეხილი ტყემლის ტოტებით...

ამას წინათ ორი ასეთი, გვარიანად შექეიფიანებული „ჩემს“ „მარშრუტკაში“ ამობრძანდა ნუცუბიძის ქუჩაზე. თან ორი აყვავებული ტოტიც შემოიტანეს — არ ვიცი, რისა — ტყემლისა თუ ქერმისა... ამ ქალბატონებს შემოევლოს ჩვენი თავიო, — შემოსძახეს და საკმაოდ მარჯვედ მოთავსდნენ ვიწრო სკამებზე. მათი ტოტებიდან თავზე დაყრილი ყვავილები არც კი გაგვიფერთხია. უეცრად ერთმა „ახ, ტურფავ, ტურფავ“ წამოიწყო... მეორე აჰყვა, მაგრამ რა აჰყვა! „ერთიც დალიე, შეგერგებაზე“ ყურმიჩვეულმა მძღოლმა ცოტა ხნის წინ ზოზინ-ზოზინით რომ მიჰყავდა მანქანა, ახლა ისე გაუტია, ზოგიერთ ჩვენგანს, მგონი, ჩასვლაც კი დაავიწყდა. ჩვენმა მოხუცებმა კი ნუცუბიძის დასაწყისში დაწყებული სიმღერა კანდელაკის ქუჩაზე დაამთავრეს, ხელზე დიდი ამბით გვემთხვივნენ და როგორც ამოვიდნენ, ისევე ნება-ნებით ჩავიდნენ. რომ მივხედე, თავიანთ ყვავილებგაცვენილ ტოტებს გვიქნევდნენ...

მომღერლები ჩავიდნენ და „მარშრუტკაში“ სიცარიელე ჩამოდგა. მეც მალე ჩამოვხტი და ორიოდ წუთში თავსხმაშიც აღმოვჩნდი... თავი სუპერმარკეტის თაღს შევაფარე და მტვრიანი ასფალტის სუნში გავეხვიე. ჯერ ჯიბეებში ხელებჩაწყობილმა ბიჭმა ჩამიარა. მიდიოდა და ისიც რომელიღაც მელოდიას უსტვენდა. მერე უმიზეზოდ აკისკისებული მუხლებზემოთ ყელიან ჩექმებში გამოწყობილი გოგონები გამოჩნდნენ... ცოტა იმათაც წაიმღერეს...

ეგ იყო და ეგ...

წვიმამ რომ გადაიღო, იების გამყიდველმა ჩამიარა. გავუკიდე და იები ვიყიდე — თითქოს იები პირველად მენახოს... მე რა მომღერალი ვარ, მაგრამ მეც რომელიღაც მხიარული მელოდია ყელში მომაწვა...

მაგრამ... ისე, მემღერა, რა დაშავდებოდა?

*მაკა დოლიძე*

# უბრალოდ შექმნილი დუეტი

საქართველოში ყოველი მეორე მღერის, ამიტომაც აღარ გვიკვირს „ვინმეს“ სიმღერა. რაც შეეხება უცხოელებს, ისინი მოხიბლულნი არიან ქართული ხალხური პოლიფონიური სიმღერით და სამშობლოში დაბრუნებულნი ე. წ. ფანკლუბებს ქმნიან, სადაც კვლავ ქართულ სიმღერას უსმენენ და გულმოდგინედ სწავლობენ კიდეც.

აღარ გვიკვირს მომღერალი თანამემამულემეთქი, კი ვამბობ, მაგრამ საუკეთესოები და გამორჩეულები მაინც სხვანაირად გვეამაყება.



მამსირაშვილების ოჯახში სიმღერის ნიჭი დაძმას, მაიასა და მინდიას აღმოაჩნდა. სულ პატარა იყო მაია, 5 წლისა, როცა თოჯინები ჩაამწკრივა და მათ „გასართობად“ ფანდურს ჩამოჰკრა. მერე სიმებთან „თამაში“ უფრო შეუყვარდა და მალე მთელმა თიანეთმა გაიგო, მამსირაშვილების პატარა გოგო შესანიშნავად მღერისო. მას უფროსი ძმა, მინდიაც აჰყვა. ასე უბრალოდ ჩამოყალიბდა ეს დუეტი. ოჯახს კიდევ ჰყავს ორი შვილი, მირზა და მარიეტა. ისინიც მღერიან, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნე, მაია და მინდია გამორჩეულები არიან.

და-ძმა ამ სამი წლის წინ გვესტუმრა რედაქციაში, ფილარმონიაში გამოსვლის მერე მოვიდნენ ჩვენთან. საკრავიც თან ჰქონდათ და ისეთი კონცერტი გაგვიმართეს, მთელი რედაქცია შეიყარა მათ მოსასმენად... მას მერე დრო გავიდა. ამ ხნის განმავლობაში დიდ წარმატებას მიაღწიეს: დიპლომებით, სიგელებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ, ლაურეატის წოდებაც მიენიჭათ, ხოლო 2005 წელს ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედების II რესპუბლიკურ ფესტივალზე („წითელი ვარდი“) გრან-პრიც მიიღეს.

მაია და მინდია ახლა კვლავ ჩვენი სტუმრები არიან. გაზრდილან, ბავშვებს აღარც კი ეთქმით. მაია გასულ წელს პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა. ქართულ სინამდვილეში კურიოზის გარეშე არაფერი ხდება (თუკი ამას კურიოზი შეიძლება ეწოდოს). ჰოდა, წელი ისე გავიდა, ყოველთვიურად მისაღები 150 ლარი ერთხელაც არ მიუღია სტიპენდიანტს(?). „რაღაც“ მოხდა და მალე გამოვასწორებთო, ჰპირდებოდნენ სტიპენდიანტის მამას, ავთანდილ მამსირაშვილს. „მალე“ ერთი წელი გაგრძელდა და კიდევ კარგი, რომ გაურკვევლობასა და იმედგაცრუებას გვიან, მაგრამ მაინც დაესვა წერტილი — პრეზიდენტის სტიპენდიანტს „გაყინული სტიპენდია“ მთლიანად გადაეცა.

მამსირაშვილების ოჯახი თიანეთის რაიონის სოფელ იარაჯულებში ცხოვრობს. დუეტს ხშირად უწევს თიანეთის ცენტრში ჩასვლა, რადგან მათი მასწავლებელი ქეთევან შარმიაშვილი იქ უტარებთ გაკვეთილებს, რეპეტიციებიც კულტურის სახლში აქვთ. მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი კარგად იცნობს და-ძმას. სახალხო ზეიმი ისე არ ჩატარდება, ბატონმა ვასილ მაღლაფერიძემ და-ძმა მამსირაშვილები არ მიიწვიოს. ამ მშვენიერმა დუეტმა ბევრი სტუმარი აღაფრთოვანა... ხშირად, ზეიმის დაწყებამდე, წინდაწინ კითხულობენ ხოლმე — ის და-ძმა, მშვენივრად რომ მღერის, ხომ მოვაო. სტუმრების დაინტერესება დუეტით სულაც არ არის გასაკვირი — ვისაც მათთვის ერთხელ მოუსმენია, ხელახლა მოსმენის სურვილი აუცილებლად უჩნდება.

მაია და მინდია მთელი გულით მღერიან სამშობლოზე, მის მთასა და ბარზე, ვაჟიკასა და ქალაშავას სიყვარულზე, ერთგულებაზე, სიკეთეზე, მეგობრობაზე... მღერიან და ამ სიმღერებში მსმენელს უტყდებიან, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს საქართველოსთანა ტურფა ქვეყანა, რომ ქართველმა სულ სხვანაირი სიყვარული და მეგობრობა იცის.

*მარინა ბაბუნაშვილი*

# მე ვარ ქართველი, შენ — საქართველო...

ჩვენი თაობების 9 აპრილი...

შესაძლოა ის დღეც ისეთივე იყო, როგორიც სხვა სისხლიანი დღეები საქართველოს ისტორიაში — მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლა გამთენიისას დასრულდა.



მაგრამ ის დღე, 1989 წლის 9 აპრილი, ჩვენი თაობისა იყო. ჩვენ ვნახეთ და ჩვენვე ვიბრძოლეთ. მივხვდით, რა იყო სამშობლოსთვის სიკვდილი.

თვალებს ვხუჭავ და ისევ ვგრძნობ იმ დღეებში „ბრძოლის ველზე“ დაფენილი ყვავილების მომწარო-მოტკბო სურნელს. ყვავილების მორევში მომწვანო-მოყვითალო მიმოზები და წითელი ტიტები ერთმანეთში ირეოდა. სადღაც ეყარა ნაადრევი იასამნებიც... ყველა ამ მორევში ვეშვებოდით, იქ გვინდოდა წინა დღის ბოლმა ჩაგვეხრჩო. ტკივილის დავიწყება ტკივილითვე გვინდოდა და ძალა უმწეობაში ვიპოვეთ... უჩვეულოდ ფერშეცვლილი მზე შუა ქუჩებში, პირდაპირ ტროტუარზე ჩამომსხდარ გოგო-ბიჭებს სახეებს უშეშებდა... ცოცხლად დარჩენით შერცხვენილი კაცები ფანჯრებიდან მდუმარედ იყურებოდნენ... გაზონებში მოხუცები ხელჯოხებს მონოტონურად აკაკუნებდნენ...

შორს, მივარდნილ სოფლებში დილაუთენია ოდესღაც დავიწყებულ ლოცვებს იხსენებდნენ ბებიები, დედებმა საქმე მიატოვეს და შარაგზას გასცქეროდნენ...

იმ დღეს იყო მარტო: მე, შენ და საქართველო... ამ წარმოუდგენელ ერთიან სივრცეს ღიასახურავიანი მანქანების საყვირი და ქართული დროშები სერავდნენ... იმ დილას უფუნქციოდ დატოვებული ხელები ერთმანეთს გავუწოდეთ გაოგნებულმა, პირდაპირ შუა ასფალტზე ჩამომსხდარმა გოგოებმა და ბიჭებმა, მოხუცებმა, კაცებმა... მერე ერთმანეთს ჩავეხუტეთ...

იმ დილას როგორ გვიყვარდა ერთმანეთი! როგორ გვესმოდა ერთმანეთის... როგორი სუფთა თვალებით იცქირებოდა აპრილის ცა, როგორი სიწმინდით შეიმოსა ყველა იმ განთიადზე გარდაცვლილი — როგორც ბიბლიური ვარდისფერი კრავი, რომელიც მორჩილად გაუდგა გზას ზეციური საქართველოსკენ. მაგრამ სანამ გაუდგებოდა, ტაძრის კართან შედგა და უკანასკნელად თვალებით გვანიშნა რაღაც. რაც — მაშინ ყველა კარგად მივხვდით და გვეგონა, სამუდამოდ გვეხსომებოდა... მაგრამ მალე დავივიწყეთ, გაქრა ის მუდარიანი მზერა, როგორც ყვავილების მორევში ჩაგდებული, ნამით გადადღაბნილი ბარათი, რომელზეც ეწერა... ბარათი გაქრა, მაგრამ სიტყვები დარჩა, სიტყვებში — სული:

*„დაბადებიდან რომ ვერ გხედავდი,*
*ამაზე მწყდება ძალიან გული,*
*სიკვდილის შემდეგ რომ ვეღარ გნახავ,*
*ამაზე როგორ არ დამწყდეს გული...*
*მე ვარ ქართველი,*
*შენ — საქართველო,*
*ამაზე ძვირფასს ვერაფერს გეტყვი,*
*ვარ გაგრძელება შენი სახელის*
*და უკვდავება არ მინდა მეტი...“*

*ნანა რამიშვილი*



# გამოვიდა აპრილის ნომერი




# თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...



# ეს თქვენი გაზეთია — ხალხი ბრძენია!

*ეს თქვენი გაზეთია და გაქვთ შესაძლებლობა, გამოხატოთ თქვენი აზრი ნებისმიერ აქტუალურ მოვლენაზე, შეაფასოთ ქვეყანაში მიმდინარე ყველა დადებითი თუ უარყოფითი მოვლენა, ქართველ პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისათვის ცნობილი სხვა პერსონების საქმიანობა. ჩვენი თხოვნაა, თქვენი დამოკიდებულება გამოხატოთ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის მწვავე და საჭირბოროტო პრობლემებთან (და არა პირადულთან) დაკავშირებით.*

*წერილები გამოგვზავნეთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით ან ელექტრონული ფოსტით:* news@ kvirispalitra.com

*თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!*

*ხალხის აზრი უნდა იცოდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა!*

# „გიგა ბოკერია დღევანდელი ლუი მეთოთხმეტეა“

## „ხელისუფლება ფიქრობს, რომ ის განსაკუთრებული და ხალხისგან გამორჩეულია“



„ერთადერთი გამოსავალი — უნდა მოხსნას ყველაზე მაღალი ფენა“

ფსიქოლოგი **შოთა ნადირაშვილი** ფიქრობს, რომ ქვეყანაში შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია. მისი აზრით, ხელისუფლება შეცდომას უშვებს, როდესაც მხოლოდ ოპოზიციის შეხედულებების ოპონირებით არის დაკავებული და მის სასარგებლო რჩევებს არ იღებს.

— მთავრობის არასწორი პოლიტიკა საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებს უხეშად შეეხო და ამან უკმაყოფილება გამოიწვია. რაც დრო გადის, უკმაყოფილოთა რაოდენობა იზრდება და მათ თანდათან (რაკი ერთად დგანან) საერთო ორიენტაცია უჩნდებათ, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული. ცალკეული უკმაყოფილო ჯგუფის ინტერესები უკვე გასცდა ამ კონკრეტულ ჯგუფს და უკმაყოფილება განზოგადდა — ხელისუფლება ისეთ პოლიტიკას ატარებს, რაც ხალხის ნორმალურ ყოფას აძნელებსო. მართალია, ჯერ გამოკვეთილი არ არის, მაგრამ უკმაყოფილება იმ სტადიამდე მივა, როდესაც იტყვიან, ეს ხელისუფლება ქართველი ერის ინტერესებს უპირისპირდებაო. ერი კი სახელმწიფოა.

**— ამას წინათ უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა განაცხადა — ხელისუფლება არის სახელმწიფოო.**

— ლუი XIV-ც ამბობდა — საფრანგეთი მე ვარო, ანუ რასაც ვიტყვი, ის უნდა გავრცელდეს საფრანგეთზეო. გიგა ბოკერია დღევანდელი ლუი მეთოთხმეტეა, რომელიც ხელისუფლებას სახელმწიფოსთან აიგივებს. ეს კი მცდარი შეხედულებაა.

ხელისუფლება, რომელიც ხალხს (ერს) ანგარიშს უწევს, ეროვნულიც არის და დემოკრატიულიც. ეს ხელისუფლება კი ერს (ანუ ხალხს) ნაკლებად უწევს ანგარიშს და ამიტომ გაისმის შეფასება — ის არაეროვნულია და უნდა წავიდესო. თუმც ხალხს ისევ აქვს განცდა, რომ პრეზიდენტის ჩამოგდება ერის უბედურებას იწვევს. რევოლუცია ნგრევაა და თუ დაანგრიეს, უნდა ააშენონ, მათ კი ჯერ არ იციან, რა უნდა აშენდეს. ხელისუფლება სახელმწიფოს არ უვლის, არ მართავს და ხალხიც ამის გამო უპირისპირდება. მთავრობა კი, რომელსაც ჰგონია, სახელმწიფოს ინტერესებს ვიცავო, თავის ინტერესს — შეინარჩუნოს მმართველობა — სახელმწიფოს ინტერესთან აიგივებს. სახელმწიფოს ჩვენ, ცალკეული ადამიანები, ვქმნით. ხელისუფლებამ კი ჩათვალა, რაკი ჩვენ ხალხს და სახელმწიფოს ვმართავთ, უპირატესობა გვაქვს და შესაბამისად უფრო ჭკვიანები ვართო. ხალხს არჩევნებზე დახმარებას სთხოვენ, მაგრამ მერე არ ითვალისწინებენ მის ნება-სურვილს, არაფერს ეკითხებიან. ხალხს არ უყურებენ როგორც ერს, საკუთარ თავს კი — როგორც ერის წარმომადგენელს. ხელისუფლება ფიქრობს, რომ ის განსაკუთრებული და ხალხისგან გამორჩეულია. არის ზოგიერთი მოვლენა, რომელიც ერთი რომელიმე სოციალური ჯგუფის შიგნით რჩება, მაგრამ გირგვლიანის მკვლელობა მთელმა საქართველომ გაიგო და გულთან მიიტანა.

**— ზოგიერთი ასეთ პარალელსაც ავლებს — ჟვანიას სიკვდილი (თუ მკვლელობა) არ განზოგადდა, გირგვლიანის მკვლელობა კი ძალზე რეზონანსული აღმოჩნდაო.**

— ზოგიერთი საკითხი საერთო-ეროვნული ხდება. გირგვლიანის ოჯახმა თავისი საქკივარი სააშკარაოზე აქტიურად გამოიტანა და ეს ყველამ მიიტანა გულთან, რადგან ის ნესიერი, პატიოსანი კაცი იყო; ანუ ჰქონდა ის თვისებები, რაც ჩვენს ეროვნულობასთან ასოცირდებოდა. ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში დევს — არ შეიძლება კაცმა კაცი დაუმსახურებლად მოკლას. გირგვლიანი ქურდი და მკვლელი რომ ყოფილიყო, ქართველი ხალხი არ ჩათვლიდა, ჩვენ მოგვაყენეს ტკივილიო, მაგრამ პატიოსანი კაცის მკვლელობა ეროვნულ დანაშაულად ჩაითვალა. ეს ამბავი პრეზიდენტს რომ ისე განეცადა, როგორც ერის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, ხალხი უკმაყოფილო არ დარჩებოდა, სააკაშვილი კი განერიდა ამ საქმეს და ვერ დაგვარწმუნა, რომ ეს საკითხი სამართლიანად გაირჩეოდა. სხვათა შორის, მან ვერც ჟვანიას მკვლელობის სამართლიანად გამოძიებაში დაგვარწმუნა. მით უმეტეს, რომ ეს მკვლელობა ორმხრივ გამოსაკვლევია (აქ ორი მოთხოვნაა) — როგორც ეროვნული მნიშვნელობის საკითხი და როგორც ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა. ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიება ხალხმა ძალზე კატეგორიულად არ მოითხოვა, რადგან იფიქრეს, თუ ჟვანია მოკლულია, ისევ ხელისუფლებამ (ან მასთან დაახლოებულმა ხალხმა) მოკლაო; ანუ თუ მოკლეს, თავისი კაცი მოკლეს და ეს ხელისუფლების საქმეა, გირგვლიანის საქმე კი ჩვენც გვეხებაო.

ხელისუფლებას არაცნობიერად აქვს განცდა, ხალხის მომვლელი ვარო. რაკი მან ადამიანის უფლებები დაარღვია (ციხის ამბოხის დროს), დაიწყო მტკიცება — ჩვენ აღვკვეთეთ ქმედება, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდაო. თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მას კიდევ სჭირდებოდა კონკრეტული ფაქტი, იპოვა კიდეც და გვითხრა — მართალია, უფლებებს გადავამეტე, მაგრამ აგერ, კანცელარიაშიც კი ვიპოვე ჯაშუში, რომელიც ერს, სახელმწიფოს ებრძოდა, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედებდაო. შესაძლოა, ამ კაცზე ეჭვი აქამდეც არსებობდა (წამოსცდათ კიდეც, ფული აიღოო, ფარული ჩანაწერები გვაქვსო), მაგრამ სწორედ ახლა იყო საჭირო მისი მხილება. აქვე იყო ხაზგასმაც — მარტო ციხეში კი არ ვსჯით სახელმწიფო ინტერესების მოწინააღმდეგეებს, სახელმწიფო კანცელარიაში, სახელმწიფო სამსახურში მყოფი კაციც გამოვააშკარავეთ და არ დავაფარეთ ხელიო. ამით ხელისუფლებამ მიგვანიშნა, მართალი ვიყავი, როდესაც ციხის ამბოხი ჩავახშე და მართალი ვარ ახლაც, როდესაც ჯაშუში გამოვააშკარავეო. მოწოდება — უცხო ქვეყნის ჯაშუშების ვინაობა გვაცნობეთ ან კიდევ, საკუთარი დანაშაული აღიარეთ და გაპატიებთო, არა მგონია, რეპრესიების დაწყების მცდელობა იყოს. ძნელად წარმოსადგენია, ვინმემ აღიაროს, ჯაშუში ვარო. უბრალოდ, ხელისუფლება ცდილობს ხალხის თვალში ჰუმანური გამოჩნდეს — მიუხედავად იმისა, ქვეყნის ინტერესებს ღალატობდი, გაპატიებ, არ ვიქნები მკაცრი და არც ისეთი უსამართლო ვარ, როგორიც ციხის ამბოხის ჩახშობისას გამოჩნდაო. გარკვეულწილად, ეს უნდა იყოს ხალხის გათიშვის მცდელობაც — რაკი საპროტესტო აქციებზე გაერთიანებული ხალხი დაინახა, ხელისუფლება ამ მეთოდით ცდილობს მათ შორის უნდობლობის ჩამოგდებას.

თავის დროზე ხელისუფლების პოზიცია ცუდად წარმოაჩინა ნათქვამმა — რაკი ხელისუფლებაში მოვედით, იმას გავაკეთებთ, რაც გვინდაო. სინამდვილეში ნადირაძეს უნდა ეთქვა — იმას ვაკეთებთ, რაც თქვენ, ყველას, მთელ ერს გინდათო. სწორედ ხელისუფლების არასწორმა ქმედებებმა წარმოშვა დღევანდელი დაპირისპირება.

**— როგორ სახელს მოუძებნიდით შექმნილ ვითარებას და რა განმუხტავდა მას?**

— ცუდია, რომ პრეზიდენტი იმ პრობლემებზე არ ელაპარაკება ხალხს, რის მოგვარებასაც ითხოვს. ამის მაგალითი იყო პრეზიდენტის გამოსვლები ტელევიზიით და ლაპარაკი სტუდენტებთან შეხვედრისას — მან იქაც გვერდი აუარა პრობლემებს.

სახელმწიფოს მართვის ტექნოლოგიის თანახმად, მმართველს, რომელიც ასეთ ვითარებაში აღმოჩნდება, ერთადერთი გამოსავალი აქვს — სახელმწიფო მმართველობის ყველაზე მაღალი ფენა მოხსნას და ყველაფერი ცუდი მას მიაწეროს. შემდეგ ახალ ფენასთან (რომელიც მოვა მმართველობაში) ერთად ეროვნული და სოციალური ინტერესების გათვალისწინებით მართოს ქვეყანა. სამწუხაროდ, ასეთი პროგრამა ჯერ არ აქვს ხელისუფლებას. თავისუფალი სახელმწიფოს აშენებისა და ქვეყნის განვითარების გეგმა რომ დასახოს, აზრი უნდა ჰკითხოს ისეთ ხალხს, რომელსაც შეუძლია ორიენტირების დასახვა. ეს საკითხები მეცნიერებთან ერთად არის განსახილველი. არ ვამბობ, სახელმწიფოს მართვაში მეცნიერები ჩაერთონ-მეთქი, მაგრამ უნდა შეიქმნას მეცნიერთა (ექსპერტთა, პოლიტოლოგთა) ჯგუფი, გინდ კომისია დაარქვით, რომელიც მმართველ ფენას რჩევას მისცემს. მხოლოდ ამაში ვხედავ გამოსავალს.

***მარი ზანდუკელი***


## BP საქართველოს საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2006

bp

**BP** საქართველო იწყებს სტაჟირების პირველ საზაფხულო პროგრამას, რომელიც ნიჭიერი სტუდენტების მცირერიცხოვან ჯგუფს მისცემს მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ენერგოკომპანიაში სამუშაო გამოცდილების შეძენის საშუალებას.

პროგრამაში მონაწილეობისათვის შეირჩევიან საინჟინრო-ტექნიკური, ბიზნესის, ეკონომიკური, საფინანსო, იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების განხრების ბაკალავრიატის ბოლო კურსის ან მაგისტრატურის აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტები, რომლებიც გაივლიან 4-თვიან სტაჟირებას შემდეგ სფეროებში:

მილსადენის ექსპლუატაცია და უსაფრთხოება

მიწისა და მიწის რეგულირების საკითხები

კომუნიკაციები და საგარეო ურთიერთობები

შესყიდვები

ფინანსები და საბუღალტრო საქმე

**მოთხოვნები:**

**კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე და სწავლობდეს ბაკალავრიატის ბოლო კურსზე ან მაგისტრატურაში.**

**კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური მიღწევები და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.**

**შერჩევა მოხდება გასაუბრებისა და ინგლისურ ენაში ტესტირების საფუძველზე.**

**განცხადების, ანკეტების და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია BP-ს საქართველოს ოფისში, მისამართზე: თბილისი, საბურთალოს ქ. 38**
**შევსებული ანკეტების ჩაბარება იწარმოებს ზემოთ აღნიშნულ მისამართზე**
**2006 წლის 21 აპრილამდე**

# მოსკოვი სამხედრო ბაზებს საბოლოოდ შეელია



## სოჭში ხელმოწერილი დოკუმენტი პრეზიდენტებმაც უნდა დაამოწმონ

მოგეხსენებათ, შარშან, 30 მაისს, საქართველო-რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიაღწიეს შეთანხმებას 2008 წლის ბოლომდე საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. მას შემდეგ ორი ქვეყნის თავდაცვის სტრუქტურების მეთაურთა მიერ 31 მარტს სოჭში ხელმოწერილი დოკუმენტი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

6 მარტის „კვირის პალიტრაში" დაწვრილებით განვიხილეთ შეთანხმების ყველა პუნქტი და თავი, რომელიც რუსმა და ქართველმა დიპლომატებმა და სამხედროებმა მოამზადეს.

ბოლო დრომდე არსებობდა შიში, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მიღწეული შეთანხმება შეიძლება დაბრკოლებულიყო. მოსკოვი ისარგებლებდა ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის ესკალაციით და მნიშვნელოვნად შეაფერხებდა ამ პროცესს.

საბედნიეროდ, შიში გაქარწყლდა. თუმცა აჯობებს, თავდაცვის უწყებების მეთაურთა შემდეგ დოკუმენტს, „რუსული სამხედრო ბაზების დროებითი ფუნქციონირება და მათი გაყვანის პროცესი საქართველოს ტერიტორიიდან", მალე პრემიერ-მინისტრები და თავად პრეზიდენტებიც თუ მოაწერენ ხელს. ეს უფრო მეტ გარანტიას მოგვცემს, რომ ეს პროცესი არ შეჩერდება ან უარესი — უკან არ შემობრუნდება.

ახლა მთავარია, ქართულმა მხარემ არ შეუშალოს ხელი რუსული სამხედრო კონტინგენტის გაყვანის წინასწარ გაწერილ პროცედურას. ამაში იმას ვგულისხმობთ, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ არ მოაწყოს მორიგი „რეიდები" გონიოს პოლიგონის „დასაპატრონებლად".

ნებისმიერ ასეთ ქმედებას მოსკოვი პროვოკაციად შეაფასებს და შეთანხმების დასარღვევად გამოიყენებს. კარგია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუს სამხედროებს მრავალჯერადი ვიზის მიღების უფლება მისცა, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ბაზების გაყვანის პროცესის გასაჯანჯლებლად უვიზობას მოიმიზეზებდა.

ქართული ოპოზიციის კრიტიკის საფუძვლად, რუსული ბაზების გაყვანის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ძირითადად ორი საკითხი იქცა. ხელშეკრულებაში ჩაწერილია, რომ რუსეთს უფლება ეძლევა, ტრანზიტის სახით საქართველოს სახმელეთო და საჰაერო გზების გავლით, მოამარაგოს თავისი სამხედრო ბაზები სომხეთის ტერიტორიაზე. ეს გარდაუვალი იყო, რადგან, გასაგები მიზეზების გამო, რუსეთი ამას თურქეთისა და, მით უფრო აზერბაიჯანის გავლით ვერ შეძლებდა. თუკი საქართველო ამის ნებას არ დართავდა, მაშინ, შესაბამისად, ხისტი გახდებოდა მოსკოვის პოზიცია, რადგან სომხეთში, გიუმრის რუსული სამხედრო ბაზის მომარაგების საკითხი ჰაერში გამოეკიდებოდა. მაშინ რუსეთი პირდაპირ შეტევაზე გადმოვიდოდა და კომპრომისზე აღარც იფიქრებდა.

მეორე საკითხი, რომელიც ხელშეკრულებაშია ჩადებული, ითვალისწინებს ქართულ-რუსული ანტიტერორისტული ცენტრის დაფუძნებასა და ფუნქციონირებას, რომლისთვისაც შეიძლება გამოიყენონ ბათუმის სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა. ეს ვერაფერი ნუგეშია, რადგან მზვერავები რუსეთიდან არც უამისოდ გვაკლია. თუმცა ერთგვარად დამამშვიდებელია ის გარემოება, რომ ამის შესახებ შეთანხმება მხარეებმა ჯერ საფუძვლიანად უნდა დაამუშაონ და შემდეგ ხელი მოაწერონ. თუკი თბილისმა ძალიან „მოინდომა", ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით შეთანხმების მომზადება შეიძლება კარგა დიდხანს გააჭიანუროს. 2008 წლისთვის კი, თუ რუსული სამხედრო ბაზები მართლაც დატოვებენ ქართულ მიწას, ერთობლივი ანტიტერორისტული ცენტრი ალბათ აღარავის გაახსენდება.

# უკრაინელებს „იგლებს" უჭრიან, ქართველებს?

## „იგლებზე" დაწყებული საერთაშორისო ისტერიკის გამო მათ ვეღარ ვყიდულობთ

აშშ იწყებს მორიგი პროექტის განხორციელებას გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების გასანადგურებლად იმ ქვეყნებში, სადაც მათზე არასაკმარისი კონტროლი ხორციელდება.

დღემდე ამერიკელმა სამხედრო ექსპერტებმა „სტრელებისა" და „იგლების" მარაგი გაუნადგურეს კამბოჯას, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და უნგრეთს.

ამჯერად უკრაინის ჯერი დადგა. ამას ხელი შეუწყო 2005 წლის თებერვალში მომხდარმა ინციდენტმაც, როდესაც უკრაინის არმიის სამხედრო საწყობიდან გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Стрела-3М და მისი ორი რაკეტა მოიპარეს.

ზესახელმწიფოების პირველ პირებს ბირთვულ ბალისტიკურ რაკეტებზე უფრო მეტრნახევრიანი საზენიტო რაკეტებისა ეშინიათ, რომლებიც ტერორისტების ხელში ძალზე საშიში იარაღი ხდება მათი პირადი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენებისთვის.

უკრაინის არმიის საწყობებში ათასამდე გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის („სტრელასა" და „იგლას" ტიპის) განადგურება იგეგმება, რომელსაც, ამერიკელ სპეციალისტებთან ერთად, NATO-ს წევრი 12 ქვეყნის წარმომადგენლებიც განახორციელებენ.

წესით, ალბათ არ უნდა გვაღელვებდეს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე იარაღის დაჭრა, მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ეს საქართველოს ინტერესებსაც ეხება.

ცნობილია, რომ საქართველომ უკრაინისგან შეიძინა (და ახლაც აგრძელებს) ათეულობით მლნ დოლარის ღირებულების ცეცხლსასროლი იარაღი, ჯავშანტექნიკა, რადიოლოკაციური საშუალებები, საბრძოლო და სატრანსპორტო შვეულმფრენები და ტყვია-წამალი.

ამ სიაში არ არის გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, რომლებსაც შეუძლიათ საიმედოდ ჩაკეტონ საფრენად საშიში მიმართულებები 2-3 კმ-ის სიმაღლემდე. მაგალითად, ამას წინათ სენაკის სამხედრო ნაწილის თავზე დაუსჯელად „მონავარდე" უცხო შვეულმფრენის ეკიპაჟს კარგი დღე არ დაადგებოდა, მისი მიმართულებით „იგლა" ან „სტრელა" რომ გაეშვათ...

გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების შეძენა დღეისთვის ძალზე რთულია თვით ისეთ მეგობარ ქვეყნებშიც კი, როგორიც უკრაინა თუ ბულგარეთია. ამის მთავარი მიზეზი ვაშინგტონის მკაცრი პოზიციაა, რომელიც ყოველნაირად ზღუდავს „სტინგერებისა" თუ „იგლების" გავრცელებას.

ამასთანავე, ცხინვალელ და სოხუმელ სეპარატისტებს „იგლების" მომარაგება არ გაუჭირდებათ, რადგან საჭიროების შემთხვევაში რუსეთიდან დაუბრკოლებლად მიიღებენ. და ეს იმ დროს, როდესაც აშშ-სა და რუსეთის ფედერაციას ხელი აქვთ მოწერილი სამთავრობათაშორისო შეთანხმებაზე, რომელიც ითვალისწინებს კონტროლის ძალზე გამკაცრებას გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების გავრცელებაზე.

გასაგები მიზეზების გამო არ დავასახელებთ „იგლებისა" და „სტრელების" ზუსტ რაოდენობას, რომელიც ქართული არმიის შეიარაღებაშია (სხვათა შორის, პარლამენტის სხდომათა დარბაზში გამოფენილი „სტრელაც" ამ მარაგიდან იყო), მაგრამ სამწუხაროა, რომ დიდ ეჭვს იწვევს მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ტექნიკური გამართულობა. ამ საზენიტო კომპლექსების ელექტროსისტემების შესამოწმებლად საჭიროა სპეციალური აპარატურა.

არ გვინდა, საჭირო მომენტში „სტრელასა" თუ „იგლას" რაკეტა არ გავარდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წლების განმავლობაში არასაბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. თავდაცვის სამინისტრო (ისევე, როგორც ხელისუფლების მაღალი ეშელონები) კი შეიძლება ამ რაკეტების იმედზეა...


STANDARD BANK
სტანდარტ ბანკი

## სტანდარტ ბანკი აცხადებს მიღებას საკრედიტო მენეჯერის თანამდებობაზე

*მოვალეობები:*

- სასესხო განაცხადების განხილვა და გასაუბრებების ჩატარება;
- განმცხადებლის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი და სესხის გაცემის მიზანშეწონილობის განსაზღვრა;
- მენეჯერის პორტფელის ყველა სესხის სისტემატური მონიტორინგი;
- სასესხო განაცხადების დამუშავება საკრედიტო კომიტეტის მიერ დამტკიცებისათვის, დადგენილი წესების შესაბამისად;
- სხვა მოვალეობები, რომელსაც განსაზღვრავს საკრედიტო განყოფილების უფროსი.

*მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება საბანკო საქმეში, ბუღალტერიასა და ფინანსებში;
- სულ მცირე 1 წლის გამოცდილება საკრედიტო მენეჯერის პოზიციაზე საბანკო დაწესებულებაში;
- ურთიერთობების დამყარებისა და შეთანხმებების მიღწევის უნარ-ჩვევები; სწრაფვა მუდმივი წინსვლისაკენ;
- ორგანიზებული, კრეატიული, ენერგიული და დისციპლინირებული;
- ჯგუფში მუშაობის უნარი;
- მოვლენების გაანალიზების, შეფასებისა და წერილობითი ან ზეპირი ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის გამორჩეული უნარი;
- ენები: ქართული; სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა.

განცხადების შემოტანის მსურველებს ვთხოვთ წარმოადგინონ საბუთები:

- CV (რეზიუმე)
- ფოტოსურათი
- დიპლომისა და სერტიფიკატების ასლები

ს.ს. სტანდარტ ბანკის სათავო ოფისში მისამართზე:

ეკა ბარამიძე
ადამიანთა რესურსების მართვისა და
ადმინისტრაციული განყოფილება
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 43

*ანაზღაურება:* 1300 ლარიდან + ბონუსი
*განცხადების შემოტანის ბოლო ვადა:* 12 აპრილი, 2006 წ.

ტესტირებისა და გასაუბრებისათვის მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ კვალიფიციური კანდიდატები.

STANDARD BANK
სტანდარტ ბანკი

## სტანდარტ ბანკი აცხადებს მიღებას პერსონალური ბანკირის თანამდებობაზე

*მოთხოვნები:*

- მინიმუმ 1 წლის სამუშაო გამოცდილება საბანკო დაწესებულებაში ან დაზღვევის სფეროში;
- ორგანიზებული, პასუხისმგებლობის გრძნობით, მოტივაცია წარმატებისათვის, სწრაფვა მუდმივი წინსვლისაკენ.

*საკვალიფიკაციო მოთხოვნები:*

- უმაღლესი განათლება;
- ენები: ქართული; სასურველია ინგლისური და რუსული ენების ცოდნა;
- საუკეთესო კომუნიკაცია, ანალიტიკური აზროვნება, მართვის უნარები.

განცხადების შემოტანის მსურველებს ვთხოვთ წარმოადგინონ საბუთები:

- CV (რეზიუმე)
- ფოტოსურათი
- დიპლომისა და სერტიფიკატების ასლები

ს.ს. სტანდარტ ბანკის სათავო ოფისში მისამართზე:

ეკა ბარამიძე
ადამიანთა რესურსების მართვისა და
ადმინისტრაციული განყოფილება
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 43

*ანაზღაურება:* 1500 ლარიდან + ბონუსი
*განცხადების შემოტანის ბოლო ვადა:* 12 აპრილი, 2006 წ.

ტესტირებისა და გასაუბრებისათვის მოწვეულნი იქნებიან მხოლოდ კვალიფიციური კანდიდატები.

# აფხაზური და რუსული სპეცსამსახურების დეზინფორმაცია აბსურდამდე მიდის

## საქართველო — ატომური ომის დამწყები?



— 1992 წლის 26 დეკემბრის დილას მასირებული საარტილერიო ცეცხლით დაიბომბოს ოჩამჩირის რაიონში 34 სამიზნე. გამოყენებული იქნეს 152 მმ კალიბრიანი ბირთვული საარტილერიო ჭურვები. — ბრძანებას ხელს აწერს 24-ე ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი გია ვაშაკიძე, ამტკიცებს გენერალ-მაიორი პაატა დათუაშვილი...

აფხაზეთის სპეცსამსახურები ირწმუნებიან, რომ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტი, რომელსაც გია ვაშაკიძისა და პაატა დათუაშვილის ხელმოწერები ამშვენებს, ქართული არმიის 24-ე ბრიგადის შტაბის აღებისას, აფხაზეთის ომის დროს ალმოაჩინეს.

სოხუმელ სეპარატისტთა ლიდერები იმასაც ამტკიცებენ, რომ ქართველმა სამხედროებმა 152 მმ კალიბრიანი ბირთვული ჭურვები ЗакВО-ს (ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი) საწყობების გაძარცვისას ჩაიგდეს ხელში, ხოლო 152 მმ კალიბრიანი თვითმავალი ჰაუბიცები თბილისს მოსკოვმა ოფიციალურად გადასცა. თუკი ქართველი მილიტარისტების გეგმა განხორციელდებოდა, მაშინ აფხაზეთის მთელი ტერიტორია, ისევე, როგორც შავი ზღვის აუზის ნაწილი რადიოაქტიურად დაბინძურდებოდა, რასაც მოჰყვებოდა მოსახლეობის დიდი ნაწილის დაავადება და დაღუპვა, — ირწმუნებიან სოხუმიდან.

რა კომენტარი შეიძლება გაუკეთდეს სეპარატისტთა ლიდერების ამ მორიგ ბრალდებას?

ეს სრული აბსურდია და გათვლილია იმ მკითხველზე, ვინც ვერ ერკვევა ბირთვული იარაღის ნიუანსებში, მათი შენახვისა და დაცვის წესებში.

სხვათა შორის, ამ სტატიის ავტორი სულაც არ გამორიცხავს, რომ აფხაზ სეპარატისტებს ყოფილი 24-ე ბრიგადის შტაბში, ოჩამჩირეში, 13 წლის წინ, მართლაც ალმოეჩინათ ასეთი დოკუმენტი (თუმცა, საინტერესოა, ამდენი ხანი სოხუმი რატომ დუმდა?), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იქ მოყვანილი მასალები რეალობას შეესაბამება.

თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართულ არმიას აფხაზეთის ომში, სამწუხაროდ, საერთოდ არ ჰყოლია 152 მმ კალიბრის მსროლელი არტილერია (თუ არ ჩათვლით ერთადერთ, 152 მმ კალიბრიან თვითმავალ საარტილერიო დანადგარ 2С3 Акация-ს, რომელიც რამდენიმე გასროლის შემდეგ მწყობრიდან გამოვიდა და საბრძოლო მოქმედებებში მთელი წლის განმავლობაში მონაწილეობა აღარ მიუღია), რომ აღარაფერი ვთქვათ ბირთვულ ჭურვებზე.




რუსეთს 1992-93 წლებში ქართული არმიისთვის არ გადმოუცია 152 მმ კალიბრიანი საარტილერიო დანადგარები. არც ის შეეფარდება სინამდვილეს, რომ ქართველმა სამხედროებმა ЗакВО-ს საწყობების გაძარცვისას ხელში ჩაიგდეს ბირთვული ჭურვები. იმ პერიოდში მართლაც გაიძარცვა რამდენიმე საწყობი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა — ბირთვული იარაღის საცავები.

სიმართლე რომ ითქვას, 1992-93 წლებისთვის საქართველოში არც ინახებოდა საბჭოთა ბირთვული იარაღი, რადგან ის საქართველოს ტერიტორიიდან მოსკოვმა 1989 წლის მაისისთვის გაიტანა, ეტყობა, 9 აპრილის ფაქტორის გათვალისწინებითაც.

საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე ინახებოდა მხოლოდ ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული იარაღი. ЗакВО-ს ვაზიანის საწყობის მიწისქვეშა საცავში განთავსებული იყო ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ბალისტიკური რაკეტების ბირთვული ქობინები, 152 მმ კალიბრიანი საარტილერიო ჭურვები და ბირთვული ნაღმები.

31-ე საჰაერო არმიის განკარგულებაში იყო ატომური საავიაციო ბომბები, რომლებიც ვაზიანის გარდა კოპიტნარშიც ინახებოდა. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მე-19 ცალკეულ არმიას ფონიჭალის მიწისქვეშა საცავში შენახული ჰქონდა რამდენიმე ბირთვული მუხტი, რომლებიც C-75 ტიპის იმ საზენიტო რაკეტებს უყენდებოდა, რომლებსაც თბილისის საჰაერო თავდაცვა ევალებოდათ. სავარაუდოდ, რამდენიმე ბირთვული მუხტი იმ C-75-ებისთვის იყო განკუთვნილი, რომლებიც გუდაუთას, სოხუმსა და ქუთაისს იცავდნენ.

ბირთვული იარაღის მომსახურება კარგად მომზადებულ სამხედრო დანაყოფებს ევალებოდათ, მათი დაშიფრული სახელწოდება იყო სამი 5-იანი. მხოლოდ მათ იცოდნენ ბირთვული მუხტების იარაღის ამა თუ იმ სახეობაზე დაყენება და საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა. ვინმე უცხოს შემთხვევით ხელში რომ ჩაეგდო ეს ბირთვული მუხტები, მათ აფეთქებასა და ჯაჭვური ბირთვული რეაქციის დაწყებას ვერ შეძლებდა.

ასე რომ, სეპარატისტთა ლიდერების მორიგი ბრალდება სრული აბსურდია. რაც შეეხება მათ მიერ მოყვანილ დოკუმენტს, ეს შეიძლება ქართველი სამხედროების მიერ ერთგვარი დეზინფორმაციის თამაშის მცდელობა უფრო იყოს. გენერალი პაატა დათუაშვილი ცოცხალი არ არის, იგი მოსკოვში, რუსეთის გენშტაბის საერთო საცხოვრებლის ეზოში გია ყარყარაშვილზე თავდასხმას შეეწირა 1994 წელს. გია ვაშაკიძე კი საქართველოში, ციხეში ზის, ოღონდ არა ბირთვული ომის გაჩაღების ბრალდებით...

ასეთი უაზრო ბრალდებების მაგივრად, ჯობს სეპარატისტებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს განუმარტონ, სად გაქრა ის რადიოაქტიური ენერგიის წყაროები (ისინი კოსმოსურ თანამგზავრებში კვების წყაროდ გამოიყენება), რომლებიც აფხაზეთიდან გამოსვლის წინ ქართველმა მეცნიერებმა სინოპში, ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის საცავებში გადამალეს.

P.S. ატომურ დარტყმებთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა: აფხაზეთის ომი დაწყებული იყო. ერთ ღამეს ფონიჭალის საზენიტო-სარაკეტო საინჟინრო ბაზაში ნასვამი თავდაცვის მინისტრი კიტოვანი მივარდა. იგი მოითხოვდა, გაემზადებინათ იქ შენახული ატომური ბომბი გუდაუთაში ჩამოსაგდებად. მინისტრი მხოლოდ მას შემდეგ დაწყნარდა, როდესაც, როგორც იქნა, გააგებინეს, რომ მიწისქვეშა საცავში შენახული მუხტი ატომური კი არ იყო, არამედ ატომური აფეთქების იმიტატორი, ანუ C-75 ტიპის საზენიტო რაკეტით მისი გაშვებისა და ცაში აფეთქების დროს მართლაც წარმოიშვებოდა ატომური „სოკო“, მაგრამ დარტყმის ეფექტისა და, რა თქმა უნდა, რადიაციული გამოსხივების გარეშე. ასეთი იმიტატორი მუხტები ფართომასშტაბიანი სამხედრო მანევრებისთვის იყო განკუთვნილი, რათა ჯარს დაენახა, როგორ გამოიყურება ატომური აფეთქება.

ისე, სეპარატისტთა ლიდერებს შეუძლიათ ამ ფაქტის გადამოწმება, კიტოვანი დღეს ხომ მოსკოვში ცხოვრობს.

## სამხედრო კალეიდოსკოპი

### ჯავშანჟილეტები — საკუთარი ფულით

ჯავშანჟილეტების გამო ამერიკულ არმიაში, უფრო სწორად კი ერაყში მოქმედ 160-ათასიან ამერიკულ სამხედრო კონტინგენტში, ახალი სკანდალი დაიწყო.

ამის მიზეზი გახდა ის, რომ ერაყში გაგზავნილ სამხედროებს პენტაგონი თავდაპირველად ვერ უზრუნველყოფდა საჭირო რაოდენობის ჯავშანჟილეტებით. ამიტომ ამერიკელი ჯარისკაცები და ოფიცრები იძულებულნი იყვნენ, ის საკუთარი ფულით შეეძინათ — უჯავშანჟილეტოდ ერაყის ქუჩებში გამოჩენა ხომ უეჭველი სიკვდილია.

მოგვიანებით, სენატორების ზეწოლით, პენტაგონმა გამოყო საკომპენსაციო სახსრები იმ სამხედროთათვის, რომლებმაც საკუთარი ჯიბიდან შეიძინეს აუცილებელი ნივთი.

ამ დღეებში პენტაგონის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად მოითხოვა ყველა იმ კომერციული და არასანქციონირებული ჯავშანჟილეტების მოხსნა, რომლებიც იმ ფირმებისგანაა ნაყიდი, ვისთანაც პენტაგონს კონტრაქტი არა აქვს გაფორმებული. ამას ამერიკელი სამხედროების დიდი ნაწილის პროტესტი მოჰყვა.

ჯავშანჟილეტების თემას ამხელა ყურადღება ტყუილად არ ეთმობა. ამერიკელ სამხედროებს ერაყში დღედაღამ ჯავშანჟილეტები და ჩაფხუტები მოსავთ (მათ შორის იქაც, სადაც საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს). ასე რომ არ მოიქცნენ, დაჭრისა და დაღუპვის შემთხვევაში პენტაგონი კომპენსაციას არ გადაიხდის მოტივით — სამხედრო თვითონ იყო დამნაშავე, ჯავშანჟილეტი არ ეცვაო.

### სუპერ-სუპერბომბი ნევადას შეაზანზარებს

ბოლო წლებში აშშ-ში ცდიდნენ 10-ტონიან სუპერბომბებს ტერორისტების ბუნკერებისთვის „ნერტილოვანი“ დარტყმის მისაყენებლად.

დღეს კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ პენტაგონი ამით აღარ კმაყოფილდება და 2 ივნისს, ნევადის პოლიგონზე აპირებს დაახლოებით 700-ტონიანი სუპერ-სუპერბომბის აფეთქებას.

ამხელა ბომბის წაღება დღეისათვის არსებულ არც ერთ ბალისტიკურ რაკეტას და ბომბდამშენს არ შეუძლია. თუმცა გამოცდის მთავარი მიზანია, მისი აფეთქებით დაადგინონ, რამდენად დაზიანდება 30 მ-ის სიღრმეში, კლდეში მოწყობილი ბუნკერები. ალბათ, ამ ინტერესის მიზეზი არის ის, რომ საერთაშორისო ტერორისტების მოუხელთებელი ლიდერი, უსამა ბინ ლადენი, სავარაუდოდ ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე სწორედ ასე ღრმად მოწყობილ ბუნკერში იმალება. არც ის არის გამორიცხული, რომ ვაშინგტონის მორიგი პოტენციური „მსხვერპლის“ — ირანის მთელი სამხედრო ინფრასტრუქტურა შეიძლება ასევე მიწის სიღრმეში იყოს გადამალული.

ნევადის პოლიგონიდან, სადაც ათწლეულების განმავლობაში ხორციელდებოდა ბირთვული გამოცდები, 105 კმ-ის დაშორებით განთავსებულია ლეგენდარული ლას-ვეგასის კაზინოები. პენტაგონი ამშვიდებს სათამაშო ბიზნესის „ზვიგენებს“ — 700-ტონიანი ბომბის აფეთქება სათამაშო მაგიდების მაუდის ბეწვსაც კი არ შეარხევსო.

## არსენალი

# სამლულიანი პისტოლეტი კოსმონავტებისთვის

რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა




რითი არიან დაცულნი უკიდეგანო კოსმოსურ სივრცეში, დედამიწის ორბიტაზე თვეობით „მბრუნავი“ კოსმონავტები და რა შეიძლება იღონონ მათ, თუკი ე.წ. უცხოპლანეტელების თავდასხმის სამიზნე გახდებიან?

ეს თემა ბევრს აინტერესებს. თუმცა, როგორც ჩანს, ლაზერული პისტოლეტებით უცხოპლანეტელ მონსტრებს მხოლოდ ფანტასტიკურ მხატვრულ ფილმებში თუ უსწორდებიან, რეალურად კი კოსმონავტები შეუიარაღებელნი არიან.

მართალია, ჯერ კიდევ 1975 წლის იანვარში საბჭოთა კოსმონავტებმა კოსმოსურ სადგურ „ალმაზიდან“ გამოსაცდელად 23 მმ კალიბრიანი სწრაფმსროლელი ქვემეხი გამოსცადეს (ჭურვები დედამიწის ატმოსფეროში შემოიჭრა და დაიწვა), მაგრამ შემდეგ ასეთი ცდები შეწყდა.

სულ თავიდან კოსმონავტები „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულნი. ოღონდ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ „მაკაროვები“ მუდამ ქამარში ჰქონდათ გარჭობილი.

პისტოლეტები კოსმონავტთა ხელუხლებელ მარაგში იყო და დედამიწაზე დაშვების შემდეგ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენებდნენ.

1965 წელს მართლაც ასე მოხდა. საბჭოთა კოსმონავტები — ალექსეი ლეონოვი (იგი მსოფლიოში პირველი გავიდა ხომალდიდან ღია კოსმოსში) და პაველ ბელიაევი ავარიულ რეჟიმში ციმბირში, თოვლიან ტაიგაში დაეშვნენ. მათ მოძებნასა და გამოყვანას რამდენიმე დღე დასჭირდა. ეს ორი კოსმონავტებისთვის ნამდვილი კოშმარი იყო, რადგან „მაკაროვებით“ ძლივს ახერხებდნენ უზარმაზარი დამშეული დათვების მოგერიებას.

ამის შემდეგ კოსმონავტებმა ხელმძღვანელობას დაჟინებით მოსთხოვეს ასეთი ექსტრემალური შემთხვევებისთვის ხელუხლებელ მარაგში „მაკაროვების“ ნაცვლად უფრო სერიოზული იარაღი ჩაედოთ.

თხოვნა 21 წლის შემდეგ შესრულდა. კოსმოსური ხომალდების ხელუხლებელ მარაგში „მაკაროვები“ ТП-82 სამლულიანი პისტოლეტებით შეცვალეს.

ТП-82-ს ასეთი განმარტება აქვს: „სატარებელი საავარიო მარაგის ცეცხლსასროლი იარაღი“. მისი დანიშნულებაა მხეცების მოგერიება, დახოცვა, საკვების მოპოვება (ნადირობა) და სიგნალის მიცემა საფრენი აპარატების ეკიპაჟებისთვის.

მართალია, ТП-82 ჯერ კიდევ 1982 წელს შეიმუშავეს, მაგრამ მის „ჭკუაზე მოყვანას“ კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდა და საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში 1986 წელს მიიღეს. პირველი პისტოლეტები კოსმოსში 1986 წელს საბჭოთა-ფრანგულ ეკიპაჟს გაატანეს.

ТП-82 არაავტომატურია. მას სამი ლულა აქვს: ორი, ზედა — გლუვია, მესამე, შუა ქვედა — ხრახნიანი.

გლუვი ლულები 30-ე სანადირო კალიბრისაა და მათში 12,5X70 მმ ტიპის სანადირო ვაზნები თავსდება. ვაზნები №3 ტიპის საფანტითაა დატენილი, რომელიც 40 მ-ის დისტანციაზე ინარჩუნებს ეფექტიანობას. კომპლექტში ათი ასეთი ვაზნის მარაგია.

ამ ლულებიდან სასიგნალო ვაზნების გასროლაც შეიძლება. წითელი ფერის სასიგნალო მაშხალა 100-165 მ-ის სიმაღლეზე ადის და 8-11 წმ იწვის. ეს სრულიად საკმარისია, რომ სასიგნალო მაშხალა დღისით 7-9 კმ-ის რადიუსში შეამჩნიონ, ღამით კი — პირდაპირი ხედვის მთელ არეალში. მარაგში 5 სასიგნალო ვაზნაა.

მესამე, ხრახნიანი ლულის კალიბრი 5,45 მმ-ია, თუმცა იგი AK-74 ტიპის ავტომატის ვაზნის იდენტური არ არის. 3,6 გ-იანი ტყვიის საწყისი სიჩქარე 840 მ/წმ-ია და ეფექტიანობას 200 მ-იან დისტანციაზე ინარჩუნებს. ტყვია ექსპანსიური ტიპისაა (თავი წაჭრილი აქვს) და დიდი მომაკვდინებელი ეფექტი გააჩნია. კომპლექტში 11 ასეთი ვაზნის მარაგია.

სამი სხვადასხვა ტიპის ვაზნის ქონა უდაბურ ადგილზე დაშვებულ კოსმონავტს საშუალებას აძლევს იმოქმედოს სიტუაციის მიხედვით — მოახლოებულ დათვს გლუვი ლულებიდან მსხვილი საფანტი დაახალოს, ხოლო შორს მყოფ ტახს ხრახნიანი ლულიდან ექსპანსიური ტყვია ესროლოს.

კოსმონავტის სამლულიანი პისტოლეტი (ვაზნების გარეშე) 1,6 კგ-ს იწონის. მას ტარზე უმაგრდება 800 გ-იანი მაჩეტე, რომელიც კონდახის მოვალეობას ასრულებს. საჭიროების შემთხვევაში მაჩეტე ეხსნება პისტოლეტს და გამოიყენება ტყეში გზის გასაკაფად ან სხვა მიზნებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ კოსმონავტებს ალჭურვილობაში „მაკაროვზე“ უფრო სერიოზული იარაღი გამოუჩნდათ, ღია კოსმოსში ისინი მაინც დაუცველები დარჩნენ. საქმე ის არის, რომ სამლულიანი პისტოლეტები ხელუხლებელ მარაგშია „ჩაპრესილი“ სხვა ნივთებთან ერთად. თუკი კოსმონავტი მოინდომებს ორბიტაზე მის ამოღებას, უკან ჩადება ძალიან გაჭირდება. ატმოსფეროში შემოსვლისას კი კოსმოსური დასაშვები აპარატი და შიგ მყოფი კოსმონავტები ძალიან დიდ დატვირთვას განიცდიან, ხოლო ცუდად დამაგრებული პისტოლეტები სერიოზული სა-

არ გამოგრჩეთ!

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი




ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

კრიმინალური ისტორია, რომელსაც ქვემოთ გიამბობთ, დასავლეთ საქართველოში მოხდა და თავისი სისასტიკით იმდენად ალმაშფოთებელია, რომ პრეზიდენტმა ერთ-ერთ მორიგ ბრიფინგზე მისი დაუყოვნებლივ შესწავლა-გამოძიება მოითხოვა, რის შედეგადაც სამართალდამცველებმა ცხრა კაცი დააპატიმრეს. თუმცა დაზარალებული ეჭვს გამოთქვამს, რომ ეს ხალხი არაფერ შუაშია, სხვებს კი მიაჩნიათ, რომ პოლიციის მაღალჩინოსნებმა თავიანთ კონტრაბანდულ ბიზნესსაქმიანობაში კონკურენტები ჩამოიცილეს. იკვეთება სხვა, არანაკლებ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი ეჭვიც, რასაც სავსებით ლოგიკური კითხვა მოსდევს — რატომ? ბუნებრივია, საგაზეთო წერილი ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვერ გასცემს (თუმცა შეიძლება უფრო მრავლისმეტყველი იყოს, ვიდრე თეთრი ძაფით ნაკერი საგამოძიებო საქმე), მაგრამ მაინც შევეცდებით ჩვენი მოსაზრებების გამოთქმას. დასანანია, რომ დაზარალებულმა, რომელიც თავდაპირველად დაუფარავად ლაპარაკობდა ამ ჩახლართულ კრიმინალურ ისტორიაზე და ვარაუდებსაც გამოთქვამდა, მოგვიანებით პირში წყალი ჩაიგუბა და ახლა ძალზე განიცდის თავისი სახელის ხსენებას. რას ვიზამთ, ნებისმიერ მოქალაქეს, მით უმეტეს, დაზარალებულს, ნამდვილად აქვს ამის უფლება. თუმცა გვეეჭვება, ის ამას თავისი სურვილით აკეთებდეს. უფრო მოსალოდნელია, რომ აიძულეს. თუმცა ეს ჩვენი ვარაუდია და მეტი არაფერი.

კიდევ უფრო რომ არ გავალიზიანოთ ისედაც გაწამებული ადამიანები, გადავწყვიტეთ ნაამბობში გვარსახელები და სამოქმედო არეალი შეგვეცვალა. მაშ ასე, უტყუარი კრიმინალური ფაქტები და ჩვენი ვერსიები „კვირის პალიტრის“ რუბრიკა „ვერსიაში“.

— წუხელაც იგივე განმეორდა... სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს, კონტრაბანდული საქონლით დატვირთული მანქანები ჩვენს ცხვირწინ დადიან... მომეცით ოპერაციის ჩატარების უფლება და ამაღამვე ავიყვან რამდენიმე ჯგუფს. ამას თუ არ გავაკეთებთ, მაშ რა აზრი აქვს ჩემს მუშაობას?! — განუცხადა თავის უფროსს მაიორმა ჯემალ შონიამ და პასუხის მოლოდინში სკამზე ჩამოჯდა.

— ვინ გიშლის მერე? ამგვარი ოპერაციების წინააღმდეგი მხოლოდ იმიტომ ვარ, რომ ვიცი, ეგენი ყველაფერზე წამსვლელი ხალხია. არ მინდა სისხლი დაიღვაროს. კარგი, ბატონო, მომიტანე ღონისძიების გეგმა, შეარჩიე ბიჭები და ამაღამვე შეუდექი საქმეს. ჰო, მართლა, ამასწინანდელი მკვლელობის ჩამდენი ჯგუფის დაკავებას როდის აპირებ?

— ხვალ ნაშუადღევს, — ჯემალი ყურებს არ უჯერებდა. პოლიციის უფროსი აშკარად შეცვლილი ჩანდა.

„მეც კარგი უნამუსო ვარ, — გაიფიქრა, — როგორ დავიჯერე, რომ ამბობენ, პოლიციის უფროსი შეკრულია კონტრაბანდისტებთან და ვიდრე აქაურობას არ მოაშორებენ, ამ საქმეს არაფერი ეშველებაო“.

— კი, ბატონო, გეგმას ნახევარ საათში წარმოგიდგენთ, ოღონდ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, ერთი პირობა უნდა შემისრულოთ.

— ბრძანე...

— ოპერაციის არც ერთმა მონაწილემ ბოლო წუთამდე არ უნდა იცოდეს, რა კატეგორიის დამნაშავეებთან ექნება საქმე.

— ასე იყოს, თუმცა ვერ გამიგია — ხალხს არ ენდობი და მათთან ერთად საქმეზე მიდიხარ? — უკმაყოფილოდ აიჩეჩა მხრები პოლიციის უფროსმა.

— როგორ არ ვენდობი, მაგრამ უმრავლესობა ძალზე ახალგაზრდაა. თუნდაც ტელეფონით საუბრისას რომ წაიტრაბახონ, ასეთ მნიშვნელოვან ოპერაციაში ვმონაწილეობო, ყველაფერი ჩაიშლება...

— გავიგე, მაგრამ ნდობა მაინც საჭიროა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა უფროსმა, — ბენზინით სავსე ცისტერნები აქ შემოიყვანე, პოლიციის ეზოში. თავი არ მომჭრა და იმ შენი ძმისა და ბიძაშვილის ავტოგასამართ სადგურს არ დაუტოვო.

— როგორ გეკადრებათ! ჩემები ჩამორთმეულ ბენზინს კი არა, კონტრაბანდულსაც არ ყიდულობენ, თბილისიდან ჩამოაქვთ. ეგ მე რომც ვიკადრო, გელა და ნოდარი არ იზამენ მაგ საქმეს.

— შევთანხმდით. ჰო, მართლა, შენი მოადგილე რატომ არ არის ამ სიაში, ვახტანგსაც არ ენდობი? — იჭვნეულად იკითხა უფროსმა.

— კი, როგორ არა... ეტყობა, გამომრჩა, — ცოტა არ იყოს, დაიბნა ჯემალი.

„საით უმიზნებს ნეტავ, რაო, ახლა გაიგო, რომ ვახტანგს ორ ნაბიჯზეც არ ვენდობი? ახლა იძულებული ვარ, საქმეში ჩავრთო და გეგმაც გავანდო“, — ფიქრობდა თავის სამუშაო ოთახში დაბრუნებული ჯემალი.

იმ ღამეს ოპერაციაზე მიმავალ პოლიციელთა ჯგუფს კონტრაბანდისტებმა სროლა აუტეხეს. ხანმოკლე ბათქაბუთქში მხოლოდ ერთი და ისიც სასიკვდილო ტყვია მისწვდა მიზანს — მოკლული ჯემალ შონია იყო.

— ნიჭიერი ბიჭი დაგველუპა, ულალატო და საქმის ერთგული. ერთადერთი ნაკლი ჰქონდა უბედურს — თავის გარემოცვას არ ენდობოდა, მათ შორის მეც, მის უფროსს. ვიცოდი, რომ დღეს მკვლელები უნდა აეყვანა, თუმცა არ ვიცი, ვინ... ასე რომ, გუშინ გახსნილი საქმე დღეს ისევ გაუხსნელია. მან ერთადერთმა იცოდა ამ ლაბირინთის გასაღები. ეჭვი არ არის, ყველაფერს მოუვლიდა და მეც სიამოვნებით დავუთმობდი სავარძელს, ისედაც საპენსიო ვარ. ახლა კი მომიწევს მის ადგილზე ვახტანგი დავნიშნო, ასეა თუ ისე, სხვაზე მეტად სწორედ მას ენდობოდა ჯემალი. დღეიდან ვახტანგი წაიყვანს სისხლის სამართლის საქმეებს, — განუცხადა უფროსმა ხელქვეითებს და პირველი გავიდა კაბინეტიდან...

ჯემალის მკვლელობის ფაქტზე საქმე კი აღიძრა, მაგრამ ძალოვნებს მის გასახსნელად ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ — მკვლელობა ენგურგალმელებმა ჩაიდინეს. ჩვენი იურისდიქცია კი იქ არ ვრცელდებაო და საქმე თაროზე შემოდეს.

— რად უნდა მკვლელის მიგნებას იურისდიქცია, აფხაზეთშიც ხომ ჩვენნაირი ხალხი ცხოვრობს? ზოგთან დღემდე ვმეგობრობთ, ზოგსაც — ვენათესავებით. გელა, ამ „კალონკას“ კარგად უნდა მივხედოთ, შესაძლოა ჯემალის გარეშე დაჩაგვრა დაგვიპირონ, თანაც ამხელა ვალი წამოვიკიდეთ. მართალია, ცოტა გავფართოვდით, მაგრამ ალბათ კარგა ხანს ვერ გავისტუმრებთ. ახლა კი ის უნდა გავიგო, აქაურებიდან ვინ გაყიდა ოპერაცია, მერე კი მკვლელებსაც მივაგნებ. არ გამიკვირდება, თუ შემსრულებლები ენგურგალმელი ქართველები იქნებიან. მართალია, შენი და ჯემალის ღვიძლი ძმა არა ვარ, მაგრამ ალალი ბიძაშვილები ხომ ვართ, თქვენზე უკეთესი არავინ მყავს და თავის განწირვა რომ დამჭირდეს, მაინც მივაღწევ სანადელს — ეუბნებოდა გელას ნოდარი, რომელიც ორი წელი და ექვსი თვე ეძებდა ჯემალის გამცემსა და მკვლელებს. ვინ იცის, რამდენჯერ მოიარა სამეგრელო და აფხაზეთის ნახევარი მაინც. ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იკვლევდა ყველაფერს. კიდევ ცოტაც და, ალბათ მიზანსაც მიაღწევდა, მაგრამ...

იმ დღეს ნოდარს საეჭვოდ მოხვდა თვალში უცხო „მერსედესი“. ჯერ ავტოგასამართ სადგურზე, ახლა კიდევ აგერ, დაბინდებისას სახლისკენ მიმავალს გზაზე რომ გადაუსწრო, დაინახა — საჭესთან მჯდომი ახალგაზრდა ნერვიულად ჩასძახოდა რაღაცას ტელეფონს. კარგი იქნებოდა, ნოდარს იმ საუბრის შინაარსიც რომ მოესმინა. ეგებ თავიდან აეცილებინა თავდასხმა. მაგრამ, როგორ?

ტელეფონში კი იმწუთას ამგვარი საუბარი მიმდინარეობდა.

— ალო, მუსა, ნაკლადკაა ეს ოხერი. იმ ადგილზე ჩასაფრებულებს, სადაც ეგ მანქანა უნდა გაგვეჩერებინა, ნაჯახიანი მამაკაცი დაგვესხა თავს. ჩემს ბაღში თხილის მოსაპარავად ხართ შემოსულები, ახლავე მილიციაში უნდა წაგრეკოთო. ახლაც თავზე გვადგას და ნაჯახს გვილერებს, ხელის განძრევა და ერთ-ერთ თქვენგანს თავს გავუპობო. არადა ამის გასაღება არ ივარგებს.

— გაკოჭეთ და თხილნარში დააგდეთ, ოღონდ სწრაფად.

არც ისე იოლი იყო ჯანმაგარი იულონ კვაკვასკირის გათოკვა. ნაბიჯი წადგეს თუ არა, იმავე წამს გამეტებით მოუქნია ნაჯახი სამიდან სხვებზე უფრო ზორბას და მართალია, ამ უკანასკნელმა იმარჯვა და თავი გაარიდა, მაგრამ გრძელტარიანმა ნაჯახმა მის მხარს მაინც უწია და სისხლმაც შადრევანივით იფეთქა. ეგ იყო და ეგ, სხვა ვერაფერი მოახერხა თხილნარის პატრონმა იულონმა, ნაესივენებ და წიხლები დააყარეს „თხილის ქურდებმა“, გათოკეს, პირი აუკრეს და მიაგდეს. მერე, როცა ქვემოდან ამომავალი ნოდარის „ჟიგული“ შენიშნეს, აღმართის თავში მანქანით გაჩერებულ თანამოსაქმეს ანიშნეს, აქეთ წამოდიო.

იულონის თხილნარის ღობესთან გამავალი სამანქანო გზა ისე ვიწროვდებოდა, რომ ორიდან ერთერთ მანქანას გზა უნდა დაეთმო. ნესით, გავლის უპირატესობა ქვემოდან მომავალს ჰქონდა, მაგრამ რაკი შემხვედრი გაჩერებას არ აპირებდა, ისევ ნოდარმა გამოიჩინა თავაზიანობა, მანქანა თხილნარის ღობესთან მიაყენა და რომ ეგონა, ჩაივლის და გზას გავაგრძელებო, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, სამი ნიღბიანი დაესხა თავს. ნოდარმა გაბრძოლება დააპირა, მაგრამ ერთს ხელში გრძელტარიანი, გასისხლიანებული ნაჯახი რომ დაუნახა, იფიქრა, ესენი არ დამზოგავენო და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

— მშვიდად, ბიჭებო, აგერ მანქანა, გასაღებიც თქვენი იყოს, ჯიბეში ოცდათხუთმეტი ლარი მაქვს და ესეც წაიღეთ, ოღონდ...

— ვის რად უნდა შენი მანქანა და შენი ოცდათხუთმეტი ლარი, გადმოეთრიე შენი...

დასაკეცი ავტომატის კონდახი შიგ კბილებში ჩაარტყა ერთმა, მეორემ პისტოლეტის ლულა აძგერა ყურის ბიბილოსთან, მესამეს ხელი არ გაუნძრევია, სახელდახელოდ გადახვეული მხრიდან ჯერაც თქრიალით მოსდიოდა სისხლი. ირგვლივ არავინ იყო, მაგრამ ჩქარობდნენ — ნოდარი გაკოჭეს, თვალებიც აუხვიეს და ზემოდან სკოჩი გადააკრეს. სკოჩივე გადაუჭირეს ცხვირ-პირზე. კაცი ხროტინებდა, იფიქრა, ეს ყოფილა ჩემი აღსასრულიო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ავტომანქანაში ჩატენეს და ზემოდან დაასხდნენ, იგრძნო, რომ გაჭირვებით, მაგრამ მაინც სუნთქავდა. ორი ტანსრული კაცის ქვეშ მოქცეული სიმწრისაგან იკლაკნებოდა და თან იმაზე ფიქრობდა, ავტომანქანის მოძრაობის მიმართულება არ გამომეპაროსო. დაღმართი მალე ჩაათავეს და ახლა ვაკეზე მიქროდნენ. უეცრად ავტომანქანამ მარცხნივ გაუხვია და ცოტა ხანში ისეთი რწევა დაიწყო, ნოდარს ეგონა, აგერ-აგერ გადავბრუნდებითო. მერე წყლის ჩხრიალიც რომ მოესმა, მიხვდა, — აფხაზეთში მიჰყავდათ. ვიღაცის მობილურმა ტელეფონმა დარეკა.

— ყველაფერი რიგზეა, თავისუფალ ზონაში ვართ, — მოახსენა ვიღაცას რუსულად იმავე ხმამ, რომელიც ავტომანქანაში მსხდომებთან მეგრულად და ქართულადაც ლაპარაკობდა. ისეთი კილო ჰქონდა, იმერელი ან გურული უნდა ყოფილიყო. თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი რამ უეჭველი იყო: ნოდარი გაიტაცეს. მისი ვარაუდიც გამართლდა — მძღოლის ჩათვლით ოთხივენი ქართველები იყვნენ. ავტომანქანა დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ გაჩერდა. ნოდარის ანგარიშით, სადღაც ოჩამჩირის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყვნენ, მალე აფხაზურ-რუსული ლაპარაკიც მისწვდა მის ყურს. ტყვე გადმოიყვანეს, ფეხები შეუხსნეს, თვალახვეულს ზემოდან ტომარა გადააცვეს და ცოტა ხანში სადღაც ოთახში შეიყვანეს. მის დანახვაზე წამოსროლილი მოწონების შეძახილები მალე „საქმიანმა“ განკარგულებამ შეცვალა — აბა, საქმეს მივხედოთო და იმ წუთიდან დაიწყო და ოცდახუთი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ნოდარის წამება, ცემა, შეურაცხყოფა, შიმშილი, სიცივე...

გამტაცებლები ერთ მილიონ დოლარს ითხოვდნენ.

— როგორ, საიდან, მე და ჩემს ბიძაშვილს ჯერ „კალონკის“ ასაშენებელი სესხიც არ გაგვისტუმრებია.

— აბა, რაა ეს საბანკო ანგარიშები (აშკარა იყო, ვიღაც ბანკიდან აწვდიდა ინფორმაციას გამტაცებლებს) — თვრამეტი ათასი, ოცი ათასი, ოცდასამი ათასი. რაც „კალონკა“ აამუშავეთ, რვა მილიონი მაინც უნდა გქონდეთ ნაშოვნი, — მათრახს იქნევდა გამტაცებლების წინამძღოლი.

— ეგ ის ფულია, რომელიც ჩვენ ნისიად აღებული ბენზინის გაყიდვის სანაცვლოდ ჩავურიცხეთ მომწოდებელს. მოგებიდან მხოლოდ კაპიკები გვრჩება. იქიდანაც ნაწილი საგადასახადოს მიაქვს, ნაწილს კი სამი ოჯახი ვიყოფთ: მე, ჩემი ბიძაშვილი გელა და ჩვენი დაღუპული ძმის, ჯემალის ოჯახი. ასე რომ, ვიღაცამ შეცდომაში შეგიყვანათ. ვალების მეტი არაფერი გვაბადია, ტყუილად მაწამებთ.

— იცი შენ, რაც გვიყო იმ შენმა ჯემალმა, მაგის გულისთვის ოჯახები მივატოვეთ და აფხაზებს შევეკედლეთ. მიდი, კედელთან მიდექი, შენი... — და მოქნეულმა მათრახმა ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს ჰაერი გაიფხრიწაო. უეცრად ნოდარის ზურგს უკან პისტოლეტმა იქუხა და ტყვიამ ხელის მტევანი გაუხვრიტა. ნოდარის ღრიალი იქაურობას აზანზარებდა... როგორც იქნა, თვალებზე სახვევი ახსნეს და აიძულეს, სისხლიანი ხელებით პირი დაებანა. გვიანღა გაარჩია, რომ მის წამებას ვიდეოკამერით იღებდნენ.

— სამი კვირაა შენიანები გვევაჭრებიან, ხან ოცდაათ ათას დოლარს გვთავაზობენ, ხან — ორმოცდაათს, ჩვენ კი ნახევარ მილიონზე ჩამოვედით. თუ ხვალ თორმეტ საათამდე ამ ფულს არ მოიტანენ, ჩაგაძაღლებთ...

ნოდარს ხელი გადაუხვიეს, მერე საფლავი გააჭრევინეს და იმაზე დაიწყეს თათბირი, როგორ მოეკლათ. ერთმა ხერხიც კი მოიტანა, ნაწილნაწილ დავხერხოთო. ნოდარს ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ მოკლავდნენ, რადგან იცოდა, მისიანები ამდენ ფულს ვერაფრით შეაგროვებდნენ.

მეორე დღეს გელას დაურეკეს, — ახლა თორმეტი საათია, ულტიმატუმის ვადა ამოიწურა და რას შვრებითო. ნოდარის გასაკვირად გელამ უპასუხა, ოთხმოცი ათასი დოლარი შევაგროვეთ, თუ ერთ-ორ დღეს დაგვაცლით, იქნებ ოცი ათასიც დავამატოთ და ასი ათასს გადმოგცემთ, ოღონდ ამის მეტს ველარ ვიშოვითო.

— მოვკლათ ამისი... — იარაღი იშიშვლა ვიღაცამ.

— არა, ამას რომ ფული ჰქონდეს, ამდენ წამებას ვერ აიტანდა. თვითონვე იყვირებდა, აქა და აქ მაქვს გადამალულიო. ამისიანებს რომ დიდი ფულის შეგროვება შეეძლოთ, იმ ვიდეოკასეტის ნახვის შემდეგ, რომელზეც ამის წამებაა ჩაწერილი, უეჭველად იშოვიდნენ. მოკლედ, ის ასი ათასი ავიღოთ და ეს კაცი გავუშვათ, დროს ტყუილად ვკარგავთ. ამის სანაცვლოდ კი იმას დავკიდებ აი, იმ ხეზე, ვინც ეგ უბედური შემოგვიგდო, — გადაწყვიტა წინამძღოლმა და თავისი ხელით მოხსნა რადიატორზე მიბმული ნოდარი, ფეხზე წამოაყენა და თვალებში ჩახედა:

— ვინა ხართ, ეს ქართველები, აბა, კარგად დაფიქრდი და მიპასუხე, შეგიძლია, დამისახელო თუნდაც ერთი აფხაზი, ვინც მეორე აფხაზს ასე გაყიდის, მოიტაცებს და თქვენს მხარეს შეაფარებს თავს. გამაგებინეთ, რას ვერ იყოფთ, რატომ ვერ იტანთ ერთმანეთს? შენს მოკვლას მთხოვენ, მე კი არც ის მინდა, რომ მოგკლა და არც ის, სხვამ მოკლას ჩემი გაშვებული კაცი. ამაღამ ენგურამდე ჩემები ჩაგიყვანენ, იქიდან კი ისე უნდა იარო სახლამდე, რომ არავის შეხვდე.

P. S. სახლამდე კი მიაღწია ნოდარმა, მაგრამ ადგილობრივი ტელევიზიის კორესპონდენტების გარდა, არავის მიუკითხავს მისთვის. მერე ყოფილი პარტიზანული შენაერთის ცხრა წევრი დაიჭირა პოლიციამ და ნოდარისთვის ისიც კი არ უკითხავთ, რომელიმეზე თუ მაინც გაქვს ეჭვიო. ნოდარს იმედი ჰქონდა, ვიდეოკასეტაზე ამხელა მამხილებელი მასალაა აღბეჭდილი (თუნდაც ხმები რად ღირდა) და ესეც იკმარებს საქმის გასახსნელადო, მაგრამ პოლიციაში ფირის დედანი „დაეკარგათ“, დარჩათ მხოლოდ იქვე გადაწერილი, უხმო ფრაგმენტები, რომლის ასლიც (რაკი სხვა აღარაფერი მოეპოვებოდათ) იქაური ტელევიზიის ერთმა თანამშრომელმა ქვეყნის პირველი პირის გარემოცვას გადასცა. უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტმა ნახა ჩანაწერის ეს ფრაგმენტები და ბრიფინგზეც ილაპარაკა დანაშაულის გახსნის აუცილებლობაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ამით არაფერი შეცვლილა. იმ ცხრა დაკავებულიდან ექვსი კაცი უკვე გაათავისუფლეს. დანარჩენ სამს ფული არ ჰქონდა და ციხეში დაიტოვესო, ხუმრობდნენ მაშინ სამეგრელოში. შედეგი? შედეგი ის არის, რომ მას შემდეგ ენგურგამოღმა კიდევ რამდენიმე კაცი გაიტაცეს და დღესაც იტაცებენ...

## გაყიდული ოპერაცია და შემოგდებული მძევალი...



გაიტაცეს და დღესაც იტაცებენ...

*ვაჟა გავაშელი*

...როდესაც ხოტოველისთვის ჩამორთმეულ 60-მანეთიანს ვათვალიერებდი, თითქმის ეჭვი არ შემპარვია, რომ მასზე დაწერილი ციფრები და სახელი — პირობითი ნიშანი იყო... ელვასავით გამირბინა თავში, რომ წარწერა, სასტუმროს ნომერსა და შეხვედრის თარიღს მიუთითებდა... აღმოჩნდა, რომ 407-ე ნომერი დაკავებული აქვს ტაშკენტიდან ჩამოსულ ვინმე ტატიანა ბასკაკოვას... ხოტოველის დაკავება ჯერ საჭირო არ არის: ჩავიდეს წყალტუბოში, შეხვდეს ტანიას, ვნახოთ, ვის შეხვდება კიდევ 407-ე ნომერში...

ქურნალ „გზაში“!

მონანიება

# „უკეთუ მე მომკლან, ვგონებ საქართველო უვნებლად დარჩეს“

*XIII საუკუნე... ორმეფობითა და მონღოლთა მძიმე უღლით დაღდასმული საქართველო...*

*დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ღვთაებრივი თამარ მეფის ძლევამოსილი სამფლობელო ზეობდა ევროპა-აზიის განსადრეკელზე, „ვითარცა ზეციური ედემი“ დედამიწისა...*

*ჩამქრალა ქართული მზის ბრწყინვალება. ველურ დამპყრობელთა სისხლიან მახვილებს სასტიკად დაუჩეხიათ ერთიანი ივერია...*

*დასავლეთში რუსუდანის ძე დავით ნარინი მეფობს, აღმოსავლეთში ლაშას უკანონო ვაჟი, ისიც დავითი, ულუდ წოდებული. მონღოლური მეტსახელებით „დამშვენებული“ მეფენი, სამუდამოდ გათიშულნი და ერთმანეთის მოქიშპენი, ბედის სიმუხთლით ილხანურ-ირანული საყაენოს უბადრუკ ქვეშევრდომებად ქცეულან...*

*მონღოლთა მოძალებით ყველაზე უფრო დავით ულუ შეჭირვებულა. დამპყრობლებს ჯერაც ვერ გაუბედავთ ლიხსიქითა საქართველოში დიდი ლაშქრობა. თუმცა, ეს ვერაფერი შეღავათია გათიშულ-დაქუცმაცებული ქვეყნისთვის...*

*არსაიდან იმედის სხივი...*


წმინდა დემეტრე მეფე თავდადებული

მხატვარი გიორგი გეგეჭკორი

1260 წელი. დავით ულუს თბილისური სასახლე ძეობის სიხარულმა აახმიანა. აღმოსავლეთ საქართველოს გვირგვინოსანს გვანცა დედოფალმა ტახტის მემკვიდრე აჩუქა, რომელსაც დემეტრე დაარქვეს. ღვთის წყალობად და იმედად ინიშნა დავითმა ვაჟის მოვლინება, უარი განაცხადა ჰულაგუ ყაენის მორჩილებაზე და სამცხეს გამაგრდა, სარგის ჯაყელის სამფლობელოში. თავიდანვე განწირული იყო მეფის ნაბიჯი. ანკი რისი იმედი უნდა ჰქონოდა, როცა სარგისის გარდა, ყველა ქართველი ფეოდალი ჰულაგუს ეახლა ეგვიპტურ ლაშქრობაში.

ესეც არ აკმარა ბედისწერამ დავითს. არღუნ ნოინი ბიჯნისს მიიჭრა, გვანცა დედოფალი, უფლისწულ დემეტრესთან ერთად, მოიტაცა და ყაენს მიჰგვარა. ჰულაგუმ დავითის ხელში ჩაგდებაც ისურვა და გამოუშვა სამცხისკენ 30-ათასიანი ლაშქარი, რომლის ნახევარი მოღალატე ქართველი ერისმთავრების ჯარებისგან შედგებოდა(?!). 8 ათასი მეომრით შეება მეფე მტერს. სამცხელ მზვერავთა 1000-კაციანი რაზმი გადაეყარა მონღოლთა დაწინაურებულ ლაშქარს, საომრად დაეწყვნენ და 6000 ურჯულო ისე დააწვინეს, თითო-ოროლამ ძლივს გაასწრო მონღოლთა მთავარი ბანაკისკენ. სარგის ჯაყელი დაედევნა დაზაფრულ მტერს გასანადგურებლად. ვერც გადაურჩებოდნენ მონღოლები სასტიკ მარცხს, მაგრამ არღუნმა მოღალატე ერისმთავართა დახმარებით ხაფანგში მოაქცია მესხები და თავისსავე მოძმეებს დააჩეხინა.

მძევლებს მიადგა ჰულაგუ ყაენი. გვანცა დედოფალი მდინარეში ჩაახრჩობინა და უფლისწული დემეტრე მოიკითხა. საოცარია, მაგრამ არ დაანება ყრმის მოკვლა ჰულაგუს მისმავე მეუღლემ, მონღოლმა ქალმა და დემეტრეს სამფარველო ხელი დააფარა...

ბავშვობაც მძიმე და დაღდასმული ჰქონდა წამებულ მეფეს...

* * *

არც მთლად ცოლის ყურმოჭრილი ყმა იყო სისხლისმსმელი ჰულაგუ ყაენი. უეჭველია, ადრე თუ გვიან სიკვდილს შეჰყრიდა უმწეო მძევალს, მაგრამ მისი ლმობიერება კარსმომდგარმა საშიშროებამაც განაპირობა. ოქროს ურდოდან ბერქა ყაენი მოთქარუნობდა მის დასასჯელად და ქართული საომარი შემართება სჭირდებოდა გვანცა დედოფლის ჯალათს. შერიგება და მოლაპარაკება განიზრახა ქართველთა მეფესთან. სხვა რა გზა იყო და „შეურიგდა“ დავით ულუ მის დამაქცევარს. დემეტრეც გამოატანა საქართველოში ქართული ჯარებით თანადგომის სანაცვლოდ. შეეტაკნენ ჰულაგუ და ბერქა ერთმანეთს. გაიმარჯვა ჰულაგუმ ქართული ხმლის წყალობით. რა ბედენა იყო ერთი მონღოლის მეორეზე აღზევება. ამ გამარჯვებას ათასობით ქართველი ვაჟკაცის სისხლი ედო უიმედო ზვარაკად...

არ დასცალდა გამარჯვებით ტკბობა ჰულაგუს — მალევე აღესრულა. მაშინვე დაიძრა ბერქა ყაენი და აღმოსავლეთ საქართველოს აზღვევინა ჰულაგუსთან განცდილი მარცხი. ისტორიისთვის სულ რამდენიმე წინადადებაა, ურჯუკი ბერქას ხელმა კი ვინ მოთვლის, რამდენი ქართული სიცოცხლე ჩააქრო, რამდენი ქალაქი და სოფელი ამოაგდო...

ბედად, გარეჯის მთებში უცხო რამ სენი შეეყარა და სიცოცხლეც მოუსწრაფა ბერქა ყაენს. გადაიხვეწნენ მისი ჯარებიც. თითქოს სული მოითქვა საქართველომ...

* * *

თუმცა, სად ეცალა სულმოსათქმელად მტერმოძალებულ ქვეყანას. 1270 წელს აღესრულა დავით ულუ. იგლოვეს ქართველებმა ისიც და მისი გაწამებული მეფობაც. წლისთავზე კი აბაღა ყაენს ელჩობა გაუგზავნეს და დემეტრეს გამეფებაზე დასტური სთხოვეს. თანხმობა ბრძანა აბაღამ. 11 წლის დემეტრე საზეიმოდ აკურთხეს მეფედ.

ხუთიოდე წელი ძლივს დაისვენა უომრად საქართველომ და მოიჭრა ფაიქი საყაენოდან. ეგვიპტის სულთანს დასტაკებოდა აბაღა და ქართველთა ჯარს ითხოვდა სასწრაფოდ. გაეშურა 16 წლის დემეტრე მეფე რამდენიმე ათასი მეომრით და ღირსეულად გადაიხადა პირველი დიდი ბრძოლა. მალე ისევ მიესივნენ ერთმანეთს მონღოლები და ეგვიპტელები. ბექა ჯაყელის მესხებმა მილეწეს პირველსავე მისვლაზე ქალაქი დარბუზაკი. მერე ამასიასთან შეიბნენ მოქიშპენი. ახლა დემეტრე ჩადგა მეწინავედ. 200 ვაჟკაცით გაანგრია მტრის შუაგული და ეგვიპტის სასულთნო დროშისკენ გაიწია. 12 ათასი რჩეული მეომარი მიუსია სულთანმა მელიქ მანსურმა 200 ქართველს. სულზე მოუსწრო ბექა ჯაყელმა მტრის ალყაში თავგანწირვით მებრძოლ დემეტრე მეფეს. დამარცხდნენ ეგვიპტელები, გაიმარჯვეს მონღოლებმა(?!). ვილას ახსოვდა, დედა საქართველოს გარდა, 4 ათასი მამულიშვილი, მკერდშენგრეული რომ იწვა გვამებით მოფენილ საომარ ველზე...

* * *

მობრუნდა დემეტრე თავის სამეფოში. ტაძართა აღმშენებლობას შეუდგა, ქვრივ-ობოლთა და უპოვართა მოწყალებას ეშურებოდა ყოველღამ გლეხურად გადაცმული და ქუჩაბანდებში ფარულად მოსიარულე მეფე. ავ დროებას მისთვისაც დაესვა დაღი. ერთი ცოლი არ აკმარეს ქრისტიან მეფეს. მონღოლი ნოინის ქალის შერთვაც აიძულეს. პოლიტიკა მოითხოვდა და მესამედაც იქორწინა გვირგვინოსანმა. ეს ქორწილი იღბლიანი გამოდგა საქართველოსთვის: ბექა ჯაყელის ასული ნათელა შეიქნა დემეტრეს მესამე თანამეცხედრე, წლისთავზე კი დედოფალმა ვაჟი აჩუქა მეფეს, გიორგი — მომავალი დიდი ხელმწიფე საქართველოსი — ბრწყინვალედ წოდებული...

თითქოს საგარეო ვითარებაც ჩაწყნარდა. აბაღას შემდეგ არღუნი გახდა დიდი ყაენი. მის ტახტთან კი მთავარ ვეზირად იდგა ბუღა ნოინი, დემეტრეს მძახალი და მონღოლთა შორის ქართველთა მიმართ ყველაზე კეთილგანწყობილი. ბუღას გამოისობით წყალობას არ აკლებდა არღუნი დემეტრეს...

მაგრამ არ დასცალდა სიმშვიდე საქართველოს. არღუნმა მის წინააღმდეგ ის შეთქმულები გამოამჟღავნა, რომლებმაც მოთავედ ბუღა ნოინი დაასახელეს. ბევრი აღარ გამოუძიებიათ, ბუღას თავი გააგდებინეს და მისი თანამდგომნიც დედაბუდიანად გაულიტეს. მხოლოდ ქართველთა მეფე იყო ბუღა ნოინის ახლობელთაგან ცოცხალი და უვნებელი...

და დაიბარა არღუნმა დემეტრე საყაენოში...

* * *

1289 წლის ადრიანი გაზაფხული. მარტოდმარტო შეკეტილა დემეტრე მეფე სეფედარბაზში. ორივე კარს ხელშუბიანი სარანგნი უდგანან. შანდლის მკრთალი შუქით განათებულ მაგიდაზე გველივით დაგრაგნილა არღუნის მოსაწვევი. რიყრაჟზე მონაბერმა სიომ ააფრიალა გზავნილზე ავად მოკიაფე ყაენის ბეჭედი. იცის დემეტრემ, სიკვდილის განაჩენს უდრის ეს „დათაფლული“ მიწვევა. ის კი უბრალოა იმ შეთქმულებაში, მაგრამ ქართველთა მეფე ბუღა ნოინის მძახალია და ესეც საკმარისი საბუთია ყაენისთვის. არადა, ვაჟკაცობისა და ხელმწიფობის ზეობის ხანა უდგას 29 წლის დემეტრე მეფეს. ჯერ შორსაა საფრთხე. აი, ადგება, წაიყვანს ამალას, წაიყვანს ნათელა დედოფალს, ყრმა გიორგის, გაიხიზნება მიუვალ ფშავ-ხევსურეთის მთებში. სიმამრი ბექა ჯაყელიც ხომ მისი ერთგულია რამდენიმე ათასი მესხი ვაჟკაცით, ვერც მონღოლები შემოჰბედავენ ჭიუხებში გამაგრებულ მეფეს ჰაიჰარად... მერე გამოჩნდება სხვა რამ სავალიც...

კრიალოსანი აიქნია მეფემ. თავდაკვრით ეახლა სარანგთუფროსი. ათაბაგი ტარსაიჭ ორბელი ახმობინა დემეტრემ. მოეახლება, გასცემს გახიზვნის ბრძანებას და...

ისევ შეიკლაკნა ავად არღუნის გრაგნილი. უმეფოდ დარჩენილი საქართველოს, უმწეო ხალხის, იავარქმნილი მიწის სურათი ამოელანდა დემეტრეს. ბავშვებისა და დედების ტირილ-გოდებამ გაუელვა თუ ჩაესმა. იქნებ გიორგიმ წამოიტირა ნათელა დედოფლის სანთიობოში?!

მარჯვენა უნებურად მისწვდა ყაენის გრაგნილს და ნაკუწებად აქცია ხბოს მაგარ ტყავზე დაწერილი სიკვდილის განაჩენი...

ღვთისმშობლის ხატის წინაშე მუხლებზე დაეცა, გულმხურვალედ ილოცა, ახედა და... ცრემლი შეუმჩნია დედა მარიამს თვალებზე. ცრემლი თუ სისხლი?

ათაბაგი ეახლა...

სიჩუმე, შემზარავი სიჩუმე...

ამ სიჩუმეში სამკვდრო-სასიცოცხლო რკენა... საკუთარ სინდისთან...

— დარბაზის ერი მიხმე, ტარსაიჭ!..

მოვარდნილმა ნიავმა ჩააქრო ერთადერთი სანთელიც. ათაბაგმა მეფეს შეხედა — საოცარი შუქი ევლებოდა გარს ხატებთან დაჩოქილ დემეტრეს...

* * *

გარინდებულია დარბაზის ერი და ისმენს სიტყვას დემეტრე მეფისას: „თუ არ წარვიდე ურდოსა და წარვიდე მთიულეთს სიმაგრეთა შინა, მაშინ, აჰა, ყოველი ჩემი სამეფო მათ წინაშე ძევს, და იხილეთ: რაოდენი სული ქრისტიანი სიკვდილსა მიეცემის და ტყვე იქნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოხრდებიან, ხატნი და ჯვარნი დაიმუსვრიან! და უკეთუ წარვიდე ყაენთან, დასტურობით ვიცი, მომკლავს... რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მოოხრდეს ქვეყანა ჩემი? ან იყოს ნება ღმრთისა: მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და უკეთუ მე მომკლან, ვგონებ საქართველო უვნებლად დარჩეს“...

ვის რაღა ეთქმოდა და... წავიდა დემეტრე მეფე ყაენთან. კარგა ხანს სტანჯეს და სცადეს, მონღოლმა მსაჯულებმაც კი ვერავითარი ბრალი ვერ უპოვეს. მერე ქართველებმა როგორღაც მოვაკანის ციხის საკანში შეაღწიეს და მეფის გამოტაცება იზრახეს. არ ინება დემეტრემ...

სისხამ დილით გამოიყვანეს. კარის მოძღვარს — მოსეს — ზიარება სთხოვა. ნაზიარები ყველას გადაეხვია და გამოემშვიდობა. ცხენზე შესვეს ხელფეხშეკოჭილი და მდინარის პირას ჩაიყვანეს. ლოცვაღა მოასწრო საქართველოსთვის...

იდგა 1289 წლის ადრიანი გაზაფხული.

გლოვობდა სრულიად საქართველო. აღსრულებულიყო დემეტრე მეფე — თავდადებული!..

***საისტორიო წყაროების მიხედვით მოამზადა ზვიად სეხნიაშვილმა***




## რას გვეტყვი, მამაო?

**— მეორედ დავქორწინდი. ყოფილი დედამთილი თურმე დილიდან საღამომდე წყევლის ჩემს ახლანდელ მეუღლეს. ძალიან ვნერვიულობ. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, ქმარი მისი წყევლისგან რომ დავიცვა?**

— წყევლა მძიმე ცოდვაა და პირველ რიგში მაწყევარისაა, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ყოველგვარი ბოროტებისგან თავის არიდების საუკეთესო გზაა — ეკლესიური ცხოვრების დაწყება.

**— ახლობელმა შესცოდა. მოძღვართან იცრუა, მონათლული არა ვარო და ხელმეორედ მოინათლა. ვფიქრობ, ამ განმეორებით მონათვლას ანგარება ედო საფუძვლად. მალე მას ორი წლის გოგონა ტრაგიკულად დაეღუპა... შვილები აგებენ თუ არა პასუხს მშობლების ცოდვებზე და როგორ მოიქცეს დაღუპულის ოჯახი?**

— მეორედ ნათლობა უმძიმესი ცოდვაა. ამ დროს ჩვენ სულიერად ვიშვებით. ისევე როგორც ხორციელად შეუძლებელია მეორედ შობა, ასევე სულიერადაც დაუშვებელია. გარდა ამისა, ნათლობა თავისი არსით წარმოადგენს ქრისტესთან ერთად თანადაფვლას (წყალი მიწას განასახიერებს), და მასთან ერთად აღდგომას, ახალ ადამიანად დაბადებას. ამიტომ, ვინც ხელმეორედ ინათლება, ის ხელმეორედ ჯვარს აცვამს ქრისტეს, რაც უდიდესი ცოდვაა. შვილი დედის ცოდვაზე უფლის სამსჯავროზე არავითარ შემთხვევაში არ აგებს პასუხს. ეს ცოდვა მხოლოდ დედას მოეკითხება, თუ ის არ შეინანებს. ღვთის განგებულობა შეუცნობელია. იქნებ პატარა გოგონას ამ ქვეყნიდან გაყვანით დედა რაღაცაზე დააფიქროს, სინანული აღუძრას და საბოლოოდ აცხონოს.

**— მინდოდა, ეკლესიური სახელი მრქმეოდა, რომ მონაწილეობა მიმეღო საეკლესიო საიდუმლოებებში. მოძღვარმა სახელი შემიცვალა და ახლა ამ ახალი სახელით ვეზიარები. მაინტერესებს რამდენად მართებულად მოვიქეცი.**

— ეკლესიური სახელი კი არ მონაწილეობს საეკლესიო საიდუმლოებებში, არამედ თქვენი პიროვნება. თუკი მოძღვარმა სახელის შეცვლის საგანგებო ლოცვა წაგიკითხათ, მაშინ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეგიძლიათ ამ ახალი სახელით ეზიაროთ, შენდობა მიიღოთ და ა. შ.

**— მაინტერესებს, დედათა წესის დროს, შინ თუ შეიძლება მეტანია (დიდი ან მცირე) „იესოს ლოცვის“ თანხლებით.**

— დედათა წესის დროს თქვენ შეგიძლიათ მეტანიის აღსრულება და ლოცვა. გახსოვდეთ, იმ დღეებში მხოლოდ სიწმინდეებზე შეხება გეკრძალებათ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

**გამოიწერეთ ცხელი წიგნები**
**42-43-40; 33-26-73**

წიგნში შეკრებილია „კვირის პალიტრაში“ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კითხვები რელიგიურ თემაზე, რომელთაც მართლმადიდებელი მამები პასუხობენ.




336 გვერდი, რბილი გარეკანი,
ფასი: 5 ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაზე იხარჯება სტიქიასთან საბრძოლველად გამოყოფილი ფული

## გაფხულში წყალმოვარდნებს უნდა ველოდოთ?!



სტიქიური უბედურებების სეზონი უკვე დაიწყო. ბოლო დღეებში საქართველოს რამდენიმე რეგიონში მეწყერი ერთდროულად ჩამონვა. ექსპერტები სახარბიელოს არც ამჯერად ელიან. გეოლოგ ემილ ნერეთლის თქმით, 2006 წელი არანაკლებ დაძაბული იქნება, ვიდრე შარშანდელი.

გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრმა უკვე გადასცა მთავრობას იმ სოფლებისა თუ ქალაქების ჩამონათვალი, სადაც წელს მეწყრის ჩამონოლა ან ღვარცოფის მოვარდნაა მოსალოდნელი. დასკვნები გადაეგზავნათ გამგეობებს, ადგილობრივ მთავრობას... ანუ ხელისუფლება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უკვე გაფრთხილებულია. ახლა სათანადო ზომების დროული მიღებაა საჭირო, რათა ზარალი მინიმუმამდე დავიყვანოთ — ანუ გამაგრდეს ხიდები, აშენდეს ჯებირები და თუ საჭირო გახდება, მოსახლეობის ევაკუაციაზეც იზრუნონ.

თუ როგორ გადაუარა შარშანდელმა სტიქიამ საქართველოს, ამის შეხსენება ვფიქრობ, საჭირო არ არის. დაინგრა უამრავი სახლი და დაილუპნენ ადამიანები. აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ხელისუფლება მაშინაც წინასწარ იყო გაფრთხილებული. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ არათუ წინასწარი სამუშაოები ჩატარდა (ან ჩატარდა არასაკმარისად), არამედ მიყენებული ზარალიც კი არ ანაზღაურებულა. მეტიც, დღემდე ზუსტად არავინ იცის, რა რაოდენობის იყო ეს ზარალი.

### „გავერთოთ თუ მოსახლეობას ზარალი ავუნაზღაუროთ“

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ ჩაატარა მონიტორინგი, რომელიც მიზნად ისახავდა, გამოეკვლია თუ რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები 2005 წელს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან კანონის მიხედვით, ამ ფონდების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება იყო. სურათი ასეთია: პრეზიდენტის ფონდიდან, რომელშიც 39 მილიონი ირიცხებოდა, სტიქიით დაზარალებულთათვის მხოლოდ 4.000 ლარი(!) გამოიყო. ეს ფული დუშეთის რაიონში სტიქიის შედეგად დაღუპული ცქიმანაურისა და კოტორაშვილის ოჯახებს გადასცეს. რაც შეეხება დანარჩენ მილიონებს, თანხა შემდეგნაირად გადანაწილდა: გალა-კონცერტი უკრაინაში —150.182 ლარი; პარლამენტარ გია თორთლაძის ექსპედიცია — 12.000 ლარი; პროგრამა „პატრიოტის“ მონაწილეთა ფორუმის მოწყობა — 80.000 ლარი; გადარბენა-რალი — 30.000 ლარი; სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის — იარაღის შეძენა და მისი განბაჟება — შესაბამისად, 767. 860 ლარი და 173. 262 დოლარი და ასე შემდეგ.

ამ დროს კი კანცელარიაში მუდმივად შედიოდა სახელმწიფო რწმუნებულების მიერ რეგიონებიდან გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც ისინი სტიქიის შესაჩერებლად ფულს ითხოვდნენ.

რაც შეეხება მთავრობის სარეზერვო ფონდს, მან ზარალის ასანაზღაურებლად 2.988.000 ლარი გამოყო, ანუ გაცილებით მეტი, ვიდრე პრეზიდენტის ფონდმა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს თანხაც მხოლოდ ზღვაში წვეთია, რადგან მიახლოებითი მონაცემებით, მხოლოდ სამ რეგიონში 14.330.500 ლარის ზარალი დაფიქსირდა.

როგორც წესი, ამგვარ სიტუაციაში მთავრობა მიზეზად უფულობას ასახელებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 2005 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდში 73 მილიონზე მეტი ირიცხებოდა. მონიტორინგის ჯგუფმა გაარკვია, რაზე დაიხარჯა ეს თანხა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ დაახლოებით 20 მილიონამდე მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურებისთვის არის გამოყოფილი, მაგრამ იმავე გასართობ ღონისძიებებზე 5 მილიონამდეა დახარჯული, ანუ ბევრად მეტი, ვიდრე სტიქიის ლიკვიდაციაზე.

საკმაოდ ხშირად სარეზერვო ფონდებიდან ფინანსდება პრეზიდენტის ვიზიტებიც. ამჯერად ასოციაცია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ პრეზიდენტის თანმხლები დელეგაცია ხშირად მრავალრიცხოვანია, ხოლო ამ დელეგაციის ზოგიერთი წევრის ფუნქცია — გაურკვეველი.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კუნძულ ტექსელზე ვიზიტის დროს დელეგაცია 100 კაცისგან შედგებოდა, მათ შორის 43 პარლამენტის წევრი იყო და მათ ხარჯებს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი ანაზღაურებდა. რაც შეეხება ვიზიტის მიზანს, ჩასულებმა უბრალოდ ქართველ მეომართა მუზეუმი და სასაფლაო მოინახულეს.

2004 წელს სტიქიის შედეგად მძიმედ დაზიანდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაც. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის სარეზერვო ფონდი აჭარის ხელისუფლებასაც აქვს შექმნილი, 2004 წელს სტიქიის ლიკვიდაციისთვის ფონდიდან ერთი თეთრიც არ გამოყოფილა. ამ ფულის 90 პროცენტი სარემონტო სამუშაოებს მოხმარდა, მათ შორის მთავრობის ადმინისტრაციული შენობის, უშიშროების მთავარი სამმართველოს შენობის და სხვ.

შარშან აჭარას ისევ გადაუარა სტიქიამ და ზარალის ოდენობამაც 1.791.763 ლარს მიაღწია. ათასამდე სახლი საცხოვრებლად საშიში გახდა, ამასთან განადგურდა მოსავალი და ხალხმაც აღარ იცოდა, რითი გაეტანა თავი. ამ პირობებში 2-მილიონიანი სარეზერვო ფონდიდან ზარალის ლიკვიდაციისათვის მხოლოდ 193.826 ლარი გამოიყო და აქედან 67 პროცენტი საწვავის შესაძენად. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში“ გამოყოფენ იმ ფაქტს, რომ გამგეობები რატომღაც მუდმივად საწვავის ფულს ითხოვდნენ გზების მოსახრეშად და არა სხვა სახის დახმარებას, მაგალითად თავად ხრეშს. ჩნდება ეჭვი, რომ ეს საწვავი რიგ შემთხვევაში დანიშნულებისამებრ არც გამოუყენებიათ.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, სარეზერვო ფონდმა ზარალი ვერ აანაზღაურა და მოსახლეობას პრობლემების მოგვარება დღემდე თავად უხდება. შეინიშნება ერთი პარადოქსიც, მაშინ როცა აჭარაში უამრავი დაზარალებული და გაჭირვებული მთავრობისგან დახმარებას ითხოვდა, მთავრობამ სარეზერვო ფონდის მთლიანად გახარჯვა ვერ მოასწრო და დარჩენილი ფული (500 ათასზე მეტი) ბიუჯეტს უკან დაუბრუნა.

რა იქნება წელს? მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ინფორმაციით, მეწყრის ჩამონოლას რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სამეგრელოში, კახეთში უნდა ველოდოთ. უკვე ზაფხულში დაიწყება ღვარცოფებიც, ძირითადად სვანეთში, მთიან აჭარაში, არაგვის ხეობაში, ასევე ყაზბეგისა და ახალგორის რაიონებში. თუ წვიმები ხშირი და ძლიერი იქნა, შეიძლება წყალმოვარდნებიც დაგვატყდეს თავს. დეტალური მონაცემები იმის შესახებ, სად რა სახის საფრთხე გვემუქრება, სპეციალისტებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს უკვე კარგა ხანია გადაუგზავნეს. ვნახოთ რა შედეგი გვექნება...

***თეა თოფურია***


დაიცავით ღვიძლი და „იქეიფეთ, როცა გექეიფებათ!“

ქართველი კაცი, ღვინო და ქეიფი იმდენად ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, რომ თითქმის განუყოფელია; ტრადიციულად საქართველოში ღვინო და სასმელი ერთმანეთთან არის გაიგივებული, თუმცა სასმელის ნაირსახეობა ათასგვარია და ღვინო მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს. საქართველოში წარმოუდგენელია ჭირი და მით უმეტეს ლხინი ღვინის გარეშე, სწორედ ამიტომ ხშირად გვიხდება ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მიღება; განსაკუთრებით გასათვალისწინებელია სასმელის ხარისხი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სასმელი, რომელიც დღეს იყიდება ხშირ შემთხვევაში ადამიანის ორგანიზმისთვის სავალალო ზიანის მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს.

ყველაფერი ეს უპირველესად ღვიძლის მდგომარეობაზე აისახება და რაც ყველაზე სამწუხაროა, დაავადების ნიშნები შემაწუხებელი მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ცვლილებები ამ ორგანოში საკმაოდ სერიოზულ ხასიათს იძენს.

მოგეხსენებათ, სჯობს დაავადება დავამარცხოთ უფრო ადრე, ვიდრე განვითარდება და უარყოფით გავლენას მოახდენს ორგანიზმზე. ღვიძლის დასაცავად სამკურნალო საშუალებების ჯგუფი ჰეპატოპროტექტორები გამოიყენება, რომელთა ღირსეული წარმომადგენელია ჰეპატო-რიცი.

ჰეპატო-რიცი მცენარეული წარმოშობის ჰეპატოპროტექტორია ნაღველმდენი და სპაზმოლიზური თვისებებით. ოთხკომპონენტიანი მცენარეული კომბინაცია ღვიძლზე მრავალმხრივი დამცველობითი და სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

ჰეპატო-რიცის შემადგენლობაში შემავალი

**სილიბინინი** იცავს ღვიძლის უჯრედებს, ხელს უწყობს ჰეპატოციტების რეგენერაციას, აუმჯობესებს მათ ფუნქციას და ახდენს ალკოჰოლის და სხვა ჰეპატოტოქსიკური ნივთიერებების გაუვნებელებას, გადაჰყავს რა ისინი ნაკლებად ტოქსიკურ ნაერთებში.

**ხელიდონინი** ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, ნაღველმდენი, სპაზმოლიზური და დამამშვიდებელი მოქმედებით, უზრუნველყოფს სანაღვლე გზების სპაზმის მოხსნას.

**კურკუმინი** აუმჯობესებს სანაღვლე გზების ფუნქციას, ახდენს ნაღვლის მჟავების შემადგენლობის და თანაფარდობის სრულყოფას,ასევე ხელს უწყობს ნაღვლის გადადენას ნაღვლის ბუშტიდან ნაწლავებში.

**ლეციტინი** წარმოადგენს შეუცვლელი ფოსფოლიპიდების კომპლექსს, რომელიც აუცილებელია ღვიძლის უჯრედების მემბრანების რეგენერაციის, ბიოლოგიური სტრუქტურის წარმოქმნისა და სტაბილიზაციისთვის. მცენარეული ექსტრაქტებისა და ლეციტინის კომბინაცია ზრდის პრეპარატის ეფექტურობას.

**მცენარეული კომბინირებული პრეპარატი ჰეპატო-რიცი ხელს უწყობს ღვიძლის ფუნქციების აღდგენას და იცავს სახვადასხვა ნივთიერებების, მათ შორის ალკოჰოლის, მავნე ზემოქმედებისაგან. ასე რომ, „იმეგობრეთ“ ჰეპატო-რიცთან და იქეიფეთ, როცა გექეიფებათ!**

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი ალმაშენებლის 148/ III
საწარმო GMP ფლობს საერთაშორისო ხარისხის სერტიფიკატს "ISO-9001-2000"
GMP ჯი-ემ-პი



**სამშენებლო კომპანია "IBC" აცხადებს ტენდერს შემდეგზე:**

- რკინა/ბეტონის კედლის ფილების დამზადება: ზომებით: 5800X1800X120 და 5800X1200X120.
- რკინის კარების დამზადება ფურცლოვანი ლითონისგან სისქით 8მმ; კარების ზომები 2100X900.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ გამოგვეხმაუროთ შემდეგ მისამართზე:
IBC International Building Company
ი. ჭავჭავაძის გამზირი 74, სართ.12.
ტელ: 23-56-03, ფაქსი: 22-59-38 E-mail: hr@ibc.ge
ინფორმაციის მიღების ბოლო ვადაა 12 აპრილი



ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

# ვინ შეიტანა ციხეში იარაღი?

## „ქურდებმა ციხის ადმინისტრაციას სალებავით აკრძალული ზონა შემოუხაზეს“



## „როცა ეს საკითხი დავაყენე, იუსტიციის სამინისტროდან დამემუქრნენ“

### „ქურდები გუშაგებს დღეში 5-5 ლარს უხდიდნენ, თქვენი ჭირიმეთ, სამსახური არ გააცდინოთო“

**„საინტერესოა, იმ ხალხმა, რომელთაც პირველად ნახეს პატიმარი და ციხის ცხოვრება, როგორ უნდა მართოს სიტუაცია? რომ გაიძახიან, გაქცევის მცდელობას ჰქონდა ადგილი, 4 ათასი კაცი უნდა გაქცეულიყოო, გამოუცდელობითა და უვიცობით მოსდით ეს. ამბოხი და გაქცევა ასე არ ეწყობა, ეს რომ წინასწარ ყოფილიყო დაგეგმილი, თავდაპირველად მოსაჩვენებელი არეულობა სხვა კოლონიაში ატყდებოდა. შესაბამისად, იქ გადაისროდნენ მთელ ძალებს და მაშინ კი მართლა შეიძლებოდა გაქცევის საშიშროებაზე მსჯელობა.“**

27 მარტს ორთაჭალის ციხეში დაწყებული არეულობა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, მანამდე დარჩება განსჯის საგანი, ვიდრე საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს არ გაეცემა პასუხი. უპასუხო კითხვა კი უამრავია. მთავარ კითხვაზე — რა მოხდა იმ დღეს — ჯერ ამბოხი და მერე სპეცოპერაცია, ჯერ ოპერაცია თუ მერე ამბოხი — საზოგადოებას პასუხი არ აქვს. ოფიციალური მონაცემებით, სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა რვა პატიმარი. 29 მარტს კიდევ ერთი პატიმარი გარდაიცვალა, თუმცა მისი სიკვდილის მიზეზად არა სპეცოპერაციის დროს მიყენებული დაზიანებები, არამედ ღვიძლის დაავადება დასახელდა. როგორც მოგვიანებით დამოუკიდებელმა ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა განაცხადა, დაზიანებები, რომლებიც გარდაცვლილს აღენიშნება, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე აქვს მიყენებული და არ შეიძლება ამას ღვიძლის დაავადებასთან კავშირი ჰქონდეს.

დაღუპულ პატიმართა ნუსხა შეიძლება ცხრა კაცით არ ამოიწუროს. ზოგიერთ მშობელს დღემდე არ აქვს ინფორმაცია, სად არის მისი შვილი — ცოცხლებისა თუ მკვდრების სიაში. ჩვენს ციხეებში ახსოვთ ამბოხი, გაქცევა, მასობრივი არეულობა, მაგრამ პატიმართა მასობრივი ლიკვიდაციის ასეთი შემთხვევა საქართველოში პირველად მოხდა.

27 მარტის ინციდენტის შემდეგ რამდენიმე ვერსია გაჩნდა. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის“ პრეზიდენტის ლალი აფციაურის თქმით, გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ ციხეში მყოფმა სვანებმა ახალაიების მიმართ აგრესია გამოხატეს. თავის მხრივ კი ბაჩო ახალაიამ გადაწყვიტა, ციხეში მყოფ ათ, შედარებით „წონიან“ სვანს გასწორებოდა. როგორც ამბობენ, ანგარიშსწორება 27 მარტს „კანონიერი ქურდის“, ავალიანის ცემითა და შეურაცხყოფით დაიწყო. ოფიციალური ვერსიით, ამბოხი და ციხიდან გაქცევა სამმა კრიმინალურმა ავტორიტეტმა: ვიბლიანმა და კანონიერმა ქურდებმა ავალიანმა და ზედელაშვილმა დაგეგმეს.

როგორც პატიმართა უფლებების დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ამბობს, ზედელაშვილი კატეგორიულად უარყოფს იუსტიციის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ მასალაში მოყვანილ ფაქტებს.

**ნანა კაკაბაძე:** „ზედელაშვილი გაკვირვებულია. როგორც ის ამბობს, ვიბლიანი „ობშჩიაკის“ შეგროვებასთან დაკავშირებულ ამბებზე ლაპარაკობდა — ზოგიერთი ფულს არ დებს და ამას მიხედვა უნდაო. ვიბლიანი ავალიანისა და ზედელაშვილის მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი არ ყოფილა. ზედელაშვილი ამბობს, მას ჩვენ მხოლოდ ის ვუთხარით, რომ ეს მისი საქმე არ იყო და იმის უფლებაც არ ჰქონდა, ვინმესთვის „ობშჩიაკში“ დასადები ფულის მოტანა დაეძალებინაო. როგორც ზედელაშვილი ირწმუნება, იმ შეხვედრაზე ამბოხსა და გაქცევაზე ლაპარაკი არ ყოფილა(?!). რაც შეეხება გინებას, ამას არ გამორიცხავს, რადგან პატიმრები ახალაიას წარამარა აგინებენო“.

სისტემის კარგად მცოდნე, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისთვის დიდ პრობლემას არ წარმოადგენს იმ მოვლენების გაშიფვრა, რაც 27 მარტს ორთაჭალაში მოხდა.

ვალოდია ტაბალუამ სხვადასხვა ციხის, საპყრობილისა თუ კოლონიის ხელმძღვანელად 43 წელი იმუშავა.

**ვალოდია ტაბალუა** (ციხე-კოლონიების ყოფილი ხელმძღვანელი): — ციხე-კოლონიებში ამბოხის მიზეზი შეიძლება მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები გახდეს. სამწუხაროდ, პატიმრები არ არიან უზრუნველყოფილნი სამჯერადი კვებით, მედიკამენტებით, ტანსაცმლით, აბანოთი და ა.შ. საპონი, კბილის ჯაგრისი და პირსახოციც კი ენატრებათ(?!). პატიმრებს არაადამიანურ პირობებში უწევთ ყოფნა. ამბოხი შეიძლება გამოიწვიოს ციხის თანამშრომლის უკანონო ქმედებამ, პატიმრის ფიზიკურმა ან სიტყვიერმა შეურაცხყოფამ, დამცირებამ. ასეთი შემთხვევები ყოფილა კომუნისტების დროს, მაგრამ პატიმრების მასობრივად დახოცვის შემთხვევა საქართველოში პირველია.

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა ყოფნა განსაზღვრულია შინაგანაწესით, სადაც გაწერილია პატიმრის უფლება-მოვალეობანი. ამასთანავე განსაზღვრულია თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანიც. თუ პატიმარი უხეშად იქცევა, არსებობს დასჯის სხვადასხვა დისციპლინური მეთოდი, მაგრამ თუ პატიმრის ქცევა გადასცდა უბრალოდ უხეშ ქცევას (თანამშრომლის ხელყოფა, მასზე თავდასხმა, ფიზიკური შეურაცხყოფა), ამ შემთხვევაში დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ან ციხის თანამშრომელს ეძლევა ძალის გამოყენების უფლება. დღეს საქართველოში სახელმწიფოს არ აქვს საშუალება, პატიმარი შეინახოს იმ პირობებში, რაც მას კანონში უწერია. როცა ოცადგილიან საკანში 60-70 კაცს 3-4 ცვლაში რიგრიგობით უხდება დაჯდომა-დაწოლა, შეუძლებელია პატიმარმა დაიცვას შინაგანაწესი. როცა პატიმარი მთელი ღამის უძილოა, დილით ცვლა მოუწევს და დაწვება, ამ დროს კი ციხის ადმინისტრაცია აიძულებს გაიღვიძოს, კონფლიქტი ამასაც შეიძლება მოჰყვეს. იარაღის გამოყენების აუცილებლობა დგება მაშინ, თუ პატიმრები დატოვებენ ციხის შენობას და ე. წ. აკრძალულ ზოლს მიადგებიან, მიადგებიან ღობეს და შეეცდებიან მასზე გადასვლას. აი, ეს არის ამბოხი და მასობრივი არეულობა. ამ შემთხვევაში გუშაგი ვალდებულია ჯერ საკონტროლო გასროლა გააკეთოს, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი პირდაპირ ესროლოს კიდეც.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კონკრეტულ შემთხვევაში, არც ერთი პატიმარი გარეთ არ გამოსულა. კანონით, ძილის საათებში (საღამოს 10 საათიდან) პატიმრის შემოწმება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ჩემი ინფორმაციით, 26-27 მარტს დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ციხის საავადმყოფოში 10 საათის შემდეგ (ზუსტი დრო უცნობია. — ავტ.) მივიდა. ერთ-ერთი პატიმარი, კერძოდ, ავალიანი გამოიძახეს, გასაუბრების შემდეგ კი მას ფიზიკურად შეეხნენ. როგორც ამბობენ, ამის შემდეგ ავალიანი ადმინისტრაციის ერთ-ერთ თანამშრომელს ყელში სწვდა. ამას ის მოჰყვა, რომ ავალიანი სცემეს. ციხეში პატიმრის ცემის ამბავს დანარჩენები ადვილად იგებენ და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც პატიმრებმა სხვა ციხე-კოლონიებში დარეკეს — ავადმყოფ პატიმრებს და კანონიერ ქურდებს სცემენ, გვიშველეთო. ციხეში გამომწყვდეულმა პატიმარმა კი როგორ უნდა უშველოს მეორე პატიმარს, თუ არა ე. წ. „შუმოკით“. ჰოდა, ატყდა ხმაური და ბრახაბრუხი. როცა ციხის ადმინისტრაცია პატიმრებს ვერ აწყნარებს, იძულებულია, დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შეატყობინოს. იმ კორპუსში, სადაც ამბოხი მოხდა, 1992 წლის შემდეგ კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა. ზოგიერთი საკნის საკეტიც კი მომტვრეულია, საკანს ხშირად ბოქლომიც კი არა აქვს. პატიმარს თავისუფლად შეუძლია კარი გააღოს, თუმცა კარის ჩამოღება შეუძლებელია. კარი დაახლოებით 400-500 კგ-ს იწონის. როგორც გადმომცეს, პატიმრები გარეთ არც აპირებდნენ გამოსვლას, სპეცრაზმი რომ დაინახეს (რაც უეჭველ ფიზიკურ ანგარიშსწორებას ნიშნავს), საწოლები მოანგრიეს და ციხეში შესასვლელი კარი ჩახერგეს.

ჩემი აზრით, ეს ამბოხი ციხის ადმინისტრაციის უკანონო ქმედების შედეგია.

საერთოდ, სპეცრაზმის ციხეში შეყვანის გადაწყვეტილებას მინისტრი იღებს და არა დეპარტამენტის თავმჯდომარე. ჯერჯერობით გამოძიება იმით არ დაინტერესებულა, რამდენად კანონიერად შეიყვანეს იქ სპეცრაზმი. ძიება მხოლოდ მოკლულებითა და მათი სიკვდილის დეტალების გამოძიებით არის დაინტერესებული. არადა ამ საქმეში ბევრი რამ არის შესასწავლი. გასარკვევია, რამდენად კანონიერად არის გაცემული ბრძანება და გამოყენებული იარაღი.

**— ამბობენ, რომ ადმინისტრაცია პატიმრების გაქცევის რეალური საშიშროების წინაშე იდგა. საინტერესოა, წინმსწრები ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, რა ზომის მიღება ევალება ადმინისტრაციას საფრთხის თავიდან ასაცილებლად?**

— როგორც თქვეს, ამბოხის მზადების შესახებ ინფორმაცია ერთი კვირით ადრე ჰქონდათ, თითქოს ციხის ადმინისტრაციამ 25 მარტისთვის დაზუსტებით იცოდა მოსალოდნელი საშიშროების შესახებ. რატომ დაუყოვნებლივ არ მიიღეს შესაბამისი ზომები? რატომ არ გამოაცხადა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ციხეში ყაზარმული მდგომარეობა? ყაზარმული მდგომარეობა რომ გამოეცხადებინათ და ერთი გუშაგის ნაცვლად ხუთი დაეყენებინათ, ეს არ მოხდებოდა. მით უმეტეს, თუ იცი, ვინ არის არეულობის ინიციატორი. საკმარისი იყო, ინიციატორების იზოლაცია და ყველაფერი ამით მორჩებოდა. როცა ლიდერი არ არის, ამბოხიც ჩაშლილია. სამწუხაროდ, ასეთი პროფილაქტიკური ღონისძიებები დეპარტამენტის ხელმძღვანელობას არ გაუტარებია. რაც მთავარია, ტელეეთერით აჩვენეს, რომ თურმე პატიმრებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწევიათ. თუ ეს ასეა, საპყრობილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. საიდან მოხვდა იარაღი ციხეში, როცა ყველა შემსვლელ-გამომსვლელი მკაცრად იჩხრიკება. პატიმრებს აშიშვლებენ და ჩხრეკენ, ადვოკატებს კი ფეხსაცმელებსაც კი ახდევინებენ. ვეჭვობ, რომ იარაღი იმ უკანონო ქმედების დასაფარავად დადეს, რაც ჩაიდინეს.

როცა ახლანდელი მეხუთე საპყრობილის დირექტორი ვიყავი, ციხიდან პატიმარი ლაშქარავა გაიქცა. მას იარაღიც ჰქონდა. ამის გამო პასუხი მე ვაგე. ძიებით დადგინდა, რომ ლაშქარავას სამორიგეო ნაწილიდან მიაწოდეს ამანათი, რომელშიც იარაღი იდო. ლაშქარავასთვის ხელყუმბარა კი ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა ტელევიზორში ჩამალული შეიტანა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, პატიმართან იარაღი სხვა გზით ციხეში ვერ მოხვდება.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ქურდების მდგომარეობა ციხეში საკმაოდ გაუმჯობესდა. საყოველთაო არეულობამ კოლონიებშიც შემოაღწია. ქურდები ციხის ადმინისტრაციას აღარ ემორჩილებოდნენ, რადგან ციხეში დაცვა, ჯარი, თანამშრომლები აღარ დარჩნენ, ხოლო მათ, რომლებიც კიდევ შემორჩნენ, სახელმწიფო წლობით არ უხდიდა ხელფასს. თუ ციხის უფროსი კომპრომისზე არ წავიდოდა, ქურდი, რაც გაუხარდებოდა, იმას მოიმოქმედებდა ციხეში. ზემდგომ ინსტანციებში კი ციხის ადმინისტრაციას ადანაშაულებდნენ, აქამდე საქმე რატომ მიიყვანეთო. სახელმწიფოს არ შეეძლო წარმოქმნილი პრობლემების მოგვარება (ვერ კვებავდა, ვერ აცმევდა პატიმრებს), შესაბამისად, ციხის უფროსს აღარ შეეძლო პატიმრისთვის მოეთხოვა რეჟიმის დაცვა. ასე გაბატონდნენ ციხეში ქურდები. ციხის უფროსები იძულებულები შეიქნენ, ქურდები თანაშემწეებად გაეხადათ, რათა სიტუაცია კონტროლს დაქვემდებარებოდა.

2000 წელს ქსნის კოლონიის უფროსად რომ დამნიშნეს, ერთმა ქურდმა პატიმრები ამიჯანყა — არ მოეწონათ, კოლონიაში ქალების შეშვებაზე უარი რომ ვთქვი. კაბინეტში 300 დანით შეიარაღებული პატიმარი დამადგა თავზე. მითხრეს, შენ ეს რუსთავის კოლონია ხომ არ გგონია, აქ სულ „პრესტუპნიკები“ ვზივართო. თუ აქედან არ წახვალ, აქვე აგკუწავთო. იმ ქურდს ვუთხარი, სად გინახავს, ქურდი საქმის გასარჩევად ჯარით მიდიოდეს-მეთქი. მოკლედ, სამდღიანი მოლაპარაკების შემდეგ, ისე, რომ არც მთავრობას გაუგია ეს ამბავი და არც სპეცრაზმს, სიტუაცია ჩაწყნარდა. სხვადასხვა ქვეყანაში „მოლვანე“ ქურდებს დავურეკე და ვუთხარი, ამას მიხედეთ, თორემ არ მოელის კარგი დღე-მეთქი. არ ვიცი, რა ურჩიეს. ერთ დღეს მოვიდა და მომიბოდიშა, შემეშალაო. დანა საიდან მოხვდა კოლონიაში? საიდან და, ჩვენს თანამშრომლებს შემოჰქონდათ. ქურდი თანამშრომელს 10 ლარს აჩუქებდა, ის დანასაც ყიდულობდა მისთვის და 2 ლარიც რჩებოდა. ქურდები გუშაგებს დღეში ხუთ-ხუთ ლარს უხდიდნენ, თქვენი ჭირიმეთ, სამსახური არ გააცდინოთო...

როცა კვანტალიანი შს მინისტრის მოადგილედ დანიშნეს, გამოაცხადა, არც ერთი ქურდი გარეთ არ უნდა დარჩესო. მილიციის უფროსებს უთხრა, თუ რაიონში ქურდი გეყოლებათ, მოგხსნითო. დაუძახეს მილიციის უფროსებმა ქურდებს და უთხრეს — აირჩიეთ, ან დანის ტარებისთვის, ან ნარკოტიკის მოხმარებისთვის უნდა დაგიჭიროთ, პატარა „სროკი“ უნდა მოგცეთო. ზოგმა დანა აირჩია, ზოგმა — წამალი, ზოგმა კი ჭკუა იხმარა და პოლიციის უფროსს უთხრა, აქედან ამოვეწერები, რუსეთში ჩავეწერები და პრობლემაც მოგვარებული იქნებაო. ასე „მოისპო“ ქურდები საქართველოში. ვინც დაიჭირეს, ყველა ქურდი მაშინდელ მეოთხე კოლონიაში მოათავსეს და იქ ფაჩუჩებს აკერვინებდნენ. ფაჩუჩების კერვა ქურდისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო საქმე არ იყო, მაგრამ „სხოდკა“ ჩაატარეს, რათა ფაჩუჩების კერვის ნება დაერთოთ.

**— ახალი ადმინისტრაცია ძველებს მუდმივად იმაზე მიუთითებს, ქურდებთან გარიგებაში იყვნენ, ფულს იღებდნენ მათგანო...**

— ფული ციხეში ყოველთვის მოძრაობდა. კომუნისტების დროს საწარმოო გეგმები გვქონდა — ჩაის, სამშენებლო ბლოკების, ხორცისა და ა.შ. თუ არ შეასრულებდი, პარტბილეთსაც დაგატოვებინებდნენ და სამსახურიდანაც მოგხსნიდნენ.

მაშინ ხონის კოლონიის უფროსი ვიყავი. სეზონზე 300 ტონა ჩაის მოკრეფა გვქონდა დავალებული. რაც ჩაი იყო ხონში, ბუჩქებიანად რომ მომეთხარა, 300 ტონა არ გამოვიდოდა. ჩავვარდი საგონებელში. აგრონომმა მირჩია, ფულს პატიმრებისგან ავკრებთ, მანქანაზე 500 კგ ჩაის დავყრით, დასანახავად გურიაში ჩავიტანთ, ვითომ 5 ტონა ჩავაბარეთ და ცნობასაც მოგიტანთო. ან ხორცის გეგმა საიდან უნდა შემესრულებინა, პატიმრებს ხომ არ დავკლავდი? ამიტომ ბრიგადირები მყავდა დანიშნული, აკონტროლებდნენ ფულის მოგროვების საკითხს, ამას კი ქურდი „აწესრიგებდა“.

ფულის აღების შემთხვევებიც იყო — არ აიღებდი და შენი აჯობებდა! ვინ გაგაჩერებდა, იქ, „ზემოთ“ თუ არ აიტანდი?! მეორე დღესვე გამომაგდებდნენ სამსახურიდან. რა თქმა უნდა, ფული ტრიალებდა, მაგრამ არა იმდენი, დღეს რომ ამბობენ. „ობშჩიაკი“ ყოველთვის გროვდებოდა, ახლაც გროვდება. ხომ შეყარეს ქურდები მე-7 საპყრობილეში, ამით რა გამოსწორდა, რა, ციხე-კოლონიებს მაყურებლები არ ჰყავთ და ისინი ვერ აგროვებენ თუ რა, ხომ ყველამ მოუსმინა, როგორ ელაპარაკებოდნენ ზონის მაყურებლები ქურდს.

**— ახლაია ამბობს, კოლონიებში „მაყურებლები“ აღარ არიანო...**

— ტყუილია. სამი კაცი რომ დარჩეს ციხეში, იქიდან ერთი „მაყურებელი“ იქნება. ქურდების წინააღმდეგ ბრძოლას სჭირდება გააზრებული ხერხი, მეთოდი, რადგან ერთი კანონიერი ქურდის უკან სულ მცირე 2500 კაცი დგას, თაყვანისმცემლებისა და გულშემატკივრების ჩათვლით. საკანონმდებლო ბაზაა შესაქმნელი. ტყვიის სროლით საქმე არ კეთდება. იმ პირობებში, როცა მობილური ტელეფონი არსებობს, აზრს კარგავს ქვეყნიდან ქურდების გარეკვა ან მათი ციხეში გამოკეტვა, რადგან თავისუფლად შეუძლია უცხოეთში მყოფ ქურდს სიტუაციის მართვა, ამბოხის გარედან მონყობა და ა.შ. ვიდრე ქურდული მენტალიტეტის პატივისცემა არ ამოძირკვულა, რკინითა და ტყვიით შედეგის მიღწევა შეუძლებელია. აგრესია ყოველთვის აგრესიას შობს. ციხის ადმინისტრაცია, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი უფრო მასშტაბურ ამბოხსა და არეულობას უნდა ელოდოს. ეს რომ არ მოხდეს, აქტიური ოპერატიული მუშაობაა საჭირო.

საინტერესოა, იმ ხალხმა, რომელთაც პირველად ნახეს პატიმარი და ციხის ცხოვრება, როგორ უნდა მართოს სიტუაცია? რომ გაიძახიან, გაქცევის მცდელობას ჰქონდა ადგილი, 4 ათასი კაცი უნდა გაქცეულიყოო, გამოუცდელობითა და უვიცობით მოსდით ეს. ამბოხი და გაქცევა ასე არ ეწყობა, ეს რომ წინასწარ ყოფილიყო დაგეგმილი, თავდაპირველად მოსაჩვენებელი არეულობა სხვა კოლონიაში ატყდებოდა. შესაბამისად, იქ გადაისროდნენ მთელ ძალებს და მაშინ კი მართლა შეიძლებოდა გაქცევის საშიშროებაზე მსჯელობა.

**— ციხე-კოლონიების უფროსად 43 წელი იმუშავეთ, პატიმარი თუ გიცემიათ?**

— ერთხანს ურჩ პატიმრებს ვცემდი კიდეც... ერთხელ კი გონება გამინათდა. დავჯექი და ვიფიქრე, რას აკეთებ, ვინ ხარ შენ და ვინ მოგცა ამის უფლება-მეთქი. დავფიქრდი იმაზეც, მე რომ ვყოფილიყავი პატიმრის ადგილას, როგორ მოვიქცეოდი. ვაღიარებ, რომ ეს იყო ყმაწვილური, თუმცა დიდი შეცდომა და როცა ეს გავაცნობიერე, მას შემდეგ პატიმრისთვის ხელი არ დამირტყამს. ციხე არ არის კულტურული დაწესებულება, რომ უფროსის თვალის დაბრიალება საკმარისი იყოს. არც გერმანიის, ინგლისის ან ამერიკის ინსტრუქციებით მოქმედება მოგვცემს შედეგს, რადგან ჩვენი მენტალიტეტი და იქაური ცნობიერება რადიკალურად განსხვავებულია. ჩვენს ციხეებში რომ პრობლემები მოგვარდეს, საჭიროა სოციოლოგებით, ფსიქოლოგებით, მეცნიერებით დაკომპლექტებული ჯგუფის შექმნა, რომელიც სიტუაციას შესაბამისად გააანალიზებს.

(გაგრძელება იხ. გვ. 31)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრემიერ-მინისტრი დამალობანას თამაშობს და ფიქრობს, რომ ამით გადარჩება

## „პირდაპირ გელაშვილს რომ მიადგნენ, რატომ არ იძიებენ ჩხარტიშვილის ან ბეჟუაშვილის ბიზნესინტერესებს?“

## „ოპოზიციის ავტორიტეტის შელახვა ხელისუფლებას გააძლიერებს“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ვალერი გელაშვილის მაგალითითაც ცხადი შეიქნა, რა ბედი ელის იმ ბიზნესმენს, რომელიც ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალასთან ითანამშრომლებს. ეს არის ტოტალიტარული მმართველობის ნიშანი, ხელისუფლება ვერ იტანს, რომ ვინმე მისგან დამოუკიდებელი იყოს.

შესაძლოა, გელაშვილი მართლაც ლობირებდა თავის ბიზნესს, მაგრამ პირდაპირ მას რომ მიადგნენ, რატომ არავინ ახსენებს უმრავლესობის წევრების ბიზნესინტერესებს? რატომ არ იძიებენ საფუძვლიანად ვანო ჩხარტიშვილის ინტერესებს? ხომ იცის საზოგადოებამ, რომ ის უშუალოდ იყო ჩართული ანაბრების საქმეში და დღესაც აქტიურად ლობირებს (სხვადასხვა ხერხით), რომ ეს თემა მივიწყებას მიეცეს? ან რატომ არ განიხილავენ დავით ბეჟუაშვილის ინტერესებს ბუნებრივ აირთან დაკავშირებით, ან თუნდაც მის ტელეინტერესებს? დღეს არა მარტო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის არის დაპირისპირება, არამედ თავად სახელისუფლებო გუნდშიც. ბურჯანაძე-მაჭავარიანის გუნდი ამ სიტუაციის გამოყენებასა და პრეზიდენტის გუნდის მოცილებას ცდილობს, მაგრამ მერე რა აქვთ განზრახული და როგორ აიცილებენ პასუხისმგებლობას თავიდან, არ ვიცი. უცნაურია, რომ ასეთ ვითარებაში ჩრდილში დგას ზურაბ ნოღაიდელი. ჩემი აზრით, პრემიერ-მინისტრი დამალობანას თამაშობს და ფიქრობს, რომ ამით გადარჩება.

**— შესაძლოა, ის ჟვანიას მაგალითს ითვალისწინებს. გარდაცვლილ პრემიერს აქტიურობა და კომპეტენტურობა ძვირად დაუჯდა.**

— ჯერ კიდევ გასარკვევია, რა დაუჯდა ძვირად ჟვანიას — აქტიურობა თუ პრივატიზაციის საკითხი...

**— თქვენ ხელი არ მოაწერეთ ოპოზიციის მემორანდუმს, რის შემდეგაც გაკეთდა განცხადებები — ოპოზიციურ ბანაკში ერთიანობა არ არისო.**

— რატომ უნდა ფიქრობდეს ოპოზიციაში ყველა ერთნაირად? უცხოელ დიპლომატებთან ურთიერთობისთვის მე ჩემი არხები მაქვს და რატომ უნდა მივსულიყავი მათთან კოლექტიურად? ვფიქრობდი, რომ გირგვლიანის მკვლელობა იყო ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიის ხელყოფის თვალსაჩინო მაგალითი და ამ საკითხზე შეიძლებოდა უცხოელებთან ლაპარაკი, მაგრამ როდესაც ამ თემას არჩევნები, სალარო-აპარატების საკითხი და კიდევ ბევრი სხვა დაემატა, არ ჩავთვალე მასზე ხელმოწერა საჭიროდ. და კიდევ, არ მომწონს მიტინგებზე გახმაურებული მოწოდება პრეზიდენტისადმი — გადადექი! ოპოზიცია ჯერ მზად არ არის ხელისუფლებაში მოსასვლელად და ხელისუფლება კი კიდევ უფრო ნაკლებად არის მზად წასასვლელად.

ოპოზიცია პრეზიდენტს ულტიმატუმებით ელაპარაკება — თუ მერაბიშვილსა და ნოღაიდელს არ გადააყენებ, შენი იმპიჩმენტის საკითხს დავსვამო. მერაბიშვილი რომ უნდა გადადგეს, აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს, მაგრამ პრეზიდენტის გადასაწყვეტია, რას იზამს, ოპოზიციამ არ უნდა წამოაყენოს ულტიმატუმები. როდესაც ულტიმატუმს აყენებ, იქვე შენიც უნდა თქვა — რას გააკეთებ, თუ ულტიმატუმი არ შესრულდება და ნათქვამის შესრულებაც უნდა შეგეძლოს. ასეთი განცხადებებით ოპოზიცია ავტორიტეტს კარგავს, მე კი არ მინდა ხალხის ნდობა და ავტორიტეტი დავკარგო. ოპოზიციის ავტორიტეტის შელახვა ხელისუფლებას გააძლიერებს. მე ასეთი რაღაცებისგან განზე ვდგავარ.

**— ხელისუფლების მოთხოვნა, ჯაშუშებმა თავიანთი საქმიანობის შესახებ სათანადო ორგანოებს აცნობონო, როგორ აღიქვით?**

— იცით, მე აქციის ჩატარებაზე ვფიქრობ, სადაც მე და ჩემი თანაპარტიელები სხვადასხვა ქვეყნის დროშებით გამოვალთ — ანუ ვინც რომელი ქვეყნის ჯაშუშიც ვართ, იმის დროშით, მაგრამ რაკი რუსეთის, ამერიკის, საფრანგეთისა და ირანის ჯაშუშადაც გამომაცხადეს, რომელი ავირჩიო, არ ვიცი.

მიკვირს, რატომ ცდება ამ თემებით ხელისუფლება, როდესაც გადასაწყვეტია ქვეყნის მომავლისთვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხები. არაფერი კეთდება ეკონომიკაში, გაუთავებელი ლაპარაკია გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვაზე, მაშინ როცა ამ ქვეყანასთან ძალზე გართულებულია ურთიერთობა. ბენდუქიძის საკმაოდ უხეში განცხადების შემდეგ არაფერი უთქვამს პრეზიდენტს, არადა აშშ-ის პოზიცია საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის საკითხებზე გასათვალისწინებელია. ის ხომ ჩვენთან იყო, როდესაც ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი და გაზსადენი შენდებოდა.

ჩემთვის ასევე გაურკვეველია საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია. არ მჯერა, რომ ბურჯანაძე უფრო პრომამერიკული და ანტირუსული იყოს, ვიდრე სააკაშვილია. არადა თითქოს ასე ჩანს. საქართველოს ორიენტაცია ევროპისაკენ და ნატოსაკენ ცოტა ბუნდოვანი გახდა. კი გაიძახიან, ნატო, ნატოო, მაგრამ რაც დღეს საქართველოში ხდება, ნატოში შესვლის შანსის ხელიდან გაშვება უფროა. გამორიცხულია, არადემოკრატიული საქართველო ნატოში შევიდეს. გვაქვს შანსი, შემოდგომაზე ნატოს წევრობის კანდიდატები გავხდეთ. თუ ეს ვერ მოხერხდა, მერე ძნელად წარმოსადგენია, რა გველის.

**— რამდენიმე დღის წინ ხელი მოეწერა სოჭის ხელშეკრულებას რუსეთის ბაზების გაყვანის თაობაზე. ამ საკითხზე საუბრისას ხელისუფლების წარმომადგენლებმა თქვენი დამსახურებაც არ დაივიწყეს.**

— დიდი მადლობა მათ. მაგრამ არ ვიცი, რატომ ხმაურობენ ამ ხელშეკრულებაზე, როდესაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა პირველ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, აგვისტოში დაიწყო რუსული შეიარაღების გაყვანა საქართველოდან. სოჭის ხელშეკრულება კი მხოლოდ ტექნიკური ხასიათის შეთანხმებაა სამხედროებს შორის.

*იზო რიკაძე*

# „საქართველოში აგენტები რომ „საკმარისად“ არიან, ამაში ეჭვი არ მეპარება“



(დასაწყისი იხ. გვ. 11)

აგენტობაში შემჩნეულ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს კი ნებისმიერ შემთხვევაში დაიჭერენ. მაგრამ თუ სახელმწიფოს არ უნდა, ხმაურს ამაზეც არ ატეხს. კილაძის შემთხვევაშიც არ მიიჩნიეს საჭიროდ უცხო ქვეყნის დასახელება.

**— ამ ამბის შემდეგ პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომლითაც მოუწოდა ფარულ აგენტებს გამოამჟღავნონ თავიანთი ვინაობა. როგორ ფიქრობთ, ამ მოწოდებას სათანადო რეაქცია მოჰყვება?**

— ასეთი მოწოდება გამართლებული ნაბიჯია როგორც პოლიტიკური, ისე ოპერატიული თვალსაზრისით. პოლიტიკურად გამართლებულია იმდენად, რამდენადაც საქვეყნოდ მოგიწოდებენ გამოასწორო შეცდომა და შენი სახელმწიფოსთვის იმუშაო. თუ ამას გააკეთებ, არავინ დაგსჯის. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, შენ შესახებ მოპოვებული ფაქტების საფუძველზე ჩატარდება სათანადო ღონისძიებები. აგიყვანენ და მოგეხსენებათ, ჯაშუშობაზე როგორი სასჯელია.

**— შეიძლება რომ „კუდიანებზე ნადირობა“ დაიწყოს? რამდენად მზად არის დღევანდელი ქართული სპეცსამსახურები საიმისოდ, რომ თეთრის და შავის გარჩევა შეძლონ?**

— 1982 წელს მივლინებით ვიყავი პოლონეთში. იქაური კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მითხრა, შარშან შესანიშნავ შედეგებს მივაღწიეთ, — უცხო ქვეყნის 175 აგენტი გამოვავლინეთ და სათანადოდ დავსაჯეთო. მაშინ ვთქვი, ამდენი თუ გამოავლინეს, ათჯერ მეტი გამოუვლენელი დარჩენიათ, ამდენი უცხო ქვეყნის აგენტი რომ ეყოლება, იმ სახელმწიფოს საქმე კარგად ვერ არის-მეთქი. ღმერთმა დაიფაროს, რომ ჩვენს ქვეყანაშიც ასე იყოს. თუმცა, აქ აგენტები რომ „საკმარისად“ არიან, ამაში ეჭვი არ მეპარება. საქართველოში მუშაობს იმ ქვეყნის რეზიდენტურები, რომლებთანაც დიპლომატიური ურთიერთობები გვაქვს. ვგულისხმობ ყველა ძლიერ ქვეყანას, რომელსაც საქართველოში თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობა აქვს. ყველა ცდილობს ამა თუ იმ ქვეყანაში ჰყავდეს საკუთარი ინფორმატორი და მოიპოვოს დახურული ინფორმაცია როგორც სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე პროცესებზე, ასევე გასაიდუმლოებულ საგარეო ურთიერთობებზე.

**— გამოდის, რომ აგენტურით ყოფილა სავსე საქართველო.**

— ამიტომაც კონტრდაზვერვის დეპარტამენტს აქვს უზარმაზარი სამუშაო, რაც ისე ვერ გაკეთდება, როგორც პარლამენტში გაიძახიან, ლუსტრაციის კანონით გამოვავლინოთ უცხო ქვეყნის აგენტებიო. კანონით ნამდვილი აგენტების ლუსტრაცია არ ხდება. ლუსტრაცია ხდება ისე, როგორც კილაძის შემთხვევაში მოხდა. ეს ძალიან სამწუხარო შემთხვევაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კილაძე პირველი და უკანასკნელი არ არის, და ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფო ორგანიზაციებში ბევრი არაკეთილმოსურნე აღმოჩნდება...

*მაკა მიქელაძე*

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# მოენატრებათ ქართული ღვინო...

ГазетаСНГ



რუსეთმა სავაჭრო ემბარგო დაუწესა თავის ურჩ მეზობლებს, რის გამოც რუსეთის მოსახლეობა უკვე აპრილიდან ქართული და მოლდავური ღვინის გარეშე დარჩება. ოფიციალური ვერსიით, ამ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან შემოტანილი ღვინოები არ პასუხობს უსაფრთხოების მოთხოვნებს, — მოლდავურ და ქართულ ღვინოებში პესტიციდები და მძიმე ლითონები აღმოაჩინეს...

არაოფიციალური ვერსიით, გაჩაღებულია სავაჭრო ომი, საიდანაც, ექსპერტთა აზრით, საეჭვოა, რუსეთი გამარჯვებული გამოვიდეს.

სპეციალისტების აზრით, ღვინოებში პესტიციდებისა და მძიმე ლითონების აღმოჩენა არარეალურია, რადგან ანალიზის გაკეთება ძალიან რთული და ძვირად ღირებული პროცესია — შეიძლება დაიხარჯოს ბევრი ფულიც და დროც, მაგრამ ამის დამტკიცება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ექსპერტთა უმრავლესობას არ ეეჭვება, რომ ხარისხის პრობლემა არსებობს, მაგრამ არაფერ შუაშია პესტიციდები და მძიმე ლითონები. რუსეთის ერთ-ერთი ღვინის ქარხნის ტექნოლოგის თქმით, მოლდავეთის ზოგიერთ ღვინის ქარხანაში ხელსაწყოები მოძველებულია, ამიტომ ღვინო ან დაუდულებელია, ან შაქრიანი. საქართველოს ხელისუფლება კი თავად აღიარებს, რუსეთში გასული ღვინის 50% ფალსიფიცირებულიაო. მაგრამ საკვირველია, სად იყო აქამდე რუსეთის ხელისუფლება? მოლდავური ღვინის და კონიაკის 80% ხომ რუსეთში იგზავნება, რაც ამ ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 25%-ს შეადგენს, რუსეთში შემოდის ქართული ღვინის უმეტესი ნაწილიც. რა ბედი ეწევა ნესიერ მოლდაველ და ქართველ მეღვინეებს და ამ ქვეყნების ნედლეულზე დამოკიდებულ რუს ღვინის მწარმოებლებსა და იმპორტიორებს? ღვინის მასალა ჩვენამდე ცისტერნებით ჩამოდის და უკვე აქ იქცევა ღვინოდ. მოსკოვის ქარხნებში პანიკაა. წლობით აწყობილი მუშაობა პარალიზებულია.

რასაკვირველია, რუსი ღვინის მწარმოებლები ფარ-ხმალს არ დაყრიან და საქმეს არ ჩაკლავენ, სასწრაფოდ ნედლეულის სხვა ქვეყნებიდან შემოტანა მოუწევთ. როგორც გოსდუმის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე პაველ შაპკინი ამბობს, რუსებს იაფფასიანი ღვინოების ნიშა მოესპობათ, რადგან სხვა ქვეყნებიდან შემოსული ნედლეული 20%-ით მაინც უფრო ძვირი იქნება. „ინციდენტის პოლიტიკური მხარე სავსებით ნათელია, — აცხადებს შაპკინი, — ჩვენს ხელისუფლებას ქართველებისა და მოლდაველების მორჯულება უნდა, მაგრამ რა დააშავა რუსეთის ათობით ფირმამ, რომლებიც გაკოტრების პირას დააყენეს".

ჯერჯერობით, კანონგარეშე ყველაზე იაფი ღვინოები აღმოჩნდნენ, მაგრამ, ეტყობა, მარტო ქართული და მოლდავური ღვინით არ შემოიფარგლება ეს აქცია. რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ უკვე განაცხადა, რომ მას ჩილეს და არგენტინის ღვინოებიც არ აკმაყოფილებს, რომელთაც, სხვათა შორის, მთელი მსოფლიო სიამოვნებით სვამს.

რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო გაცილებით ნაკლები რაოდენობით შედის, მაგრამ თბილისში უკვე პოლიტიკურ ზეწოლაზე ალაპარაკდნენ. მოლდავეთში ჯერ მკვეთრ განცხადებებს არ აკეთებენ, მაგრამ სწამთ, რომ ამ ამბის მთავარი გმირები პესტიციდები სულაც არ არიან. შარშან ზაფხულს, როცა კიშინიოვმა კრემლის მიმართ არამეგობრული განცხადებები გააკეთა, მაშინ ფიტოსანიტრებმა მოლდავურ ბალში მატლები აღმოაჩინეს და მისი შეტანა აკრძალეს. რუსი სანქციების აქტივობა ამჯერად დაკავშირებულია დნესტრისპირეთის ბლოკადასთან და საქართველოს უართან რუსეთის საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაზე. „დღეს რუსეთს დნესტრისპირეთის სიტუაციაზე ზეგავლენის საშუალება აღარ აქვს, ხოლო უკრაინაში არჩევნების შედეგები ბლოკადის მოხსნის იმედს აღარ იძლევა, ამიტომაც მიდის ეკონომიკური ზეწოლა კიშინიოვზე. რაც შეეხება საქართველოს, მასზე ზემოქმედების ხერხებს კრემლში კარგა ხანია ეძებენ, ამიტომ ეს მოსალოდნელიც იყო", — ამბობს რუსეთის სტრატეგიული გამოკვლევების ინსტიტუტის დსთ-ის განყოფილების ხელმძღვანელი ალექსანდრ სკაკოვი. ექსპერტის აზრით, მოლდავეთის მიმართ მოსკოვის შემდეგი ნაბიჯი სავიზო რეჟიმის შემოღება იქნება, საქართველოს მიმართ კი — ვიზების გაცემის შეზღუდვის გაგრძელება. საქართველოში ენერგომომარაგების შეწყვეტას მოსკოვი ვერ შეძლებს მოკავშირე სომხეთთან ტრანზიტის გამო.

# „თხუნელა" კანცელარიაში შეპარულა...

REGNUM

საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის შენობაში, საკუთარ კაბინეტში, შპიონაჟისა და სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის თანამშრომელი სიმონ კილაძე. „თხუნელას" დაკავების ოპერატიული კადრები ქართული ტელეკომპანიების ეთერში გადაიცა.

შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ კილაძე 2004 წლიდან სისტემატურად გადასცემდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებს სტრატეგიული მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაციებს, ღალატის საფასურად მან 20 ათასი დოლარი მიიღო. „მიუხედავად ასეთი ჰონორარებისა და მაღალი ხელფასისა, კილაძე ოჯახთან ერთად საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა," — აღნიშნა მან. მეორე სასწრაფო ბრიფინგი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი არველაძემ გამართა, რომლის უწყებაშიც აღმოაჩინეს ჯაშუში. არც ერთ ჯაშუშს არ გავაჭაჭანებთ საქართველოში. არავის მივცემთ სახელმწიფოს ინტერესების სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ფულზე გაცვლის საშუალებასო, — დაიქადა არველაძემ.

აღსანიშნავია, რომ ამ ბრიფინგებზე ერთი სიტყვაც არ თქმულა, თუ რომელი ქვეყნისთვის მუშაობდა ჯაშუში კილაძე. არც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დაუსახელებია მისამართები. მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, საქართველოს ბევრი არაკეთილმოსურნე ჰყავს, რომელთაც ქვეყნის განადგურება უნდათ, მაგრამ არაფერი გამოუვათო. სიმონ კილაძის მსგავს ხალხს კი ურჩია, 1-ელ მაისამდე საკუთარი ნებით გამოცხადდნენ კონტრდაზვერვაში, თანამშრომლობის საფასურად კი ხელშეუხებლობის გარანტიები შესთავაზა.

კილაძესთან ერთად პრესცენტრში ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს მომუშავენი მას ახასიათებენ, როგორც „არაფრით გამორჩეულ, უსახურ (სწორედაც ჯაშუშისთვის დამახასიათებელი თვისებაა!), საშუალო დონის ადამიანს", რომელიც ძალიან უფრთხილდებოდა თავის სამსახურს. „კილაძე საშინლად ბრაზდებოდა, როდესაც ვიწრო წრეში მაშინდელ პრეზიდენტს, შევარდნაძეს, ვაკრიტიკებდით. იგი ძალიან განიცდიდა, რომ თბილისში ბინა არ ჰქონდა და არც შეძენა შეეძლო. როცა შევარდნაძე გადადგა, სამსახურის დაკარგვისა ეშინოდა. ისე, გასაოცარია, რომ ახალმა ხელისუფლებამ, რომელმაც აპარატის წმენდა დაიწყო და კილაძეზე აშკარად უკეთესი პროფესიონალები გაათავისუფლა, მას ხელი არ ახლო", — განაცხადა პრეზიდენტის პრესსამსახურის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა.

აღსანიშნავია, რომ ჯაშუშური ინფორმაციის პოტენციური „დამკვეთების" რიცხვი არც ისე დიდია. ამას წინათ პოპულარულმა ქართულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „კვირის პალიტრამ" საინტერესო სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგები გამოაქვეყნა. მკითხველებს უნდა დაესახელებინათ საქართველოს მიმართ ყველაზე მტრულად განწყობილი ორი ქვეყანა. თითქმის 700 რესპონდენტიდან უმრავლესობას (94,4%) ასეთ ქვეყნად რუსეთი მიაჩნია. მეორე ადგილზე ბელორუსია აღმოჩნდა (33,7%), მესამეზე — მეზობელი სომხეთი (28,1%). სავარაუდოდ, სწორედ ამ ქვეყნებიდან რომელიმეზე იქნება საუბარი ჯაშუშ სიმონ კილაძის სასამართლო პროცესზე.

# საიდუმლო ბირთვული კვალი

The Washington Times

*გავლენიან ამერიკულ გაზეთში, „ვაშინგტონ ტაიმსში", დაიბეჭდა ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივნის, ცოტნე ბაკურიას წერილი, რომელსაც გთავაზობთ მცირედი შემოკლებით, — **რედაქცია**.*



1995 წელს ირანის პრეზიდენტი ალი ჰაშემი რაფსანჯანი საქართველოს ეწვია. მან რამდენიმე საათი დაყო თბილისში და შემდეგ, ირანში დაბრუნების ნაცვლად, აჭარაში გაემგზავრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან, ბატონ ასლან აბაშიძესთან. მათი შეხვედრა საიდუმლოდ დარჩა.

ირანის პრეზიდენტი ეძებდა შავ ბაზარს ბირთვული იარაღის სარეალიზაციოდ და იპოვა კიდეც სასურველი პარტნიორი ბატონი აბაშიძის სახით კონკრეტული თანხის საფასურად.

1998 და 2001 წლებში აბაშიძემ 2 თვითმფრინავი გაგზავნა თეირანში ბიზნესკონტრაქტების გასაფორმებლად, შემდეგ 4 რუსი მეცნიერიც გაამგზავრა.

მანამდე, 1997 წლის ივნისში, 2 პაკისტანელი, რომელიც აბაშიძეს გააცნეს, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკოსები, ბათუმში 3 თვე ცხოვრობდნენ დაცვის თანხლებით. აბაშიძემ მათ გადასცა თავისი გეგმა და ისპაჰანში გაამგზავრა. თვითმფრინავი ბათუმში მუყაოს ყუთებით დატვირთული დაბრუნდა, რომლებიც აბაშიძის მცველებმა საპრეზიდენტო აპარტამენტებში გადაიტანეს.

როცა აჭარელი „მუსიკოსები" (ანუ სხვადასხვა დარგის მეცნიერები) ჩავიდნენ ირანში მეზობლებისთვის თავისი „კულტურის" გასაცნობად, პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ საჯაროდ გადაუხადა მადლობა ასლან აბაშიძეს და მის მცირერიცხოვან ამალას „ირანის მეცნიერების" განვითარებაში დახმარებისთვის, რაც მხოლოდ და მხოლოდ ბირთვულ იარაღს გულისხმობდა!

ვარდების რევოლუციამ აბაშიძე დიქტატორად გამოაცხადა.

2004 წლის მაისში, გაზაფხულის ერთ მშვენიერ ღამეს, ბათუმში აბაშიძის რეზიდენციას პროტესტანტების ჯგუფმა შეუტია. მდივანს მთელი კორესპონდენციის შეგროვების დრო აღარ ჰქონდა და აბაშიძის ბრძანებით მხოლოდ სპარსულ ენაზე დაწერილი წერილები ამოარჩია, რასაც საათზე მეტი დასჭირდა. როცა ასლან აბაშიძის თვითმფრინავმა გეზი მოსკოვისკენ აიღო, მთელი დოკუმენტაცია ექსპრეზიდენტის მცველებთან და მის ვაჟთან ერთად უკვე თვითმფრინავში იყო.

ამჟამად აბაშიძე მოსკოვში ცხოვრობს, ხოლო ვენაში, ხუთ მილიონ დოლარად ნაყიდ სახლში, ცნობილი ფლეიბოი და ნარკოდილერი მისი ვაჟია დაბინავებული.

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# პრეზიდენტს იმედი აქვს...

НЕЗАВИСИМАЯ газета

ვლადიკავკაზში ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) სხდომაზე გადაწყდა, ერთობლივი სამშვიდობო პროგრამის შესამუშავებლად საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რფ-ის და ჩრდილო ოსეთის წარმომადგენელთა ახალი სამუშაო ჯგუფის შექმნა. შსკ-ის თანათავმჯდომარემ, საქართველოს მხრიდან, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ, ვლადიკავკაზში გამართულ სხდომას წარმატებული, გარკვეული თვალსაზრისით, გარდამტეხი უწოდა და იმედი გამოთქვა, მუშაობის განახლებას კონკრეტული შედეგები მოჰყვებაო. სახელმწიფო მინისტრმა აღნიშნა, რომ არსებობენ ძალები, რომლებიც ხელს უშლიან შსკ-ის მუშაობას და იგივე ძალები აღუდგებიან ქართული პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონის — რესტიტუციის, რეგიონის დემილიტარიზაციის და ეკონომიკური აღორძინების შესახებ — მიღებას.

„შავბნელი ძალების" შესახებ ილაპარაკა შსკ-ის თანათავმჯდომარემ სამხრეთოსური მხრიდან თეიმურაზ კუსოვმაც. „ისინი რომ არა, შსკ დიდი ხნის წინ მოძებნიდა კონფლიქტის მოგვარების გზას," — თქვა მან და აღნიშნა, რომ ბევრ საკითხში, რომელზეც ადრე ვერ თანხმდებოდნენ, ამჯერად კომპრომისს მიაღწიეს.

მიუხედავად ამ იმედისა, სერიოზული უთანხმოების საგნად დიდხანს დარჩება რუსული სამშვიდობო კონტინგენტი. სხდომაზე ამ საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა. ის, რასაც მათ გენერალი მარატ კულახმეტოვი სთავაზობს, რადიკალურად განსხვავდება ქართული და ნაწილობრივ ოსური მხარის ხედვისგან. დიალოგის გასაგრძელებლად ქართულმა მხარემ შეხვედრის მონაწილეებს თავისი მოსაზრებები წერილობითი სახით წარუდგინა და იმედი გამოთქვა, რომ მოკლე ხანში მიიღებს წერილობითვე პასუხებს. ხაინდრავამ აღნიშნა, რომ ქართული მხარე მოითხოვს, მოსკოვის 1996 წლის მემორანდუმის თანახმად, სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებს. რუსეთი, ჩრდილო ოსეთი და ცხინვალის წარმომადგენლები საკითხის ამგვარად დაყენების კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. „კონფლიქტის ზონას რუსეთი მაშინ დატოვებს, თუ ეს გადაწყვეტილება ერთობლივი იქნება. საქართველოს პარლამენტს არ აქვს ამ საკითხების გადაწყვეტის უფლება", — მიაჩნიათ სამხრეთ ოსეთის დელეგაციის წევრებს.

იურიდიული თვალსაზრისით, თბილისს შეუძლია ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღება სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე. მაგრამ კავკასიის მშვიდობის ინსტიტუტის ექსპერტის, პაატა ზაქარეიშვილის აზრით, სამშვიდობოების გაყვანის მექანიზმები და ვადები რუსეთის და საქართველოს პრეზიდენტებმა უნდა განსაზღვრონ. მაგრამ მათი შეხვედრა ახლო მომავალში არც კი იგეგმება, ამიტომაც, მისი ვარაუდით, რუსი ცისფერჩაფხუტიანები რეგიონში გაურკვეველი დროით დარჩებიან.

სულ სხვანაირად ხედავს სიტუაციას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. „არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, მაგრამ 2008 წელს ალბათ ნატოს წევრი გავხდებით. იმ დროისთვის „ცხინვალის საკითხიც" მოგვარებული იქნება და, იმედი მაქვს, აფხაზეთისაც," — განაცხადა მან.

ატლანტი - უსაფრთხოების სამსახური

თავისუფლების მოედანი 7
(ცეკავშირის შენობა)
92 11 77
www.atlant.ge

- ბინების და ოფისების დაცვა;
- უსაფრთხოების ელექტრონული სისტემები;
- პირადი დაცვა;
- ტვირთების გაცილება;
- ავტოფარეხების აღჭურვა სიგნალიზაციით.

თქვენი სიმშვიდის სამსახურში!

ATLANT - SECURITY SERVICE




## პატარები ქიოლმობენ

დედამ პატარა **მანანა** და **ნესტან ხურციძეები** დააწვინა და მეუღლეს სთხოვა, იქნებ შენ დააძინოო. მამა შვილებს საწოლთან ჩამოუჯდა და სასაცილო ამბების მოყოლა დაიწყო. პატარები ისე გახალისდნენ, რომ სიცილისაგან კინაღამ საწოლიდან გადმოცვივდნენ. ბოლოს დაქანცულებმა ძლივს ამოილაპარაკეს:

— კარგი, რა მამა, ნუ დაგვხოცე სიცილით, თორემ ხვალე მკვდრები გავიღვიძებთ.

***

4 წლის **გოჩა რაზმაძეს** ფრიადოსანი ძმა ჰყავს. მეზობლის ბიჭები კი სულ დასცინიან და ერთსა და იმავეს უმეორებენ:

— შენი ძმა ოროსანია, ოროსანიო.

გოჩა იხტიბარს მაინც არ იტეხს და ამაყად ამბობს, — ოროსანი კია, მაგრამ მაინც ხუთოსანიაო!

## I ანა, გამოიცანი

**1. ვინ შექმნა ქართულ სიტყვათა პირველი ლექსიკონი „სიტყვის კონა"?**

ა) ვახუშტი ბაგრატიონმა; ბ) იოანე პეტრიწმა; გ) ვახტანგ VI-მ; დ) სულხან-საბა ორბელიანმა.

**2. რა არ იზომება გრადუსებში?**

ა) სპირტის სიმაგრე; ბ) დახრა; გ) ტემპერატურა; დ) ტენიანობა.

**3. ვინ იყო ვახტანგ ჭაბუკიანი?**

ა) ოპერის მომღერალი; ბ) ბალეტმაისტერი; გ) კინორეჟისორი; დ) მოჭიდავე.

**4. რა ჰქვია კომბლეს ძროხას?**

ა) ჭრელა; ბ) ფაქიზო; გ) ნიკორა; დ) ყვავილა.

**5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვინ უფრო ადრე მეფობდა?**

ა) გიორგი ბრწყინვალე; ბ) დავით აღმაშენებელი; გ) ვახტანგ გორგასალი; დ) დემეტრე II.

## III ნუმერაციის მიხედვით შეიტანე უჯრებში ქვემოთ მოცემული ნახატების სახელწოდებათა პირველი ასოები და გრაფებში მიიღებ ერთ ცნობილ ანდაზას.




## იპოვე 10 განსხვავება



## II გამოიცანი, რომელი დეტალები დარჩება თოკზე მისი გაჭიმვის შემთხვევაში




მხიარული „ატრაქციონი" თქვენი პატარებისთვის




ყველაზე საბავშვო ჟურნალი

## ხუთიანი

მოთხრობა

გიგამ ფრთხილად ამოშალა რვეულიდან სამიანი. მერე წითელი ფანქარი აიღო და ამონაშალზე საგულდაგულოდ ხუთიანი გამოწკიპა.

— აი, მესმის ხუთიანი, — მოეწონა გიგას, — შინ რომ მივალ, დედას გავახარებ!

საღამოს დედამ მართლაც გადაათვალიერა გიგას რვეული, ხუთიანი რომ დაინახა, დიდად გაუკვირდა:

— ეს რა ამბავია, ნაწერში ოთხი შეცდომაა, ხუთიანი კი გიწერია!

— მე რა ვიცი, — შეიშმუშნა გიგა, — მე ხომ არ დამიწერია, მასწავლებელმა დაწერა.

— უცნაურია, როგორ მოხდა, — განაგრძობდა დედა, — ოთხი შეცდომა და ხუთიანი?!

გიგას ხმა აღარ ამოუღია. დედა რომ სამზარეულოში გავიდა, სასწრაფოდ საშლელი და ფანქარი ამოიღო, ხუთიანი ისევ სამიანად გადააკეთა და ჩაფიქრდა: „მე მეგონა გაუხარდებოდა... თურმე არც ისე ადვილია — დედა გაახარო".

## იცით თუ არა, რომ...

1. პატარა ბაჭიებს სუნი არ აქვთ, რის გამოც მტაცებელი ცხოველები მათ ვერ პოულობენ, თუ რასაკვირველია, შემთხვევით არ წააწყდნენ.
2. ცხენს მარჯვენა თირკმელი გულის ფორმის აქვს.
3. ქამელეონს შეუძლია ერთდროულად ამოძრაოს თვალები სხვადასხვა მიმართულებით. მას შეუძლია მარჯვენა თვალით იყუროს მარჯვნივ, მარცხენათი კი მარცხნივ. ერთი თვალით იყურებოდეს ზევით, მეორეთი კი ქვევით.
4. ვინაიდან თევზებსა და გველებს ქუთუთოები არ აქვთ, თვალხილულებს სძინავთ.

## IV რა დაეკარგა ბიჭუნას?!

ბიჭუნამ მინდორში გაისეირნა, ხან წიგნი იკითხა, ხან იკოტრიალა. მერე რაღაც მოისაკლისა და ძებნა დაიწყო.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — ჰკითხა მწყემსმა.

— დავკარგეე!

— რა დაკარგე?

ყმაწვილმა არაფერი უპასუხა, ტანსაცმელი გაიფერთხა და ძებნა განაგრძო.

**ბავშვებო, თუ დააკვირდებით ამ ტექსტში ოთხჯერ ამოიკითხავთ, რა დაეკარგა ბიჭუნას.**

გამოიწერეთ სხლი ნომრები 42-43-40; 33-26-73

წიგნში შევიდა ოტია იოსელიანის თორმეტი ახალი ზღაპარი.

წიგნი საუკეთესო საჩუქარი იქნება თქვენი პატარებისთვის...




124 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: 8 ლ

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



(დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა" №13)

ლალი გუნთაიშვილი

# უფლის გზაზე სიარული ნუ მოგვიშალოს ღმერთმა...

## განცდის, ცდუნების მთა...

იერიქონს თავს წამოსდგომია მკაცრი, ნაშალი ქვისა და ქვიშის სამფლობელო, თაკარა მზით გათანგული განცდის მთა, რომელსაც სხვაგვარად „ორმოცი დღის" მთასაც უწოდებენ... ახლა ამ ლანდშაფტს მისივე ნაცრისფერ-ყვითელი ფერის სიგრძეზე გამყოლი ეკლესია შეზრდია და იქ მისასვლელად, გკუთვნის და კიდეც უნდა გაისარჯო... დაიღლები, პირიც გაგიშრება, მზეც დაგაჭერს და ჩრდილსაც მოინატრებ, ფეხები იქნებ გღალატობენ უკვე, მაგრამ იცი, რომ კიდევ ერთ სასწაულთან გიწევს მიახლოება... აქაც დაკეტილი კარი, აქაც ბერძნები, აქაც ბედის გაღიმება, ურდულის ჩხაკანი და შევდივართ მთის გულში გაჭრილ გრილ სავანეში... ნეტარება, შეცბუნება, კრძალვა დაგივლის სხეულში, რადგან გახსოვს (და თუ არ გახსოვს, სხვები გიამბობენ), რომ იორდანეს წმინდა წყალში განათლული იესო ამ მთაზე განმარტოვდა, ორმოცი დღე გამოიცადა მარხვით და ბოლოს ეშმაკმაც მოუნდომა ცდუნება სამგზის... ვერ აცდუნა — არა პურითა ხოლო ცხონდების კაციო; — მხოლოდ უფალსა ჩემსა თაყუანს ვცემო; არა განსაჯო უფალი ღმერთი შენიო, პასუხობდა იესო და გაშორდა მას ძლეული სატანა, ზეციდან კი ანგელოზები დაეშვნენ მსახურად უფლისა...

დედაშვილობა ყველგან დედაშვილობაა, მაგრამ წმინდა მარიამი ხომ დედათა შორის უპირველესია...

შენეულ კედელში ამ უპირველესი დედის მოკრძალებული ფრესკაა დახრილი, მომლოდინე თვალებით და როგორც ამბობენ, იმ ადგილის მიმანიშნებელია, სადაც ნაზარეთიდან შვილის ამბის გასაგებად გრძელგზაგამოვლილი დედა შეჩერდებოდა, სუნთქვას აღიდგენდა და ჩუმად შეეხმიანებოდა ლოცვად დამდგარ შვილს — როგორ ხარო... კედელს იქიდან ძე მისი მოადგებოდა და ჩუმადვე შეეპასუხებოდა — კარგად ვარ, წადი შინ, დედა!

სალოცავად შებრუნებული კი სწორედ ამ ლოდზე ჩამოჯდებოდა, რომლის წინაც ახლა ანთებული სანთლებით ვდგავართ და ვევედრებით ქვეყნისა და ჩვენი მოქცევისათვის — მთის შუაგულში ბუბუნებს ტკბილი ქართული საგალობელი. ვერ შებედავ, რომ ჩამოჯდე და მოერგო, თორემ ისეა გამოკვეთილი ეს ლოდი, ღმერთკაცის ნატერფალებიც ამჩნევია...

არა, ეტყობა, ღვთის ენა მართლაც ერთია და საყოველთაო, რადგან აქ რომ ახალგაზრდა ბერძენი ბერი თავის ენაზე გვთხოვს სავანეში შესვლას, უთარჯიმნოდ ვხვდებით და იმ წელან თქმული ქართული საგალობლით თუ ჩვენს ნერწყვგამშრალ ყელში ნოტიოს ალსადგენად მაცოცხლებელი წვენებით გვიმასპინძლდება და ეს ერთი ჩვეულებრივი კაცური შტრიხიც გვრჩება მეხსიერებაში.

## მკვდარი ზღვა

ბავშვობაში გურიაში გამიგონია — „მოასოდომგომორა" ყველაფერიო... მაშინ ის ვიცოდი მხოლოდ, რომ ეს დიდ ნგრევას ნიშნავდა. მერე, უნივერსიტეტში აკრძალულ ბიბლიას რიგში ჩამდგარნი ჩუმად რომ ვკითხულობდით, იქ შემხვდა ქალაქების, სოდომისა და გომორის სახელები... მათი საზარელი ბედის შესახებაც შევიტყვე, უფალმა ღმერთმა გარყვნილებისა და ალვირახსნილობისათვის რომ დაატეხათ თავს...

ახლა ამ დამხობილი, ცოდვიანი ქალაქების უსიცოცხლო ნაფუძართან, მკვდარ ზღვასთან ვდგავართ. ძნელია მასზე წერა, ის არ ჰგავს არც ერთ თავის მოსახელეს, მკვდარია და მორჩა... შიგ ვერც შეაბიჯებ, ნაპირთანავე ლამში ეფლობი; თუ ჩაწექი, რასაც ალბათ ვერ მოახერხებ, ზემოთ იტივტივებ და გემოთი ისეთი მლაშეა, მარილიანსაც რომ ველარ უწოდებ, ეს რალაც გაცილებით მეტია...

არ ვიცი, ამბობენ, მკვდარი ზღვის დასასვენებელი საგზურები იყიდება და მისი აბაზანები ბევრ სნეულებას არჩენსო... რა უფლება გვაქვს, არ დავიჯეროთ, ალბათ ასეა. დედა ანასტასია ამბობს, — ადრეც ვიყავი მის ნაპირზე, მაგრამ სურვილიც არ გამჩენია, ხელის თითიც კი რომ დამესველებინა, დიდი ცოდვაა დალექილი მის ფსკერზეო... ღმერთო, ჩვენ ჩვენი ცოდვა გვაკმარე და ზოგიერთებმა მაინც შევაბიჯეთ ნასოდომგომორალ მლაშე ზღვაში.

## კანა — უფლის პირველი სასწაული



ცდუნების მთა



— ნათლისღების დღესასწაულზე აქ ფეხის დასადგმელ ადგილს ვერ ნახავთ



— ნეტარების მთაზე უფალმა შერჩეულ მოწაფეებს „ცხრა ნეტარება" გაანდო

თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთს რომ სიმონი ერქვა და კანანელს უწოდებდნენ, ყველას გახსოვთ. სწორედ გალილეის ამ ქალაქიდან გახლდათ სიმონი და „კანანელიც" წარმომავლობის მიხედვით შეერქვა (სიმონ კანანელმა ანდრია პირველმოციქულთან ერთად იქადაგა საქართველოში ქრისტიანობა და აფხაზეთში ალესრულა).

ახლა ადგილი სახარებიდან: იმ დღეს ქორწილი იყო კანაში. განცდის მთიდან მობრუნებული უფალი, მოწაფენი და წმინდა მარიამი სტუმრებთან ერთად უსხდნენ სანადიმო სუფრას. მასპინძელს ღვინო შემოაკლდა, შეწუხდა დედა მარიამი, რამეთუ ნათესავი გახლდათ ოჯახის უფროსისა და ვაჟს გაანდო... და თუმცა ჯერ არ იყო „მოწევნული ჟამი მისი", იესომ წყლით აავსებინა ჰურიათა სარწყულნი და მიეცა დასაბამი უფლის სასწაულთ — წყალი იქცა ღვინოდ.

აქაურობა სიმშვიდითა და იდილიით სუნთქავს. დღესაც შემონახული აქვთ ის თიხის ჭურჭლები, რომელთაც ახსოვთ მაშინდელი ლხინი და რომელთაც უფლის ნებით წყალი ღვინოდ გადმოადინეს. ამ ტაძრიდან ისე არავინ გამოდის, აქაური ღვინო რომ არ შეიძინოს სამახსოვროდ. ამბობენ, მაშინდელი ზვრების ნაყარი ვაზიდან არის დაწურული და მისი ერთი წვეთიც კი მთელი სუფრის გასაძლოლ ღვინოს გაგინათლავთო...

კანა დღეს მოზრდილი დაბაა და რაც თვალში მოგხვდებათ, ეს აქაური ქალების გამოხედვაა — მშვიდი, ლბილი და წმინდა; იქნებ შეიძლება კიდეც ამის ახსნა — ისინი ხომ უფლის პირველი სასწაულის მიწის ქალბატონები არიან...

## „ესე არს ძე ჩემი საყუარელი"

გალილეა კიდევ ბევრ შეხვედრას გვპირდება, მაგრამ არის ამ კუთხეში ადგილი, რომელთანაც „სხვებს ხმა არ ამოელებათ". მას იორდანე ჰქვია... ალბათ ბევრჯერ გვიფიქრია ამ წმინდა მდინარეზე, მის სიგრძე-სიგანეზე, ფერსა და შემოგარენზე, მასში ჩამდგარ იორდანე ნათლისმცემელზე, უეცრად გამოჩენილ შარავანდდადგმულ ახალმოსულზე... შემდეგ უდიდეს სასწაულზე — უფლის ნათლისღებასა და აქ გაცხადებულ წმინდა სამებაზე: „განეხუნეს ცანი, და იხილა სული ღმრთისა, გარდამომავალი, ვითარცა მტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა და ხმაი იყო ზეცით... ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელიცა მე სათნო-ვიყავ"...

არა, არ არის იორდანე მოზარზეიმე მდინარე... არ მოედინება გაშლილ ველზე, არც ისეა გადაჭიმული, თვალი რომ შორს გაადევნო... ფინიკითა და პალმებით შემოზღუდული ულამაზესი ზურმუხტ-ლაჟვარდისფერი იორდანე ერთი პატარა მდინარეა, მაგრამ ისეთი როლშესრულებული წყალი დგას მის კალაპოტში, რომ პლანეტის „უდიდეს" მდინარედ ქცეულა...

ნათლისღების დღესასწაულზე აქ ფეხის დასადგმელ ადგილს ვერ ნახავთ, ახლა კი თავისუფლად ვუახლოვდებით ნაპირს, რამდენიმე კიბით ვეშვებით და კიდევ ერთხელ ვთამამდებით, ფეხით ვბედავთ შესვლას იორდანეში და იქნებ სწორედ უფლისა და ნათლისმცემლის ფეხდადგმულ ქვასაც კი ვეხებით... სანახები ხომ მაინც არის მაშინდელი... მოდი ახლა და წერე უემოციოდ — ხომ გითხარით, შეუძლებელია-მეთქი! — ამას მხოლოდ მაშინ შეიგრძნობთ, თუ იორდანეში შედგამთ ფეხს...

მამაომ პეშვით გვასხურა თავზე წყალი; იორდანეში განვიწმინდეთ — ეს არ არის პათეტიკა.

## გალილეის ზღვა

იორდანედან ტიბერიისკენ მივემგზავრებით... ეს ისრაელის გამორჩეულად ლამაზი კუთხეა — საოცრად მოვლილი ვაზისა და პალმების მწვანე პლანტაციებით, კოხტა სახლებითა და შუაგულში მშვენიერი გალილეის ზღვით, ზოგნი ტიბერიის ზღვად რომ მოიხსენიებენ.

ახლა გახურებული საკურორტო სეზონია და აქაურობა დუღს... ხალხიც ბევრია, გასართობიც, ფულის სუნიც ტრიალებს... ღმერთმა სიკეთეში მოახმაროთ, შრომობენ და აქვთ... იტყვით, ჩვენც ვშრომობთო... არა, ბატონებო, სხვაგვარი შრომა სცოდნიათ მათ — მზის პირველ სხივებთან ერთად წამოდგომით, მუხლჩაუხრელი გარჯით, ერთგულებით და უდაბნოშიც კი, თითოეულ სასწაულით გადარჩენილ ბუჩქთან სათითაოდ მიყვანილი წყლის მილით, რომელიც ვერ მიხვდები, რა სისტემით, მაგრამ უწყლო უდაბნოშიც კი განუწყვეტლივ უნამავს ფესვებს მცენარეს... კიდევ ერთი — ქუჩაში უქმად მდგომ და მოღლაბუცე ვერც ერთ კაცს ვერ ნახავ... (ვერც ბიჭს და ქალებზე ხომ აღარაფერს ვამბობთ...), საქმის ყადრიც იციან და ფულისაც... სხვა ყველაფერთან ერთად ამის თქმაც მომინდა...

როცა უფალი გალილეის ზღვის ნაპირას მიდიოდა, მებადურები დაინახა — პეტრე და ანდრია იყვნენ ესენი, ძმები... კაცთა მებადურობას შეჰპირდა მათ და დაიმოწაფა, ორი სხვა ძმაც იახლა — იაკობი და იოანე, მათაც „დაუტევეს ბადე თვისი და გაჰყვნენ მაცხოვარს".

ასე მოვლეს მათ გალილეა და უფალი ქადაგებით მოძღვრავდა და შემოიკრებდა ხალხს.



კანა

ახლა ჩვენ ვდგავართ ამ ლურჯად მოკამკამე ტბის ნაპირთან (ვიტყუები, ზოგმა იცურავა კიდეც), გავყურებთ სივრცეს და თქვენც კარგად იცით, რასაც ვფიქრობთ: სახარების ის ადგილი ცოცხლდება, როცა მოწაფეებმა იხილეს, როგორ მოდიოდა უფალი ზღვაზე სვლით — ეს ერთი; მეორე ეპიზოდი — ნავში მიძინებული უფალი შეშინებულმა, „მცირედ მორწმუნე" მოციქულებმა გააღვიძეს, ავად ღელავდა ზღვა, უფლის ერთი ნებით დადგა და ჩაწყნარდა აზვირთებული ტალღა. პეტრემ ამ დროს უწოდა უფალს პირველად „ძე ღვთისა". გალილეაში ბევრი ტაძარია. ერთ-ერთი 12 მოციქულის სახელობისაა და თურმე (კიდევ ერთხელ უნდა გაგაოგნოთ), მაგრამ მაგდალინელმა (ამის შემდეგ მარიამ მაგდალელს დავწერ, რადგან ჩვენ ვნახეთ წმინდანის სამშობლო — დაბა მაგდალა და რუსულ-ქართული შეერთებული ინელ-სუფიქსისაგან ვტოვებთ მხოლოდ ქართული წარმომავლობის აღმნიშვნელ სუფიქსს — მაგდალა — მაგდალელი). უფლის აღდგომა სწორედ აქ ახარა მწუხარებამიცემულ მოციქულებს... ეგ კიდევ რა?! თურმე თავად უფალი აღდგომის შემდეგ იქ გამოცხადებია მოწაფეებს და ხომ გახსოვთ, ურწმუნო თომას გარდა, ყველამ იხილა იგი...

ის მთაც გალილეაშია, „ნეტარების მთა" რომ ჰქვია და თავის შერჩეულ მოწაფეებს უფალმა „ცხრა ნეტარება" რომ გაანდო და ასწავლა...

ერთი პირობა, ვიფიქრე, იქნებ გოლგოთით გავასრულო-მეთქი სათქმელი, მაგრამ არაფერი გამოვიდა... როგორ შეიძლება მხოლოდ ჩამოთვალო ის წმინდა ადგილები, რომელთანაც შეხვედრა წინ გაქვთ — გეთსამანიის ბაღი, თაბორის მთა (ფერისცვალება უფლისა ჩვენისა), მამრის მუხა, კაპერნაუმი, ტაბჰა და კიდევ სხვა, რომელთაც შუა თხრობისას მივადგებით...

## გზა ეგვიპტისკენ...

ჩემს მინაწერებში ჩავიხედე და ხუთშაბათის გვერდით პირველი, რაც მიწერია — წმინდა გერასიმეს სახელობის ტაძარია... გერასიმეს ამ უდაბნოში უცხოვრია და თუ ხატებზე ლომებგვერდდამშვენებულ ბერს იხილავთ, სწორედ ეს გახლავთ წმინდანი იგი, რომელთანაც ეგვიპტისკენ მიმავალ მართალ იოსებსა და მარიამს შეუსვენიათ...

ადგილი სახარებიდან: იუდეას მეფეს, ჰეროდეს მოგვთაგან ესმა, რომ „იშვა, მეუფე ჰურიათა" და შეძრწუნებული ჰეროდე ეშმაკობითა და ფლიდობით ცდილობს მიაგნოს ახალდაბადებულ ჩვილს... „და გამოუჩნდა ანგელოსი უფლისა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა — აღდეგ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და ივლტოდე ეგვიპტედ"...

ახლა აქ, როგორც გითხარით, წმინდა გერასიმეს ტაძარია და ყველაზე დიდ სიწმინდედ სწორედ ის დიდი ლოდი წარმოჩინდება, სადაც ბეთლემის შემდეგ მიუწვენია ღვთის დედას ძე ღმერთი...

ზემოთ რომ ლომები ვახსენეთ, უდაბნოში დაყუდებულ გერასიმეს ისინი უზიდავდნენ საჭმელს — ეს ბიბლიური ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი სიუჟეტია — დიდ წინასწარმეტყველ ილიას (ელიას) ყორნები აპურებდნენ, სხვათა შორის, ჩვენ წმინდა წინასწარმეტყველ ილიას გამოქვაბულიც ვიხილეთ და ის ადგილიც, საიდანაც უფალმა ცეცხლოვანი ეტლით ცოცხლად აიტაცა ილია ზეცად... (ისე ვთქვი და დავწერე, ვითომც ერთი ჩვეულებრივი წინადადება მითქვამს და დამიწერია. თუმცა, სათაურიც ხომ ასეთია — „გაცოცხლებული სახარება").

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ძილშიც ბორგავდა — რა ხელი გამიხმა, რად დავხოცეო

სოფელს, სადაც ბავშვობა გავატარე, ცალ მხარეს ელდარის ფიჭვის გაუვალი ტყე ემიჯნებოდა, მეორე მხარეს ნადირ-ფრინველით სავსე დაბურული მთები. იქვე, ყურის ძირში იწყებოდა მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი და სადღაც, თვალმიუწვდომ სიშორეზე მთავრდებოდა... დილა შაშვის გალობით შემოდიოდა, ღამე — ზღაპრადქცეული ბუს კივილით: — იპოვე? ვერა... ვერა... ჩვენ ამ მიწიერი სამოთხის ნაწილი ვიყავით და სულ სხვანაირად გვესმოდა დედამიწის ამოძახილი. მის წიაღს მუდამ იის სურნელი ასდიოდა, ქაფქაფა ნაკადულებიც მხოლოდ ჩვენთვის გასაგებ ენაზე ლიკლიკებდნენ.

ნაკრძალში ნედლ ხეს ცულს აბა ვინ მოუღერებდა, მონადირული ხმები კი ხშირად მოისმოდა ცას მიბჯენილი ჭიუხებიდან. კაცები თოფიარაღში ჩამჯდარი დადიოდნენ, შიშიანობის დროს რომ სჩვეოდა ქართველობას, ისე. და მაინც — ხან ბაღჩის ბოლოს აჩხავლდებოდა ტურა, ხან ორღობეში. თვალდათვალ დაძვრებოდა საქათმეში მელა. არც მგელი ეპუებოდა ბომბორა ნაგაზებს... ყველა, და მათ შორის მამაჩემიც, ნადირობის ნამდვილი ტრფიალი იყო. უცნაური ჩვევა კი ჰქონდა — ესროდა მხოლოდ მტაცებლებს, უმწეო ცხოველებზე იარაღი არ შეუმართავს.



ჭაბუკობისას თურმე დაჭრილი ფურირემი შეეფეთა, დამფრთხალი, აკანკალებული, წინა ფეხებით ნაიჩოქა და დარჩა ასე მონადირის წინ „მუხლმოყრილი“ — შიშჩამდგარ თვალებში რომ ჩავხედე, საცოდავად შემომბლავლაო — იტყოდა ხოლმე მამა. ქამარზე გამობმული მოუყვანია შინ, მოურჩენია და ისევ იმ ადგილას დაუბრუნებია, სადაც პირველად გადაეყარა.

ერთხელ პაწია ნუკრი მოიყვანა. სუსტი, ფერდებჩაცვენილი. ბუერის ფოთლებქვეშ ეპოვა მიმალული. თხის რძით გავზარდეთ. მუხლი რომ გაიმაგრა, წავიყვანეთ, გავუშვით ტყეში. უკან გამოგვედევნა. ხელისგულზე მარილს დავიყრიდით, გავუწვდიდით. ხაოიანი ენით გვლოკავდა, გვერდიდან არ გვშორდებოდა. ლეგა ქათიბზე მუქი ხალები ჰქონდა და ხალიანა დავარქვით.

ხალიანა მამამ დისწულს გადაულოცა ქორწილში. წამოიშალა ხალხი, ეფერებოდნენ, თამადამ მისი სადღეგრძელოც კი დალია.

ერთხელ ჩვეულებრივ ნადირობიდან დაბრუნებულს ბავშვები ჭიშკართან შევეგებეთ. ზურგჩანთაში რაღაც ფუთფუთებდა. კურდღელი გვეგონა. ოთხი თვალაუხელელი მგლის ლეკვი კი ამოვსხით. დაღოლავდნენ, ერთმანეთს ეხუტებოდნენ. მაშინვე ტაშტით რძე მივურბენინეთ. პირი არ დააკარეს. ბებომ გვითხრა — ძაღლს მიუსხით, იქნებ მოაწოვოს, შიმშილით დაიხოცებიანო — ბედზე ჩვენს ძაღლსაც ერთი ლეკვი ჰყავდა, როცა მას აწოვებდა, მაშინ მივუყვანეთ „გერები“. ჯერ წამოხტა, ღრენა დაუწყო, დაყნოსა სათითაოდ. ისეთი უსუსურები იყვნენ, ალბათ შეეცოდა. მიუწვა, მოაწოვა. ერთ-ორ კვირაში მოყოჩაღდნენ. დღედაღამ წრიალებდნენ, იმათი ფეხი არ გაჩერდებოდა. როგორ არ ეცადა მამა, ვერ გაწვრთნა. მონკავშირს მანამდე მაინც არ ჩააბარა, ვიდრე ბატკანი არ შეგვიჭამეს.

ჩამოივლიდა ჩვენი მეზობელი არჩილა — დათაო, — დაუძახებდა მამაჩემს, წავიდეთ დათვებზეო. არჩილას ორლულიანი თოფი ჰქონდა — ბელგიურიაო, ტრაბახობდა. მამაჩემს — ცალლულიანი.

— მაგას მაინც ვერ დავეწევი, ორჯერ მეტი ნადირი ცოცხლად ჰყავს დაჭერილი, ვიდრე მე დახოცილიო, — გვითხრა ერთხელ ნასვამმა არჩილამ. რა ხიბლი აქვს არ ვიცი, თავად გამორბიან მისკენ, ესეც დაუყვავებს, გამოიბამს ქამარზე და შინ მოჰყავს. დაგვენატრულა, კაცო, შვლის მწვადებს... მამაჩემი იჯდა, არჩილას ყურს არ უგდებდა. დატენა პილზები, წავიდნენ. არც მაძებარი, არც არავინ, თვითონ, მარტონი. ცივგომბორზე, ბებერ კლდესთან დათვის ბუნაგს გადააწყდნენ. სამი დათვი მოკლა მაშინ მამამ. მათგან ორი ბელი. ადგილიდან ვერც ერთი ვერ დაძრეს. შეიყარნენ სოფლის კაცები. იმსიშორიდან მარხილებით ჩამოათრიეს. აქებდნენ მამაჩემს — მაგარი ხარო. თავად კი დაგვილონდა. ძილშიც ბორგავდა და იძახდა: — რა ხელი გამიხმა, რად დავხოცე, რას მიშლიდნენო. ამის მერე დამარხა თოფი.

გამოხდა ხანი, ისევ მოუარა ნადირობის ჟინმა. წავიდა მარტო. ორი ბუთხუზა ბელი მოიყვანა — ობლებია, შინ უნდა გავზარდოო.

— აკი დათვს აღარ ვერჩიო — გაუკვირდათ ჩვენებს.

— ტახმა გამოლადრა მუცელი — თქვა დანანებით და ზღაპრად გაუგონარი ამბავი მოგვიყვა: შუაგულ ტყეში უცნაური ბუტბუტი შემოესმა თურმე. იფიქრა, მონადირეები იქნებიანო და მათკენ გადაუხვევია. ხედავს, დათვი ახოხებულა პანტაზე და არხევს. ძირს ორი პატარა ბელი დასუნსულებს. დაარხევს ტოტს დათვი, წამოვა პანტა სეტყვასავით, დაფრთხებიან ბელები, გახტებიან განზე, ისევ მიბრუნდებიან.

ჯერ თოფი შევმართეო, — თქვა მამამ. მერე დავუშვი. ვუყურებ ჩუმად გაოგნებული. სად იყო, სად არა, მოვარდა ზორბა, გაქსუებული ტახი. ეცა ბუსნოზე გაფენილ პანტას. დინგი აუქნია ბელებს, გარეკა, მიურ-მოურია იქაურობა. ჭამს პანტას, ქაფი გადმოსდის პირიდან. ბუწკნარიდან გამოძვრა ერთი ბელი. დგას მოშორებით, აჰყურებს დედას, ტახმა, ფხუკუო და გაექანა ბელისკენ. დათვმა ერთი იღრიალა, ხე ჩამოტეხა, ტოტიანად დაასკდა ტახს, ნელი აათრევინა. ცოტა ხანს დაუსხლტა ის სატიალე, მიწა მოფხოჭნა უკანა ჩლიქებით, გადმოყარა ეშვები და გამოექანა დათვისკენ. შეიბნენ. დათვმა ტორები მოხვია, დაავლო ზურგში პირი, გააქანა და გამოაქანა. ტახმა უმარჯვა — პირდაპირ მუცელში გაუყარა ეშვები, გამოფატრა, ნაწლავები გამოაყრევინა. ველარ მოვითმინე. შუბლი გავუხვრიტე ტახს. ერთ მეტრზე შეხტა, ამოტრიალდა, დაენარცხა მიწას. დათვის ღრიალი ტყის სიღრმეში ჩაიკარგა. იწვა, ბრდღვინავდა, კვნესოდა. დამფრთხალი ბელები ნელნელა მიუახლოვდნენ. დათვმა აქეთ-იქიდან მოხვია თათები, ორივე გულში ჩაიკრა და ისე დალია სული. ისევ თბილი იყო, ძლივს ავაგლიჯე ჯერ ერთი, მერე მეორე და ზურგჩანთაში ჩავსხი...

...სამ წელიწადში იმხელები გახდნენ, ველარც ვეკარებოდით. ადგილზე ტორტმანობდნენ. მამამ ტყეში მაინც არ გაუშვა — დახოცავენო. არჩილამ ამბავი მოიტანა — რაიონის ცენტრალურ პარკში მინიზოოპარკს აწყობენ, იქ წავასხათო. მოიტანეს უზარმაზარი გალია, გამოამწყვდიეს შიგ ჩვენი დათუჩები. მამა თან გაჰყვა, საგულდაგულოდ დააბინავა, მაგრამ რომ გამობრუნდა, თურმე მთელი კვირა განწირული ხმით ღრიალებდნენ.

# სამახარობლო თოფების ქუხილმა მტერს ფერი აცვლევინა...

ეს ამბავი ორი საუკუნის წინ მომხდარა...

ლეკ-ოსმალთა ლაშქარი ბუზივით ესეოდა ამერ-იმერს. იმერეთის იმედად ჯერ ისევ გულმაგრად იდგა მაღალი მთის წვერზე აღმართული ვახანის ციხე. მტერშეუვალსა და ზღუდემოურღვეველს სიყვარულისთვის გაეღო კარი. შეფარებოდნენ მის კედლებს ჭაბუკი ლალი და კაფანდარა გოგო. ბინდბუნდის ფარდა ჩამოეფარა თუ არა სათოფურებს, შინ წასასვლელად აჩქარებული ქალ-ვაჟი რკინის ურდულით გადაკეტილ კარს მიადგა. უცხოთა ჩოჩქოლი შემოესმათ. შედგნენ, მიაყურადეს. კარს ლეკთა მოთარეშე ბრბო მოსდგომოდა და ციხეში შეღწევას ლამობდა. ვაჟმა საიმედოდ ჩახერგა ალაყაფი და სატრფო საიდუმლო გასასვლელით სამშვიდობოზე გაიყვანა.

მტარვალთაგან ერთმა თვალი ჰკიდა გაქცეულებს. დასცეს ყიჟინა, შეუკრეს გზა, შეიპყრეს, შემოაბრუნეს უკან, ააფეთქეს ციხის კარი და ტყვეებიანად იქვე ისადგურეს. განთიადისას, ცისკრის ჟამს აიკრეს გუდანაბადი, წინ გაიგდეს ქამანდით წელზე გამობმული ტყვეები, უდაბურ ტყეს შეერივნენ... სუსხიანი ზამთრის პირი იყო. ლეკთა ბელადი მალიმალ ასცქეროდა ავად მოქუფრულ ცას, თანამეინახეთ აჩქარებდა.

კლდე-ღრეში ბორიალმა მოქანცა გოგო. ძლივს მილასლასებდა. ტანჯვა-ვაებასა და შიშს მხოლოდ მისი მარჯნისფერი ლოყებისთვის ვერ დაეკარგა ეშხი და ლაზათი. ტყვე ჭაბუკი კი ისე ლაღად, მხრებგაშლილი და გამართული მიაბიჯებდა, თითქოს ეკლესიიდან ჯვარდაწერილი სატრფო გამოჰყავს ხელკავითო.

გული დაიდინჯეს ჭარელმა ლეკებმა. ტყვეები უკვე დანებებული და ბედს შერიგებული დაიგულეს, ღამის სათევად დასცეს ბანაკი. ცეცხლი დააგზნეს, გახსნეს ქუმელის გუდა, წაიხემსეს, ნაბდები გაშალეს და არხეინად მიწვნენ დასაძინებლად. მალე ყველამ ხვრინვა ამოუშვა. ფხიზლობდნენ მხოლოდ გატაცებული ქალ-ვაჟი და ტყვეთა მოყურადე. გადამთიელმა გუშაგმა ცოტა ხანში ფეხაკრეფით ჩამოუარა ღრმად ჩაძილქუშებულ ბრბოს. დარწმუნდა, ვერავინ გაიგებსო და ანგელოზისდარ გოგოს დაბორკილი ხელები გაუხსნა: — შენი ტოლი ქალი მყავს, მის თავს მაგონებ, გაიქეცი, თანამოძმეთა ღალატის ცოდვა ჩემს კისერზე ამიღიაო... აცრემლებული გოგო სატრფოსთან მიიჭრა — უამისოდ ფეხს არ მოვიცვლიო. ვაჟმა ურჩია — წადი, თავს უშველე, ჩემი საქმისა მე ვიციო.

გაუვალ ტყეში უკანმოუხედავად ირბინა გოგომ. წინ ლიცლიცა მთვარე მოუძღოდა, უნათებდა სავალს. უკან შავი ღრუბელი მოსდევდა ფანტელების ცვენით, ქალიშვილის ნაფეხურებს შლიდა. იძალა თოვამ და ინათა კიდეც. გამოჩნდა თეთრად გადაპენტილი ველი. გოგო გაბარჯღულ წაბლის ხეს მიეყრდნო და არაქათგამოცლილი ჩაიკეცა. მისმა გაქრობამ თავზარი დასცა მარბიელ ყაჩაღებს. ლომის მთამდე ხელებგაკრული ატარეს მოღალატე დარაჯი, გორის ფხიდან კლდეზე გადაჩეხეს. ტყვე ჭაბუკმა დრო იხელთა, ორ მარბიელს მხარი გაჰკრა და ყარაულს გადააყოლა. მერე თვითონაც შეჰკრა კამარა... თოფები ჩაახალეს, მაგრამ თვალი ველარ ჩაუწვდათ უფსკრულში. ხელი ჩაიქნიეს, ბურტყუნ-ბურტყუნით გაუყვნენ მოუსავლეთის გზას.

თოფის ქუხილზე გაშიშვლებულ ხეებს გააჟრჟოლა, თითქოს გამოფხიზლდნენო, ძარღვიანი ტოტები შეაგებეს განწირულ ჭაბუკს, შეაკავეს, მერე მოსხლეტით ჩამოიბერტყეს კალთა და პატარა ხავსმოდებულ ბექობზე გადმოაგორეს ძვირფასი „ტვირთი“. სასწაულით სამშვიდობოზე გასული ჭაბუკი მდინარეს დაუყვა შინისაკენ.

...წაბლის ძირში გულწასული გოგო უჩვეულო სითბომ გამოაფხიზლა. თვალი აახილა. მის წინ ლეგა მეძებარი ჩაცუცქულიყო და გათოშილ ხელებს ულოკავდა. მალე თოფიანი მონადირეც წამოადგა თავს. სათბურა გაიხადა, გოგო ბავშვივით შეფუთა და თავისიანებს მიჰგვარა. გზაში ყველა შემხვედრი ერთსა და იმავეს ეკითხებოდა: — ამ თოვლსა და ყიამეთში სად გიპოვია ეს ყვავილივით გაფურჩქნილი საპატარძლოო.

დიდი გზის შემდეგ ბიჭიც დაბრუნებულა... ისევ შეერთდა სიყვარულით ანთებული გულები. მერე კი, როცა იმერეთში მართლა იფეთქეს იისა და მარჯნისფერმა საპოვნელებმა, სოფელმა მტრის ჯინაზე გაშალა ვახანის ციხის გალავანთან დიდი საქორწინო სუფრა.

ამბობენ, სამახარობლო თოფების ქუხილმა ციხეზე საიერიშოდ წამოსულ მტრის ლაშქარს ფერი აცვლევინა და უკუაქციაო... ახალშემომატებულმა ოჯახმა ცხრა ვაჟი აჩუქა ქვეყანას. ხარაგაულის სანახებში კი იმ ადგილს, სადაც მონადირემ ტყვეობიდან გამოქცეული გოგო იპოვა, მას მერე საპოვნელას ეძახიან.

***გვერდი მოამზადა ეთერ თარიმანმა***


სამშენებლო კომპანია „IBC“ აცხადებს კონკურსს ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე.

*აუცილებელი მოთხოვნები:*

- უმაღლესი ტექნიკური განათლება სამშენებლო სფეროში
- მუშაობის გამოცდილება სამშენებლო სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობაზე
- უცხო ენები: ინგლისური, რუსული (სასურველია თურქული)
- კომპიუტერული პროგრამები (Office programs; ArchiCAD; AutoCAD)

*სამუშაო ვალდებულებები:*

- საპროექტო დოკუმენტაციასთან მუშაობა
- მშენებლობის ორგანიზაციის დაგეგმვა
- ობიექტების მშენებლობის კოორდინირება

დაინტერესებულმა პირებმა გამოაგზავნონ თავიანთი CV, ფოტოსურათი და დიპლომის ასლი შემდეგ მისამართზე: hr@ibc.ge

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 25 აპრილი



მალე

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“

გთავაზობთ ახალი საბავშვო წიგნების სერიას




კასტორი დურგლობს · კასტორი აცხობს · კასტორი ღებავს

კასტორი ხელმარჯვე თახვია, რომელიც ხან დურგლობს, ხან ღებავს, ხანაც აცხობს და თავისი ნახელავით მეგობრებთანაც იწონებს თავს.
ის ყველაფერს ხალისით აკეთებს და საქმეს რომ მორჩება, არც თავისი ნივთების მოწესრიგება ავიწყდება.

გააცანით კასტორი თქვენს პატარებს და ისინი სიამოვნებით მიბაძავენ მას!

## პოე-ზია

### ზვიად გამსახურდია

საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას 31 მარტს 67 წელი შეუსრულდა



**უძღები შვილი**

ვით უძღები შვილი სოფლად,
ვერ წაუველ ვერსადათ,
თვალთა შენთა მშანთავ ნათელს,
მეუფეო ზეცათათ!
ქვესკნელს დამნთქა სულთა
მტერმა,
სად შენა და მე სადათ,
მომიძიე კრავი შენი,
მეუფეო ზეცათათ!
გულისთქმათა განმგებელო,
მსურს ამლაგმო, მესადავო,
სულთა მწეო, ყოვლისმძლეო,
მეუფეო ზეცათათ!
სინანულის ცრემლთა რუებს
აწ კი უნდა ესათავთ,
მოხვედ ჩვენად სინანულად,
მეუფეო ზეცათათ!

**წმიდა გიორგი**

წმიდაო გიორგი,
დიდების მხედარო,
ვუმზერ შენს ხატებას
და სული მხნედ არი...
შემუსრე უწმინდურ
დრაკონთა ორგია,
იხსენი სამკვიდრო
შენი — გეორგია,
დიდების უფალი
მართალთა მწედ არი.
წმიდაო რაინდო,
გველი არ დაინდო,
მოგვმადლე იმედი
და უფლის სვე-დარი!..

## ნუნუ ქადაგიძე

# მარტოობა




ქონდრისკაცები — მწვანე ტყის ნამცეცა ბინადრები, ძალზე ჭკვიანები და მოხერხებულები არიან. ყველაფერი ემარჯვებათ, მათ შორის მიბაძვაც და ხშირადაც ბაძავენ ადამიანებს, თუმცა ხანდახან სასაცილო მდგომარეობაშიც ვარდებიან ხოლმე. ასე დაემართა ერთ-ერთ მათგანს, პაწაწინა ქონდრისკაცს, სახელად წინწკალას, რომელსაც თავზე მუდამ სოკოს წინწკლებიანი ქუდი ეხურა, ამიტომაც შეარქვეს ასეთი სახელი. შესახედავადაც ისე ძალიან ჰგავდა სოკოს, მისგან ვერაფრით გამოარჩევდით, სანამ ხმას არ ამოიღებდა.

წინწკალამ იმასაც მოჰკრა ყური, ადამიანები მარტოობას განიცდიან და ამისგან ძალიან იტანჯებიანო. ჰოდა, ამ საქმეშიც გადაწყვიტა ესინჯა თავი. რაც შეიძლებოდა გაჯავრებული იერი მიიღო... ამგვარი იერი აქვთ ადამიანებს, როცა რაიმე აწუხებთ... და ასეთი სახით აიტუზა მწვანედ მობიბინე მდელოზე, ვარდისფრად აბდღვრიალებული ასკილის ბუჩქის მახლობლად.

მისი უჩვეულო იერი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. სულ მალე გულწითელა შეეხმიანა ასკილის ტოტიდან.

— რა დაგემართა, რა ცხვირპირი ჩამოგტირის, წინწკალავ!

— მარტოობისგან ვიტანჯები — მიუგო წინწკალამ.

— განა შენ მარტო ხარ? — გაიკვირვა გულწითელამ. — მიიხედ-მოიხედე, ვინ აღარაა შენ გვერდით. ჩირგვებიდან კურდღელი იჭვრიტება, შენს ცხვირწინ ჩხართვი დაგოგმანებს მწვანე მოლზე, ასკილის ბუჩქს უთვალავი ფუტკარი ახვევია. პეპელა ლამის მაგ წინწკლებიან ქუდზე დაგასკუპდეს.

— მერე რა. ადამიანები მაინც განიცდიან მარტოობას, ვინც არ უნდა იყოს გვერდით, მარტოსული მარტოობისგან ყველაზე მეტად მაშინ იტანჯება, როდესაც მარტო არ არის.

ამას რომ ამბობდა, ისე შეეცოდა საკუთარი თავი, რომ ცრემლები გადმოუგორდა თვალებიდან.

გულწითელას ძალიან შეებრალა წინწკალა და თანაუგრძნო — რას იზამ, ძნელი საქმე გიკისრია და როგორმე უნდა გაუძლოო... მერე გაფრინდა და მთელ ტყეს მოსდო ეს ახალი ამბავი. ძალზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა წინწკალას მარტოობამ. ტყის ბინადრებს ყური კი მოეკრათ, რომ ადამიანები მარტოობისგან იტანჯებიან, მაგრამ რა იყო ეს მარტოობა, ჯერ თვალით არავის ენახა. ამიტომ გაიგეს თუ არა, ეს ახალი ამბავი, ყველამ მაშინვე გაანება თავი ყოველდღიურ ჩვეულ საზრუნავს: დათვმა მიატოვა თაფლით სავსე სკა, მელაკუდა შუა გზაზე მობრუნდა საქათმისკენ მიმავალი ბილიკიდან, ციყვმა თავი ანება ნაძვის ტოტებზე ხტუნვას, თაგუნამ გვერდზე მიაგდო სანახევროდ გამოღრღნილი თხილი, მთელი ტყე ერთბაშად დაცარიელდა, ყველა ერთად დაიძრა წინწკალასაკენ.

— გამარჯობა, წინწკალა, მართლა მარტო ხარ?

— მარტო ვარ, — თავს სევდიანად აქნევდა წინწკალა.

ტყის ბინადრები ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ყოველი მხრიდან, ირგვლივ შემოუვლიდნენ ხოლმე, ეძებდნენ რაიმე სიახლეს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით წინწკალას ზომაზე მეტად დაღრეჯილ ცხვირპირს, ვერავითარ სხვაობას ვერ პოულობდნენ წინანდელი წინწკალასაგან.



— აბა, სად არის მარტოობა? — კითხულობდნენ გაოცებით. — რა ფერისაა?

— მარტოობას ვერ დაინახავ, ვერც ხელს ახლებ, — პასუხობდნენ უფრო მცოდნენი.

— ალბათ მწარე გემო აქვს, არა?

— გემო სრულებითაც არ აქვს.

— იქნებ სუნი აქვს უსიამოვნო?

— არც სუნი აქვს.

— ხომ არ იკბინება?

— კბენა სრულებითაც არ იცის.

— რა უცნაურია. როგორ უნდა იტანჯებოდე იმისგან, რასაც არც ფერი აქვს, არც სუნი და არც იკბინება...

— მართლა გაუგებარია, მაგრამ ადამიანები რას არ მოახერხებენ.

— ჩვენი წინწკალაც რა ყოჩაღი ყოფილა, როგორ მოახერხა.

ზოგიერთები ახლოსაც არ ეკარებოდნენ წინწკალას, აქაოდა მარტოობა არ გადაგვედოსო. ასე იქცეოდა მაგალითად კურდღელი. არც თავისი ბაჭიები მიუშვა ახლოს. შორიდან უთვალთვალებდნენ წინწკალას, როგორც რაღაც საოცრებას. მაგრამ ასეთები შედარებით ცოტანი იყვნენ. უმეტესობა ახლოს მიდიოდა, ხელს თანაგრძნობით ართმევდა და, უნდა გაუძლოო, არიგებდა.

— ვუძლებ, მეტი რა გზაა, — ოხრავდა წინწკალა.

სულ ბოლოს მწვანე კალიამ მოაკითხა, ძლივს გაიკვლია გზა უამრავ მნახველში და აუწყა: ჩვენი გუნდი ამჟამად ძალზე შორს, უდაბნოსკენ მიფრინავს. შენი მარტოობის ამბავი გავიგეთ და მე სასწრაფოდ გამომგზავნეს შენთან. ჩვენ, კალიებმა, ძალიან კარგად ვიცით, რას ნიშნავს მარტოობა... განა ერთი და ორი მარტოსული გვინახავს უდაბნოში... მთელი ჩვენი გუნდი მოკითხვას გითვლის და სოლიდარობას გიცხადებსო.

— გმადლობთ, — უთხრა გულაჩუყებულმა წინწკალამ და ღვარივით წასკდა ცრემლები. იქვე მოფარფატე პეპელამ მზრუნველად შეუმშრალა თავისი ჭრელი ფრთებით.

მხოლოდ გვიან ღამით დაიშალა მთელი ეს თავყრილობა. დაღლილმა წინწკალამ მაშინვე დაიძინა. იმდღევანდელი დღით ფრიად კმაყოფილი იყო. „მარტოობა ძალზე მხიარული რამ ყოფილაო“, ფიქრობდა. ალბათ ამიტომაც ვეღარ ელევიან ადამიანები...

*გვერდი მოამზადა მანანა ჯანელიძემ*


## ახალი წიგნები
### სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

**გამომცემლობა „კვირის პალიტრა“** (ახალი)

| | |
|---|---|
| ბორის აკუნინი — „თურქული გამბიტი“ | 5 |
| ამირან ჭიჭინაძე — „ჭკუა“ | 5 |
| „რას გვეტყვი, მამაო“ | 5 |
| თემურ ყიფიანი — სამაგიდო ენციკლოპედია: „ყველაფერი ყველაფერზე“ | 12 |
| ოტია იოსელიანი — „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მგყდ) | 8 |
| აკაკი გეგეჭავა — მოგზაურის დღიურები | 5 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |
| გოჩა დვალი — ანტიდეპრესანტი | 5 |

**გამომცემლობა „საბავშვო ენციკლოპედია“**

საბავშვო თემატური ენციკლოპედიების „რა არის რა“ 50 ტომი (ახალი)

| | |
|---|---|
| ინდიელები მე-5 ტომი | 16 |
| მსოფლიოს 7 საოცრება 21-ე ტომი | 16 |
| ძველი ჩინეთი 42-ე ტომი | 16 |
| ვულკანები 50-ე ტომი | 16 |

| | |
|---|---|
| გუჯა ბერიშვილი „სპორტის ენციკლოპედია“ (ახალი) | 85 |

**გამომცემლობა „ლიტერა“**

| | |
|---|---|
| უილიამ შექსპირი — „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მაკბეტი“, „მეფე ლირი“ | სულ 12 |
| ამირანი | 7 |
| ჩინეთის დიდი მთავარი | 7 |
| რობიზონ კრუზო | 7 |
| იულიუს კეისარი | 7 |
| ტროას ომი | 7 |
| ოდისევსის თავგადასავალი | 7 |
| რობინ ჰუდი | 7 |

**გამომცემლობა „დიოგენე“** (ახალი)

| | |
|---|---|
| კარლ გუსტავ იუნგი — „ფსიქოლოგია და ალქიმია“ | 19 |
| სანდრა რულოვსი — „იდეალისტის ნაამბობი“ | 12 |
| ასტრიდ ლინდგრენი — „ძმები ლომგულები“ | 10.40 |
| ვახუშტი კოტეტიშვილი — „მოუკრეფავნი“ | 6 |

**„ელფის“ გამომცემლობა**

| | |
|---|---|
| „საქართველოს დიდი მეფეები“ | 16 |
| „ჩემი საქართველო“ | 20 |
| „კომპიუტერის სახელმძღვანელო“ | 11 |
| „ინტერნეტის სახელმძღვანელო“ | 12 |
| „კომპიუტერის ლექსიკონი“ | 6.50 |
| „ვორდი“ | 7.50 |
| „ექსელი“ | 7.50 |

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**

| | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი | 12 |
| ჰარი პოტერი IV ნაწილი | 15 |
| ჰარი პოტერი V ნაწილი | 19 |
| **პროზა** | |
| „გეოგრაფიის ენციკლოპედია“ | 39 |
| „მეცნიერების ენციკლოპედია“ | 40 |
| დიბისი პიერი — „ვერნონ გენიოს ლითლი“ (ახალი) | 12 |
| აკა მორჩილაძე — „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ | 5 |
| პაოლო კოელიო — „ალქიმიკოსი“ | 6 |

| | |
|---|---|
| „მსოფლიო კულინარია“ (ახალი) | 26 |

**გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**

| | |
|---|---|
| **ლექსიკონები** | |
| ი. გვარჯალაძე — ინგლ.-ქართ.–ქართ.-ინგლ. (80 000 სიტყვა) | 28 |

**გამომცემლობა „თბილისელები“**

| | |
|---|---|
| გოჩა მანველიძე — „მგლები I“ | 7 |
| „მგლები II“ | 7 |
| „სარანგი“ | 7 |
| „საკონტროლო გასროლა“ | 7 |
| „იდუმალი ორდენი“ | 7 |
| ნინო წულუკიძე — „ჰარემის ტყვე“ | 7 |

| | |
|---|---|
| ბესიკ ალადაშვილი — „სპეცსამსახურები და შპიონაჟი“ | 10 |

**გამომცემლობა „ლოგოს პრესი“**

| | |
|---|---|
| ირაკლი ჩარკვიანი — მშვიდი ცურვა | 7.50 |
| ენდრიუ ჰეივუდი — პოლიტიკური იდეოლოგიები | 12 |
| ქართული მითების სამყარო | 7.80 |

**გამომცემლობა „არტანუჯი“** (ახალი)

| | |
|---|---|
| ქრონიკები | 20.80 |
| მსოფლიო რელიგიები | 15.60 |
| საქართველოს ისტორია XIXსაუკუნე | 15.60 |
| საქართველოს ისტორია XXსაუკუნე | 15.60 |
| ქართლ-კახეთის თავადაზნაურები | 7.80 |

ტელ: 42-43-40 33-26-73

## გამოიწერეთ ცხელი წიგნები 42-43-40; 33-26-73

216 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

ახალი

ალმოაჩინე ქართული კვალი რუსულ ბესტსელერში




მკითხველმა, რომელიც ბორის აკუნინის (გრიგორი ჩხარტიშვილის) წიგნის კითხვას შეუდგება, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ ყველანაირ საქმეს მოსწყდება, ვერც ერთ ტელეგადაცემას ველარ ნახავს და ვერც დაიძინებს ზუსტად დროის იმ მონაკვეთში, რომელიც დეტექტივის უკანასკნელ სტრიქონამდე წასაკითხად დასჭირდება.

884 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 12 ლ.




წიგნი მოიცავს ენციკლოპედიურ მონაცემებს იმ თემებზე, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში დასჭირდეს. ის საუკეთესო მეგზური იქნება, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი შვილებისთვის...

# 13-დან 19-მდე

## „მე დიჯეი ტიმო ვარ, მხიარული ადამიანი!“

*თბილისში, კლუბ „მეიდანში“ **თემო ბერიძე**, იგივე დიჯეი ტიმო როგორ უკრავს, ეს მხოლოდ ერთეულებმა თუ იციან. იმათ, ვინც პარასკეობით მის მოსასმენად მიდიან... თუმცა ის, რომ თბილისში ყველაზე პატარა დიჯეი მხოლოდ 12 წლისაა, უკვე ბევრმა იცის და უნდათ კიდეც მისი გაცნობა, განსაკუთრებით თინეიჯერებს. მათ რამდენჯერმე გვთხოვეს მოგვეთხრო მათთვის დიჯეი ტიმოზე...*

*თემო თავად მოგიყვებათ, როგორ გახდა დიჯეი.*



— ვიდეოზე რომელიმე დიჯეის კონცერტს რომ ვუყურებდი, ძალიან მომწონდა. ერთხელ დიჯეი ბაბასთან მივედი. მან სკოლა „კაფსულაში“ სამი თვე მამეცადინა, შემდეგ შინ გავაგრძელე ვარჯიში... მამამ აპარატურა მომიტანა. რაც დიჯეის სჭირდება, ყველაფერი მაქვს — „ვერტუშკები“, „სიდები“, „მიქსერი“, ხმის გამაძლიერებლები...

— **როგორი უნდა იყოს დიჯეი?**

— პირველ რიგში, მუსიკაში უნდა ერკვეოდეს და ალბათ, ისეთი ტიპი იყოს, რომ მაყურებლის გართობა შეძლოს. დისკოთეკაზე ყველა სხვადასხვა მუსიკის მოსასმენად მოდის, ზოგი რომელ სტილს ანიჭებს უპირატესობას და ზოგი რომელს. ამიტომაც იმ კლუბში მიდიან, სადაც მათი გემოვნების შესაფერის მუსიკას მოისმენენ. მე არჩევანი „ფანკი ჰაუზზე“ გავაკეთე.

— **შენ როგორ მუსიკას უსმენ?**

— რეპი და როკი მომწონს, თუმცა უპირატესობას ჯაზს ვანიჭებ. ვუსმენ ყველანაირ ჯაზს, მსუბუქიდან დაწყებული მძიმეთი დამთავრებული.

— **კლუბ „მეიდანში“ შენ შესახებ როგორ გაიგეს?**

— მინდოდა კლუბში დამეკრა... „მეიდან ქლაბის“ არტმენეჯერთან მივედი და მანაც, ერთი საღამო დაუკარი, ვნახოთ, რა გამოგივაო... თავიდან კვირაობით ვუკრავდი, ახლა ყოველ პარასკევს გამოვდივარ „ჩილაუდ ბენდთან“ ერთად.

— **სახელი დიჯეი ტიმო ვინ შეგირჩია?**

— ტიმო კარგად ჟღერს... თავად დავირქვი, იმიტომ რომ მომწონს.

— **კლუბში რამდენს გიხდიან?**

— ხომ შეიძლება ამ კითხვაზე არ გიპასუხოთ?

— **მაშინ მითხარი, დიჯეი ტიმო თემოს სწავლაში ხელს ხომ არ უშლის?**

— არანაირად... ვერ ვიტყვი, რომ სკოლაში ძალიან კარგად ვსწავლობ, თუმცა ზოგიერთ საგანს გამოვარჩევ — ინგლისურს, ქართულ ენას, ბიოლოგიას, ალგებრასა და გეომეტრიას... ხანდახან მასწავლებლებს ვაბრაზებ, მაგრამ არა გამიზნულად, შემთხვევით ხდება ასე.

— **წიგნის კითხვა თინეიჯერებს არ უყვართო, ასეა?**

— თუ კითხვა დავიწყე და მუღამი დავუჭირე, ბოლომდე წავიკითხავ, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს... ისე, ახლა ზღაპრებს აღარ ვკითხულობ. მიყვარს პოეზია, განსაკუთრებით ქართველი პოეტების ლექსები.

— **სკოლაში გაკვეთილების შემდეგ რა ხდება, რაზე საუბრობთ?**

— რა ვიცი, ათასი რამე ხდება. ჩემი სამეგობრო უმიზეზოდ არავის ერჩის. „ბეზპრედელი“ ჩვენთვის მიუღებელია, ასეთებს არც ვიცნობთ... საუბრის თემას რაც შეეხება, ხან ფეხბურთზე ვკამათობთ, ხან — მუსიკაზე, ხან...

— **გოგონებზეო გინდოდა გეთქვა?**

— ზოგჯერ, ალბათ, გოგონებზეც, თუმცა სიმართლე გითხრათ, იშვიათად.

— **გთხოვენ გოგონები კლუბში წაყვანას?**

— არაერთხელ დამიპატიჟებია, ოღონდ ჩემზე უფროსები... თანატოლებს, ვერც გოგონებს და ვერც ბიჭებს, კლუბში ვერ შევიყვან, რადგან ასაკი განსაზღვრულია. ზოგიერთ კლუბში მეც არ მიშვებენ.

— **უფროსი მეგობრებიც გყავს?**

— (წამოდგა და მეკითხება): — ვგავარ ახლა მე 12 წლისას?! ძირითადად უფროსებთან ვმეგობრობ, მათთან საერთო ენას ადვილად ვპოულობ... უფროსებისგან ვიღებ იმ ინფორმაციას, რაც მაინტერესებს, აბა, 12 წლის ბავშვებმა რა უნდა მასწავლონ!

— **შენი მეგობრები რას აკეთებენ, რა მოგწონს მათი?**

— ყველას არა აქვს ისეთი პირობები ოჯახში, რომ რაც მოუნდებათ, შეუსრულონ, მაგრამ ამის გამო არ დუნდებიან. პირიქით, ბევრს სწავლობენ, რომ მიზანს მიაღწიონ. მე ეს მომწონს.

— **გამოდის, რომ არა ოჯახი, დიჯეი ტიმო ვერ გახდებოდი?**

— აბა, როგორ?! შეიძლება დიჯეობა ბევრს უნდა, მაგრამ მის ოჯახს არ შეუძლია დაეხმაროს.

— **თემო, მეგობრებთან ერთად სად დადიხარ?**

— დრო თუ მაქვს, კაფეში ვეპატიჟები, სხვაგან სად უნდა წავიდეთ.

— **გავიგე, ხშირად დადიხარ ისრაელში, იქაც ხომ არ უკრავ?**

— მე იქ დავიბადე (თუმცა ებრაელი არა ვარ!). ორი წლისა თბილისში ჩამომიყვანეს. ისრაელში ხშირად დავდივარ, რადგან იქ ბაბუა და მამიდა ცხოვრობენ... ჩემი ასაკის ბავშვებს ისრაელშიც უკრძალავენ ღამის კლუბებში სიარულს... თუმცა ნაცნობობით „ვახერხებ“ და ვიცი, იქაურ კლუბებში როგორი სიტუაციაა. თითქმის იგივე, რაც „ნაით ოფისში“ და უფრო მაგარიც. ისრაელში, ყველა კლუბში არიან „მოცეკვავე გოგონები“...

— **თემო, კლუბისთვის სპეციალურად იძენ ტანსაცმელს თუ–**

— ჩემთვის მოდურია ის, რაც მიხდება! ისე, ყველა დიჯეის თავისებური სტილი აქვს. ძირითადად მაინც ქუდებსა და მაისურებზე აკეთებენ აქცენტს. გამიგონია, როგორ ამბობენ ხოლმე სტუმრები: — ნახე, დიჯეის რა მაგარი მაისური აცვიაო. მე, ხან ჯინსი მაცვია, ხან — არა... გააჩნია, როგორ ხასიათზე ვიქნები. პარასკევს რა უნდა მეცვას, წინასწარ არასოდეს ვიცი.

— **რა გავლენას ახდენს შენზე მსმენელი?**

— რაც უფრო მეტია მსმენელი, მით უფრო მეტია სტიმულიც.

— **სიტყვაძუნწი შეიძლება არა, მაგრამ ფრთხილი ნამდვილად ხარ, არ გინდა რამე ზედმეტი თქვა. მოდი, თემო ბერიძე მოკლედ წარუდგინე მკითხველს, ოღონდ უცებ.**

— მე ვარ დიჯეი ტიმო, საკმაოდ მხიარული ადამიანი, რომელსაც არ უყვარს „სტერვებთან“ ურთიერთობა. სიამოვნებით დავისვენებდი მაიამიზე, დავეუფლებოდი არქიტექტურას. ძალიან ვაფასებ საკუთარ თავს. ვფიქრობ, რა მაქვს უარყოფითი და ვერ ვპოულობ. ეს ხუმრობით (ჩემს ასაკთან შედარებით, კარგი იუმორის გრძნობა მაქვს), მინუსი მეც მაქვს, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არ ვლაპარაკობ და კიდევ, თუ ადამიანს რამეს შევპირდები, აუცილებლად შევუსრულებ.

— **წლების შემდეგ როგორი იქნები?**

— მექნება პროფესია, საკუთარი სახლი და მეყოლება ოჯახი. აუცილებლად მექნება მანქანა, ოღონდ ის, რომელიც მაშინ მომეწონება (ახლა „პორშე“ მომწონს). ასევე მექნება საკუთარი ღამის კლუბი. იქ დავუკრავ კიდეც... ბევრია, არა? მაგრამ რასაც ვამბობ, ვაღწევ კიდეც... მოკლედ, ვეცდები და იმედია, გამიმართლებს...






## გამოხმაურება



***წინა ნომერში 17 წლის მარიკამ მოგვწერა თავის პრობლემაზე. იგი წუხს, რომ მორცხვია და ამის გამო ვერ ახერხებს საკუთარი პიროვნების წარმოჩენას. „გულახდილთა კლუბმა“ მარიკას თავისი მოსაზრებები გაუზიარა. იმედია, გულისყურით წაიკითხავს გამოხმაურებებს და „სამოქმედო გეგმასაც“ შეიმუშავებს.***

მარიკა, მეც შენსავით მორცხვი ვიყავი, მაგრამ ყველა სირთულე მეგობრების დახმარებით გადავლახე... თუმცა, მარტო მეგობრებზეც ნუ იქნები დამოკიდებული, შენც უნდა იზრუნო შენს თავზე, რომ მათ სტიმული მისცე. წარმატებებს გისურვებ.

***ნ. ჯ.***

მარიკა, შენ არავისზე ნაკლები არა ხარ და არავის მისცე იმის უფლება, ზემოდან გიყუროს.

***თეკო, 14 წლის.***

სიმორცხვის დაძლევისთვის აუცილებელია საკუთარ თავში დარწმუნება. სიმორცხვე კომპლექსია და მას ადვილად გადალახავ, თუ უახლოესი ადამიანებისაგან მიიღებ მხარდაჭერას — ილაპარაკე მათთან ყველა იმ საკითხზე, რომელიც გაინტერესებს, თამამად გამოთქვი მათთან შენი აზრი. არ იფიქრო იმაზე, როგორ გამოგივა. თუ ასე არ მოიქცევი, მუდმივად განზე აღმოჩნდები. მარი, მოინდომე, ოღონდ გახსოვდეს, შენი აზრი საჭირო დროსა და ადგილზე გამოთქვი.

***მარინა, 14 წლის.***

მარიკა, ეცადე, შენს თავს მოერიო, ებრძოლე მორცხვ „მე“-ს.

***ბესო, 17 წლის***

მარიკა, ჩანს, თავდაჯერებულობა გაკლია. გირჩევ, საკუთარ თავში ჩაიხედო, შენი შესაძლებლობები სწორად შეაფასო. შეეცადე, სიმორცხვე დროზე დაძლიო. თავადაც ხომ არ გინდა, რომ ეს თვისება შენს ხასიათში საბოლოოდ ჩამოყალიბდეს.

***დიმა, 16 წლის***

## საინტერესო კითხვა

*თქვენ უნდა გამოხმაურებოდით „საინტერესო კითხვას“, რომელიც წინა ნომერში გამოქვეყნებულ ზურაბ შარიას ინტერვიუდან გამომდინარეობდა. მსახიობი ამბობს, რომ შვილის შეყვარებულის ვინაობით დაინტერესდება. ჩვენ გთავაზობთ გამოხმაურებას თემაზე „სიყვარული და მშობლები“. თქვენი ეს-ემ-ესებისა და წერილების მიხედვით გამოჩნდა, რომ ამ საკითხმა ძალიან დაგაინტერესათ.*

მამაჩემმა ორი კვირა სახლიდან გამოსვლა ამიკრძალა, როცა გაიგო, რომ შეყვარებულთან ერთად კინოში ვიყავი. დედას გავენდე, მან კი, რა ვიცი, რას იზამს იმ ბიჭთანო და მამას უთხრა. რა თქმა უნდა, დედაც დასაჯეს და ჩემზეც მკაცრი კონტროლი დაავალეს. რა ვქნა არ ვიცი, გიგა ამას რომ გაიგებს, იტყვის შენი მშობლები ჩამორჩენილები ყოფილანო და წავა. მშობლებს ჰგონიათ, თუ ბიჭი მიყვარს, რაღაც უნდა ვქნა... ეს რომ მინდოდეს, მათ არც გავაგებინებდი არაფერს. ვერ ვხვდები, რატომ ჰგონიათ მშობლებს სიყვარული საშიში!

***მირანდა, 16 წლის***



შესანიშნავი მშობლები მყავს, არაფერს მაკლებენ, მაგრამ ერთხელაც არ დაინტერესებულან ჩემი და ჩემი დის გრძნობებით. დედამ მხოლოდ ერთადერთხელ მკითხა, შეყვარებული ხომ არ გყავსო, მაგრამ დავუმალე. ვიცოდი, მაინც ვერ გამიგებდა. ძალიან მინდა, მშობლებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდეს, მაგრამ არ გამომდის.

***თიკა, 16 წლის***

დედაჩემმა იცის, ვინც მიყვარს, სულ მეუბნება, კარგი გოგოა, მისი გულის მოსაგებად მეტი უნდა გააკეთოო. ახლა, ქალთა დღეს, სუნამო მომცა, აჩუქეო... დედა ჩემი მეგობარია, არ მესმის იმათი, ვისაც მშობლები სიყვარულს უკრძალავენ. იცით, დედაჩემი როგორ ხუმრობს? — შეუყვარდა ბავშვს, აბა, თვითონ კი არ უნდოდაო... დედებო, მიბაძეთ ჩემს დედიკოს!

***ილია, 17 წლის***

ჩემი შეყვარებული რეპერია. ეს რომ შინ ვთქვი, მასთან შეხვედრა ამიკრძალეს, მაგრამ ამის არ მეშინია. მალე გავაცნობ იმ ბიჭს ჩემს მშობლებს, ოღონდ ისეთ სიტუაციაში, რომ შეიძლება ჩემზე მეტადაც მოეწონოთ. მთავარია, დროის სწორად შერჩევა.

***მე ეთო ვარ, 16 წლის***

„შავი გაგების“ ბიჭი მიყვარდა. ვმალავდი, მაგრამ მშობლებმა მაინც გაიგეს. ბევრს მეჩხუბნენ, მაგრამ სანამ მე თვითონ არ ავიცრუე გული, მანამდე ვერაფრით დამაშორეს. მშობლებო, ნუ ჩაერევით შვილების პირად ცხოვრებაში, სულერთია, ვერაფერს გახდებით.

***ანი, 16 წლის***

ჩემი შეყვარებულის მამა თუ გამიცნობს, ძალიან კარგი, მაგრამ თუ თავის გოგონას ჩემთან ურთიერთობას აუკრძალავს, — ეს ვის გადაეყარაო, მეც ვეტყვი, კარგად იყავიმეთქი! „ქაჯების“ შვილი არ მჭირდება, გოგონების მეტი რა არის.

***დათო, 15 წლის***

ეგ ცოტა რთული საკითხია. დედასთან ძალიან მაგრა ვარ, ამიტომ ყველაფერს ვუყვები. მამასთან კი ვერასოდეს ვახერხებ ბიჭის სახელის ხსენებასაც კი. მამებო! ნუ აუკრძალავთ გოგონებს ბიჭებთან ურთიერთობას, შეიძლება ამან უარესადაც იმოქმედოს თქვენს ქალიშვილებზე.

***ქეთკა, 17 წლის***



## გულახდილთა კლუბი

## დავუჯერო თუ არა...

ერთ ბიჭს ვუყვარვარ. მგონი, მეც მიყვარს. როდესაც ვკითხე, რატომ გიყვარვარ-მეთქი, მიპასუხა, შენი გარეგნობისა და ხასიათის გამოო. თითქოს დაუჯერებელი არაფერია, თუმცა მაინც მეშინია, არ მომატყუოს. ბიჭებს ეხერხებათ „ლამაზი ტყუილების“ თქმა, ჩემი დაქალები ასე ერთხელ მოატყუეს.

„გულახდილთა კლუბის“ აზრი მაინტერესებს. თქვენ როგორ თვლით, როდის უნდა დაუჯერო ბიჭს, როგორ უნდა მიხვდე, რომ ის სიმართლეს ამბობს...

***თათია, 16 წლის***

**რედაქციისაგან: თინეიჯერთა ეს-ემ-ესებისა და წერილების სტილი მაქსიმალურად დაცულია.**

***რუბრიკა მოამზადა ინგა უბილავამ***

***ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 22-52-15***

# ნიანგი საბედოს ეძებს...



ამერიკელი ლორა პაჩელის კარზე მოულოდნელად ძლიერი ბრახუნი გაისმა. მაშინვე გაალო და... ზღურბლზე უზარმაზარი ნიანგი დაინახა.

მოგვიანებით, როცა გონს მოეგო, ქალმა თქვა, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი ძალიან აგრესიულად იქცეოდა. ლორას აზრით, ეს საშინელი რეპტილია სახლის უკან მდებარე ტბიდან ამოცოცდა.

სპეციალისტები განმარტავენ, რომ წელიწადის ამ დროს უჩვეულო ადგილებში ალიგატორების გამოჩენა საკვირველი სულაც არ არის — მათ ახლა ეწყებათ გამრავლების პერიოდი და მეორე ნახევრის ძებნაში გზა ერევათ.

***დენგი***

# ახალი აღმოჩენა

კუნძულ კვიპროსის დასავლეთში, სოფელ კუკლიის ახლოს, აღმოაჩინეს 2500 წლის ქვის სარკოფაგი, რომლის კედლებზეც კარგადაა შენახული ილუსტრაციები ჰომეროსის პოემებიდან „ილიადა“ და „ოდისეა“. როგორც კუნძულის სიძველეთა განყოფილების დირექტორი პავლოს ფლურენციოსი იტყობინება, ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენაა. ნახატები შესრულებულია შავი, წითელი და ლურჯი საღებავებით. ერთ-ერთი სცენა ასახავს ოდისევსის გაქცევას პოლიფემეს გამოქვაბულიდან, სხვაზე გამოსახულია ბერძნების ბრძოლა ტროელებთან.

დღემდე კვიპროსზე მხოლოდ ორი ამგვარი სარკოფაგი იყო აღმოჩენილი. ერთი მათგანი ნიუ-იორკის „მეტროპოლიტენის“ მუზეუმშია დაცული, მეორე — ლონდონის ბრიტანულ მუზეუმში.

***ლიზა***



# სახიფათო კოცნა

გველების მომთვინიერებელმა აბდულ ჰამადმა სამი წუთის მანძილზე 51-ჯერ აკოცა ხუთმეტრიან სამეფო კობრას, რითაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წარმოდგენის დასრულების შემდეგ მაყურებელთა თვალწინ კობრას შხამი გამოუღეს, რათა ეჩვენებინათ, რამდენად სახიფათო იყო შოუ.

***ოკნა***

# გულუბრყვილობის მსხვერპლი

ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელიც არ ისურვებდა თუნდაც ერთი დღით ეცხოვრა რომელიმე ჰოლივუდელი ვარსკვლავის მდიდრულ სახლში. თუმცა, ამგვარი ბედნიერება ერთეულებს თუ რგებიათ. აი, აშშ-ის მოქალაქემ კი გადაწყვიტა, არ დალოდებოდა, როდის გაუღიმებდა ბედი და შეეცადა, უკანონოდ ჩასახლებულიყო ლეგენდარული კეტრინ ჰეპბერნის სახლში.

კვირას, ღამით ქალაქ ოლდ-სეირბურში მდებარე სახლს საბარგო მანქანა მიადგა. მანქანიდან ქალი და კაცი გადმოვიდნენ და, ვითომც აქ არაფერიო, ბარგის გადმოზიდვა დაიწყეს.

პოლიციამ უცხო პირების დანახვაზე იეჭვა, რომ რაღაც უკანონობა ხდებოდა.

ამ სახლში გარდაცვალებამდე, 2003 წლამდე, ცხოვრობდა ქ-ნი ჰეპბერნი. ერთი წლის წინ სახლი ნიუ-იორკელმა არქიტექტორმა შეიძინა. სხვა მფლობელი სახლს არ ჰყოლია. ამიტომ პოლიციის ოფიცერმა არ დააყოვნა და უცნობებს საბუთები მოსთხოვა. 38 წლის ხოსე რაპოზო თავიდან ირწმუნებოდა, სახლი ჩემიაო. მაგრამ ბოლოს აღიარა, რომ ამ სახლში ცხოვრება მისი დიდი ხნის ოცნება იყო. რაპოზო დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაუშვეს, როგორც გულუბრყვილობის მსხვერპლი.

***იტოგი***

# ალბინოსი „თოვლის გუნდა“

ბრიტანეთის სურეის საგრაფოში შემთხვევით აღმოაჩინეს ალბინოსი ზღარბი. გუბურაში ჩავარდნილი თეთრი ზღარბი ალბათ დაიხრჩობოდა, შემთხვევით გამვლელს რომ არ შეემჩნია და არ გადაერჩინა. ზღარბი ცხოველთა თავშესაფარში გაგზავნეს. ვეტერინარები ამბობენ, რომ ალბინოსს სუსტი ჯანმრთელობა აქვს და ბუნებრივ პირობებში შეიძლება დაღუპულიყო. იშვიათ ცხოველზე თავშესაფრის თანამშრომლები ზრუნავენ — პატარას ლოკოკინებით, ჭიაყელებითა და მატლებით კვებავენ, სახელიც კი შეურჩიეს და „თოვლის გუნდა“ დაარქვეს. თავშესაფრის მობინადრე სხვა ზღარბებს თანამოძმის უჩვეულო შეფერილობა არანაირად არ აწუხებთ, მშვენივრად უგებენ თეთრ მოძმეს.



***ორაკული***

# მილიონები ნაგავში!

ტოკიოს ერთ-ერთი რაიონის მენაგვეებმა სანაგვეზე პაკეტში ჩადებული 5 მლნ იენი (დაახლოებით 46 ათასი დოლარი) იპოვეს. ნაპოვნი გადაეცა პოლიციის განყოფილებას. ახლა პოლიციელები ამ რაიონში კარდაკარ დადიან და არკვევენ, ვინმემ შეცდომით ნაგავს ფული ხომ არ გადააყოლა...

იაპონიის კანონის თანახმად, თუ ექვსი თვისა და ორი კვირის მანძილზე არავინ განაცხადებს უფლებას დაკარგულ საგანზე, ის მპოვნელს გადაეცემა.

***ნიუს რუ***

# გულმავიწყი მამიკო



სიჩქარეში ზოგჯერ გვავიწყდება ხოლმე გასაღები, საფულე ან დოკუმენტები, ჯონათან სანდერს კი მანქანაში ჩვილი გოგონა დარჩა. ვაშინგტონის გარეუბნიდან ცენტრში მიმავალმა, მანქანა ჩვეულებრივ მეტროსთან დააყენა და მიწისქვეშა გასასვლელში ჩავიდა; არც გახსენებია მანქანის უკანა სავარძელზე უზრუნველად მძინარი შვიდი თვის გოგონა. საკმაოდ შორს იყო, როცა ბავშვი გაახსენდა. შეშფოთებული ჩამოვიდა მატარებლიდან და უკან დაბრუნდა. როცა იმ ადგილზე მივიდა, სადაც მანქანა დააყენა, უკვე გვიან იყო — მგზავრებს პოლიცია გამოეძახებინათ, მათ კი პატარა საავადმყოფოში წაეყვანათ — იქნებ სამედიცინო დახმარება დასჭირდესო. როცა გაირკვა, რომ ბავშვი შეგნებულად არ დაუტოვებიათ, პატარა დედას გადასცეს. გულმავიწყ მამას კი 500 დოლარი ჯარიმის გადახდა და 30-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

***ოჯი***

# უდაბნოში ოკეანე იბადება

ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბების უნივერსიტეტის გეოლოგები გაოცებულები არიან — აფრიკის უდაბნოში გასაოცარი სისწრაფით წარმოიქმნება ღრმული, რომელიც შეიძლება ახალი ოკეანის ადგილად იქცეს.

2005 წლის 26 სექტემბერს აფრიკაში რამდენიმე მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ხელი შეუწყო ღრმულის წარმოქმნას — რამდენიმე თვეში გრუნტმა 100 მ-ით დაიწია.

უდაბნოს ანომალიურ მონაკვეთს გეოლოგებმა „აფრიკის სამკუთხედი“ უწოდეს. სეისმოლოგები ამტკიცებენ: ჩრდილოეთ აფრიკაში დედამიწის ქერქი უკიდურესად მოძრავი გახდა. თუ პროცესები უწყვეტად გაგრძელდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ღრმულს წითელი ზღვის წყალი აავსებს, რაც დასაბამს დაუდებს ახალი ოკეანის წარმოშობასო.

გეოლოგები დარწმუნებულნი არიან, რომ ადამიანს პირველად ეძლევა შანსი, თვალი ადევნოს ოკეანის დაბადებას.

***ვოგი***

# ინგლისელი გოგონები ლოთობენ?!



ბრიტანელ მეცნიერთა გამოკვლევით, ნისლიანი ალბიონის გოგონები გამორჩეულნი არიან მსოფლიოში, — თანატოლ ყმაწვილებზე მეტს სვამენ.

კვლევის ერთ-ერთი ორგანიზატორის, პროფესორ მოირი პლანტის თქმით, თუ ასე გაგრძელდება, ეს სავალალოდ აისახება მათ ჯანმრთელობაზე. უკვე ბევრ 20 წლის გოგონას ღვიძლის ისეთი დაავადება სჭირს, რომელიც ჩვეულებრივ 60-70 წლის ადამიანს უჩნდება.

ეს ტენდენცია სერიოზულად აფიქრებთ ბრიტანელ მეცნიერებს.

***თაიმი***

# „ნასწავლი“ ვირუსი

რამდენიმე ხნის წინ ლოს-ანჯელესელმა მეცნიერებმა მოახერხეს, ადამიანის იმუნოდეფიციტის (შიდსი) ვირუსისთვის „ესწავლებინათ“ კიბოს უჯრედების განადგურება.

გენეტიკურად შეცვლილი ეს ვირუსი მოათავსეს სხვა ვირუსისგან (სინდბის) დამზადებულ „კონვერტში“. ასეთმა კომბინაციამ საშუალება მისცა მეცნიერებს, გაეკონტროლებინათ კიბოს უჯრედები თაგვებში. მკვლევარებმა ისე დააპროგრამეს სახეშეცვლილი ვირუსი, რომ ის „თავს დასხმოდა“ კიბოს უჯრედის ზედაპირზე არსებულ განსაზღვრულ ცილას, რომელიც ხელს უშლის კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატების მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე.

პროგრამის ხელმძღვანელის, ირვინგ ჩენის თქმით, შიდსის ვირუსის გამოყენება საშიში არ არის, სრულიად გაწმენდილია და ახლა მხოლოდ კურიერის როლს შეასრულებს.

***მონდი***

## ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში სოსო ჯაჭვლიანის სიტყვებს ამოიკითხავთ.

| დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | ს | გ | ა | ზ | ე | თ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ა | რ | ი | ე | რ | ა | ე | ზ | ი | | | ე | ლ | დ | | ა | ა | დ | დ | ე | რ | ი | დ | მ | ო |

**დ.** ძაღლის ჯიში; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს.** ამ ანსამბლის სოლისტი კრის ნორმანი გახლდათ; **ვ.** რუსი ფერმწერი; **ე.** ყველაზე კარგი, საუკეთესო; **ნ.** დაწნული თმა; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **ჩ.** რა ჰქვია დესერტს ქართულად; **ვ.** იტალიელი ფეხბურთელი; **ე.** კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **ნ.** ბიბლიური პერსონაჟი; **ს.** იტალიელი კომპოზიტორი, რომელიც გადმოცემის თანახმად, ფარულად მტრობდა მოცარტს; **გ.** ჩრდილოეთ ამერიკაში მობინადრე დიდი დათვი; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **ზ.** ბენზინის სანთებლების მწარმოებელი ფირმა; **ე.** სცენა, სადაც მომღერლები გამოდიან; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **თ.** მართლმსაჯულების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში, რომელსაც ბემეს თქმით, ხელში მახვილი რომ არ ეჭიროს, სასწორს თავზე გადაამტვრევდნენ; **ა.** რა ერქვა ქალს, რომელმაც თეზევსს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ნ.** გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; **ე.** ლირიკული პოეზიის და მუსიკის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; **რ.** მდინარე გერმანიაში; **თ.** ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ა.** ნაკურთხი წყალი; **დ.** სპარსეთის მეფე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ჯერ ისოსის, შემდეგ კი გავგამელას ბრძოლაში დაამარცხა.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დუტა; **ა.** აკელა; **ი.** იალალი; **ს.** სმეტანა; **ვ.** ვაფლი; **ე.** ეგო; **ნ.** ნინიძე; **ე.** ემისია; **პ.** პუჩინი; **ა.** ათენა; **ლ.** ლემუელი; **ი.** ილიონი; **ტ.** ტემზა; **რ.** როენა; **ი.** ინსულტი; **ს.** სპარტა; **ფ.** ფუმფულა; **ე.** ელე; **რ.** რახი; **ე.** ელენე; **ბ.** ბულდოგი; **შ.** შაილოკი; **ი.** იტალია.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ტელეფონი ჩემი მესამე ხელია.**

თქვენთვის, ბატონებო!

# დედას ვაპატიე, თავს — ვერა

ჩემი რესპონდენტების ნაამბობი უმეტესად სინანულით არის სავსე. გამონაკლისი არც ბატონი გოჩა გახლავთ. „მშობელს ყოველთვის მიაჩნია, რომ შვილისთვის კარგს აკეთებს, მაგრამ არავინ იცის, მისი საქციელი სამართლიანია თუ არა", — მითხრა მან და მივხვდი, პირადი ცხოვრება დღემდე მოუგვარებელი ჰქონდა.

— ჩემს ოჯახში სვეტას შემოსვლას დიდი დავიდარაბა მოჰყვა. ორი ქალიშვილის შემდეგ ნანატრი ბიჭი ვიყავი და სულს მიბერავდნენ, ისე მზრდიდნენ. ვერ აიტანეს, ზაფხულში, სოჭიდან ნახევრად რუსი რძალი რომ ჩამოვუყვანე.

სვეტა პლაჟზე გავიცანი. რომ მითხრა მამით ქართველი ვარო, ძალიან გამიხარდა. რამდენიმე დღეში მივხვდი, რომ მიყვარდა და ცოლობაც ვთხოვე. გამომყვა. სვეტა მოსკოველი იყო. მამამისს, ნოშრევანს, მივლინებაში გაუცნია დედამისი. კაცს მოუტყუებია, — ოჯახი არ მყავსო და დაჰპირებია, მეორე ჩამოსვლაზე ცოლად შეგირთავო. მერე კი შეუთვალა, — აღარ მელოდო, ცოლშვილიანი ვარო. დარია ნიკოლაევნა მას მერე აღარ შეხმიანებია ნოშრევანს. მამის გამო ყველა ქართველი ძალიან მიყვარდა და შენ რომ სიყვარულში გამომიტყდი, ძალიან გამიხარდაო, — მითხრა სვეტამ და მეც დავპირდი, თბილისში რომ ჩავალთ, მამას მოგაძებნინებ-მეთქი. ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი სიყვარულით და ლამაზი ცოლით, ვერც ვაცნობიერებდი, მშობლებისგან რა წინააღმდეგობა შემხვდებოდა. ახლა, 25 წლის შემდეგ რომ ვაანალიზებ ყველაფერს, მთლად არ ვამართლებ ჩემს საქციელს, ასე დაუკითხავად, უცნობი გოგო არ უნდა მიმეყენებინა კარზე, მაგრამ მშობლებმა და დებმა ისეთი „გაფიცვა" გამომიცხადეს, რომ კინაღამ გამაგიჟეს. სვეტა ყველას თვალებში შესციცინებდა, მაგრამ მაინც ვერ მოიგო მათი გული. ეკონომიკურად ფეხზე რომ ვმდგარიყავი, ალბათ უფრო პრინციპული ვიქნებოდი, მაგრამ რა მექნა. არც ბინის ქირის ფული მქონდა და არც ოჯახის შენახვის თავი. კარგა ხანს ითმინა სვეტამ, ბოლოს გამომიცხადა:

— გოჩა, მოსკოვში ვბრუნდები. აღარც აქ ყოფნა მინდა, აღარც მამის მოძებნა, მშვიდობითო. იმის მაგივრად, საყვარელ ქალს უკან გავყოლოდი, ავიკარი გუდა-ნაბადი და ჩემს კურსელებს შევუსახლდი საერთო საცხოვრებელში.

...შინ ორთვე-ნახევრის შემდეგ დავბრუნდი, რადგან გაბრაზება ცოტათი გამინელდა. „გზააბნეული შვილის" დაბრუნებას ზარ-ზეიმით შეხვდნენ.

ხშირად მახსენდებოდა სვეტასთან გატარებული თითოეული წუთი და ვიტანჯებოდი.

დარია ნიკოლაევნა თურმე პატარაობიდანვე უჩიჩინებდა შვილს, ქართველს არ გაეკარო, მატყუარები არიანო. სვეტამ კი არ დაუჯერა და... დღესაც არ ვიცი, რა ძალამ შემბოჭა, რომ არ ვურეკავდი, ალბათ იმის მეშინოდა, რომ ოჯახში ისევ დაიძაბებოდა ვითარება. მართალი გითხრათ, აქეთ ველოდი მის დარეკვას, ძალიან მინდოდა მისი ხმის გაგონება, მაგრამ ვერ გეტყვით, მერე რას ვიზამდი...

მერე ინსტიტუტი დავამთავრე, მუშაობა დავიწყე და ორი წლის შემდეგ ცოლიც შევირთე. ვუყურებდი მას და სვეტა მელანდებოდა. ჩემს ცოლს გაგონილი ჰქონდა ვიღაც რუსი ქალის შესახებ, მაგრამ სვეტას ჩემს ცოლად ხომ არავინ თვლიდა — არავინ იცოდა, რომ ჯვარი სვეტიცხოველში ჩუმად დავიწერეთ...

ცოლს რთული მშობიარობა ჰქონდა, ბავშვი მკვდარი დაიბადა. ოჯახზე გული ავიცრუე. შინ შესვლა აღარ მინდოდა — სვეტა მენატრებოდა. ასე ველარ გავაგრძელებდი ცხოვრებას, ამიტომ ცალკე ბინაში გადავედი. ცოლმა შემორიგება სცადა. ჩემიანებიც ბევრს ეცადნენ, მაგრამ არ შემეძლო დაბრუნება. ახლა, ამდენი წლის შემდეგ ვისჯები მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შევძელი საყვარელი ქალის დაცვა.

მერე როგორც იქნა, ძალა მოვიკრიბე და სვეტას დავურეკე. დარია ნიკოლაევნამ ცივად მომიგო: „Грузин, больше не звони, Света вышла замуж".



გავიდა წლები. მშობლების ჯინაზე ქმარგაცილებული, ორშვილიანი ქალი მოვიყვანე ცოლად. მაგრამ მასთანაც ვერ ავაწყვე ურთიერთობა. მერე კი უთქვამს დედაჩემს ნათესავებთან, — რას ვერჩოდი იმ გოგოს, ქართველობდა კიდეც და ჩემი შვილიც უყვარდაო.

ერთხელ, უცნობმა კაცმა დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. სამსახურში დავიბარე. დილით თმაშევერცხლილმა კაცმა შემოაღო ჩემი კაბინეტის კარი. წინ ჩამომიჯდა და თბილად მომაჩერდა. რაზე შეწუხებულხართ-მეთქი, — ვკითხე. ნოშრევანი ვარო, — მომიგო. თითქოს ურო დამკრეს თავში — სვეტას მამა ხართ-მეთქი? თავი დამიქნია... დიდხანს, ძალიან დიდხანს ვისაუბრეთ. ჩემი და სვეტას დაშორებიდან 15 წელი გასულიყო. სვეტამ ვერ მოისვენა თურმე და მამამისი მაინც იპოვა. სოჭში გადაღებულ ჩვენს ფოტოებთან ერთად მეუღლის და ქალ-ვაჟის სურათებიც მიუცია მამამისისთვის. ახლა ეს ფოტოები მე მეჭირა აკანკალებულ ხელში.

— ქმარი მდიდარი ებრაელია, ისრაელშიც აქვს სახლი და მოსკოვშიც. ვთხოვე, რომ შენც ენახე. იუარა, არ შემიძლიაო. არადა ვგრძნობ, ისევ უყვარხარ, — მითხრა ნოშრევანმა და წასასვლელად მოემზადა. უცხო კაცის რომ არ მომრიდებოდა, ალბათ ავღრიალდებოდი.

ვატყობდი, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა და თავის თავს ებრძოდა.

— *ბატონო ნოშრევან, გატყობთ, ყველაფერი არ გითქვამთ-მეთქი.*

ცოტა ხანს კიდევ მიყურა, ბოლოს კი:

— იცი, სვეტას გოგონას თამარი ჰქვია, 14 წლისაა და ის შენი შვილია.

გიჟივით გამოვტაცე ფოტოები და ხელახლა დავაჩერდი. ფოტოდან ჩემი სისხლი და ხორცი შემომყურებდა. თვალთ დამიბნელდა...

გონს რომ მოვეგე, გაფითრებული და შეწუხებული ნოშრევანი მომხვდა თვალში. მომიბოდიშა. იქით დავამშვიდე, — ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ-მეთქი.

კარგა ხანს ვერ დავუკავშირდი სვეტას, ისრაელში იყო მთელი ერთი წელი. ბოლოს ისევ ნოშრევანმა გამაგებინა, მოსკოვში არიანო. დიდი ხვეწნა-მუდარის მერე დავითანხმე, თამარი ცოტა ხნით თბილისში გამოეშვა. გოგონას აეროპორტში მე და ნოშრევანი დავხვდით. სანამ შვილი მომიახლოვდებოდა, მოაჯირს ჩავებღაუჭე, მეშინოდა, მუხლები არ მომკვეთოდა. გოგონამ დანახვისთანავე გვიცნო. ორივეს ისე ჩაგვეკრა, თითქოს პატარაობიდანვე ჩვენთან იზრდებოდა.

სიტყვა უძლურია იმ სიხარულის გადმოსაცემად, რაც მე დამეუფლა...

მას მერე ხშირად ჩამოდის ჩემი შვილი. ახლა უკვე დიდი ქალია, თანაც გათხოვილი. მისი ქმარი ჩეჩენია, ორი ბიჭი ჰყავთ, უმცროსს ჩემი სახელი ჰქვია.

ყოველთვის მენატრებოდა სვეტას ნახვა, მაგრამ მან არ ისურვა ჩემთან შეხვედრა. მხოლოდ ამ ორი წლის წინ ჩამოვიდა მამამისის დასაფლავებაზე. მე რომ დამინახა, სითეთრემ გადაჰკრა სახეზე, გამიღიმა და თავი ოდნავ დამიკრა. ქმარიც ახლდა. ცოტა ხნის შემდეგ კი ჩემი თავი ასე წარუდგინა: — გაიცანი, ეს თამარის მამააო. სვეტა ისევ ისეთი ლამაზი იყო...

დედაჩემი მოესწრო თამარის ნახვას, მამა კი ვერა. მამიდებს იგი ძალიან უყვართ. დედა ამ რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ აცრემლებულმა პატიება მთხოვა. დედას კი, მაგრამ საკუთარ თავს ვერ ვაპატიე საყვარელი ქალის დაკარგვა.

ახლა მარტო ვარ ამხელა სახლში, რომელიც მხოლოდ მაშინ „ცოცხლდება", როცა თამარი და შვილიშვილები მსტუმრობენ...

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*


## ვიზრუნოთ ფსიქოფიზიკური ჯანმრთელობის სტაბილურობისთვის

ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა გარემოსადმი შეგუებისა და შინაგანი წონასწორობის შენარჩუნების უნარზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, ურბანიზაციის ეპოქის სპეციფიკა — ცხოვრების მაღალი ტემპი, ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური არასტაბილურობა, ადგილობრივი და გლობალური ეკოლოგიური ძვრები, სტიქიური მოვლენებისა და ძალადობის მსხვერპლთა სიმრავლე, არარეალიზებული ადამიანური რესურსები, რთული ინტერპერსონალური ურთიერთობები და სოციალურ-სტრესული ფაქტორების სიჭარბე განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის საზოგადოების თითოეულ წევრს. გვესაუბრება ქ. თბილისის ფსიქონევროლოგიური დისპანსერის დირექტორი ქნი **ნესტან (დოდო) დუდუჩავა**.

სტრესის ცნებას, საზოგადოდ, უარყოფით ფსიქოლოგიურ ფაქტორებს ვუკავშირებთ, მაგრამ ფართო გაგებით, სტრესის გამომწვევ მიზეზებში იგულისხმება ნებისმიერი ინფორმაცია (ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედების ფორმა, ცნობიერი და არაცნობიერი გავლენა), რომელმაც შეიძლება დაარღვიოს ადამიანის შინაგანი წონასწორობა და არსებობის ჩვეული რეჟიმი.

ორგანიზმის პასუხი გარემოს ცვლილებებზე ხორციელდება დაცვის უნივერსალური სტრესული რეაგირების პრინციპით.

სტრესი მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენს ყველა ორგანოსა და ორგანოთა სისტემაზე. ორგანიზმის რეაგირება სტრესულ მექანიზმებზე არაცნობიერად ხორციელდება, გარეგნულად კი აღიქმება მხოლოდ ე.წ. აისბერგის ხილული ნაწილი ანუ ვეგეტატიური მაჩვენებლების ცვლილებები (სუნთქვისა და გულის ცემის სიხშირის, ძილის დარღვევები, კანის ფერის ცვლილება, ფსიქიკური აშლილობა, კუნთთა თრთოლვა და სხვა).

ხანგრძლივი სტრესული ზემოქმედების დროს ადგილი აქვს ე.წ. სტრესული ჰორმონის მუდმივ და ჭარბ გამოყოფას, რომლის დირექტივების თანახმად მეტაბოლურ პროცესებში ჩართული ვიტამინებისა და მიკროელემენტების (მინერალების) ინტენსიური მოხმარება ხდება. ამასთანავე მატულობს ზოგიერთი მიკროელემენტის, მაგ. მაგნიუმის შარდით გამოყოფა. მაგნიუმის დეფიციტი კი, თავის მხრივ, აძლიერებს სტრესფაქტორების მოქმედებას, რის გამოც იკვრება მანკიერი წრე.

ჩვეულებრივ პირობებში მაგნიუმის სასიცოცხლოდ აუცილებელი რაოდენობის შევსება შეიძლება რძის პროდუქტებით, მარცვლოვანი კულტურებისა და ბურღულეულის მიღებით. მაგნიუმი ჭარბადაა კაკაოში, სოიოსა და თევზში, ფოთლოვან ბოსტნეულში, მაგრამ სტრესის ვითარებაში, ან უკვე განვითარებული მაგნიუმის დეფიციტის პირობებში საკვების მეშვეობით მიკროელემენტის სასურველი კონცენტრაციის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მაგნიუმის მნიშვნელობის გაცნობიერებასთან ერთად, ფარმაცევტულ ბაზარზე გაიზარდა მაგნიუმის შემცველ პრეპარატებზე მოთხოვნილება.

კლინიკური კვლევებით დამტკიცებულია, რომ ადამიანები, რომლებიც პერმანენტულად ღებულობენ მაგნიუმს, უფრო ადვილად უმკლავდებიან სტრესს.

პოლონური პრეპარატი **მაგნეფარი** B6, რომელიც წარმოადგენს მაგნიუმის ასპარტატის კომბინაციას B6 ვიტამინთან, მეტად ეფექტური საშუალებაა მაგნიუმის დეფიციტის შესავსებად. **მაგნეფარი** B6 რეკომენდებულია სტრესისადმი მდგრადობის აღსადგენად, ასევე როგორც პროფილაქტიკური საშუალება მომატებული სტრესული ზემოქმედების პირობებში. **მაგნეფარი** B6-ის მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმიდან მაგნიუმის ჭარბი რაოდენობით გამოყოფისას (ყავის ან ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მოხმარების დროს, შარდმდენების და კონტრაცეპტივების სისტემატური გამოყენებისას და სხვა).

**მაგნეფარი** B6-ში მაგნიუმის ასპარტატისა და ვიტამინ B6-ის კომბინაცია აადვილებს მაგნიუმის ათვისებას, რაც განაპირობებს პრეპარატის მაღალ ეფექტურობას. პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი ასპარტატი წარმოადგენს შეუცვლელ ამინომჟავას, რომელიც უზრუნველყოფს უჯრედებს ენერგიით.

მაგნიუმის და ვიტამინ B6-ის კომბინირებული მოქმედება დადებით გავლენას ახდენს ნერვულ, კუნთოვან და სისხლმბად სისტემებზე. ამასთან, ავლენს ანტისტრესულ მოქმედებას, რომელიც შეუძლებელია მხოლოდ მაგნიუმის მარილების მიღებისას.

პარალელურად, მაგნიუმი იცავს სისხლძარღვებს კალციფიკაციისგან, დადებითად მოქმედებს ლიპიდურ ცვლაზე, გავლენას ახდენს გულის კუნთის ნორმალურ ფუნქციობაზე, მოქმედებს სედატიურად.

**მაგნეფარი** B6 აქტიურად გამოიყენება ინტენსიური ზრდის დროს (გარდატეხის ასაკში), რომელსაც თან ახლავს ძლიერი გაღიზიანებადობა და სტრესისადმი მიდრეკილება.

მომხმარებლის ასაკის და მდგომარეობის მიხედვით **მაგნეფარი** B6 მიიღება დღეში 2-3 აბი (სრული კურსი — არანაკლებ 60 აბისა).

უკუჩვენებას წარმოადგენს თირკმლის უკმარისობა და გამოხატული არტერიული ჰიპოტენზია.

მუდმივი სტრესული ზემოქმედების ვითარებაში მყოფთათვის მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ სასურველია მაგნეფარის B6-ის პროფილაქტიკური მიზნით მიღება 5-6 თვეში ერთხელ.

**მაგნეფარი** B6 ადვილად შეიწოვება და კარგი ამტანობით ხასიათდება.



1 შარჟი
2 ფრანგი კომპოზიტორი
3 მუსლიმანური მარხვა
4 ფართოფარფლიანი საზაფხულო ქუდი
5 შიში სიახლის, ცვლილებების წინაშე
6 მახრჩობელა გველი
7 ეთიოპიის ფულის ერთეული
8 საერთო ევროპული ვალუტა
9 მოკლე, სასაცილო ამბავი
10 დეკორატიული ჭურჭელი
11 სიყვარულის ღმერთი ბერძნ. მით.
12 ასირიის ლეგენდარული დედოფალი
13 ადამიანის ფიგურა მაღაზიის ვიტრინაში
14 ვისამე პირისპირ მდგომი ან მჯდომი
15 „გულივერის მოგზაურობის" ავტორი
16 გამოუწვავი აგური
17 ქალაქი იტალიაში
18 სისხლძარღვი
19 ერთგვარი შხამიანი გველი
20 დანის არამჭრელი მხარე
21 ამერიკელი მწყემსი
22 შეჯიბრების დასკვნითი ნაწილი
23 დელფინის სახეობა
24 მოკლელულიანი მსუბუქი თოფი
25 ოფიცრის წოდება
26 დიდი შალაშინი
27 საგანგებოდ გამოყვანილი ღორის ხორცი
28 მუქარა მეფეს (ჭადრაკში)
29 იაპონური პოეზიის ჟანრი
30 მოზრდილფეხიანი ღვინის სასმისი
31 ხელის ხელზე ცემა
32 თონის პური
33 კორიდორი
34 კაკაოს ნაწარმი
35 გოშია
36 ამერიკელი მომღერალი ქალი
37 დიდი ხელოვანის საპატიო წოდება
38 სამშენებლო მასალა
39 ხანმოკლე პრესკონფერენცია
40 რუსული ავტომობილი
41 დედამიწის ქალღმერთი ბერძნ. მით.
42 კოშკის ძველებური საათი
43 პერუს დედაქალაქი
44 უმწეო, საწყალი
45 ალექსანდრე მაკედონელის ცხენი
46 ლიტერატურული ან მეცნიერული ნარკვევი
47 ,,,ხაიამი
48 მორავიას რომანი
49 ბოქლომი
50 კამბოჯის ფულის ერთეული
51 მხარე საქართველოში
52 მტკიცე პირობა
53 გარიჟრაჟი
54 სახელმწიფო ევროპაში
55 რკინის ნაერთი ნახშირბადთან
56 ელდარ რიაზანოვის ფილმი
57 რისამე გონივრული საფუძველი
58 ჯოჯოხეთის მბრძანებელი
59 ველური ვარდი
60 სიმებიანი მუს. საკრავი
61 პარკოსანი კულტურა
62 გერმანელი ფილოსოფოსი
63 იტალიელი მომღერალი ... რამაზოტი
64 ზუთხის სახეობა
65 მოხეტიალე მეფოკუსე ბერი ინდოეთში
66 ძვ. ფრანგული სიგრძის საზომი ერთეული
67 „ხევისბერი გოჩას" პერსონაჟი
68 მტაცებელი ფრინველი
69 ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელი
70 ქალაქი უნგრეთში
71 ფიჭვის ანახეთქის ფისიანი ნაჭერი
72 ... დე ბალზაკი
73 საჰაერო ბრძოლის ოსტატი





1. აშშ-ში 7 მთა, 8 მდინარე, 10 ტბა, 120 ქალაქი და დასახლებული პუნქტი მის სახელს ატარებს



2 ეს ფრანგი მოქანდაკე სამჯერ აბარებდა ნატიფი ხელოვნების აკადემიაში და სამჯერვე არ მიიღეს



3. ამ ამერიკელი რეპერის ნამდვილი სახელი და გვარია მარშალ მეტერსი



4. ეს რუსი კომპოზიტორი განათლებით იურისტი იყო



5. ამ სახელმწიფოს დედაქალაქია — ბამაკო, ფულის ერთეული — აფრიკული ფრანკი

მე-13 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები: 1. საფრანგეთი; 2. მაშარაბი; 3. ფელეტონი; 4. პასტორი; 5. გინესი; 6. სერი; 7. კამეჩი; 8. მეკობრე; 9. რაიხი; 10. აკირა; 11. თოვლი; 12. ამადუ; 13. ბალატონი; 14. სკომოროხი; 15. რენომე; 16. კრეტა; 17. ისლამი; 18. უიარაღო; 19. ტოკაი; 20. ტრიუკი; 21. ყვარელი; 22. კოროზია; 23. არბალეტი; 24. ჯინი; 25. დედაბერი; 26. ყლორტი; 27. ბრა; 28. პადრე; 29. სამბა; 30. აისი; 31. დამლა; 32. ალასკა; 33. ყაბაყი; 34. ემალი; 35. ლუარა; 36. ბოა; 37. მუმუ; 38. ოკა; 39. გროტი; 40. უნდილი; 41. ზვარი; 42. ისლი; 43. იდეა; 44. კირხე; 45. კივი; 46. ვერსია; 47. უტა; 48. ტოტო; 49. ლირა; 50. ქორონიკონი; 51. რამპა; 52. ქლიავი; 53. ჩეკია; 54. პისარო; 55. მალი; 56. ნიანგი; 57. კარლოსი; 58. მიმიკა; 59. სოკო; 60. აორტა; 61. შირმა; 62. ნო; 63. ოსლო; 64. მეფა; 65. სარი; 66. ბოლივიანო; 67. ტანკა; 68. სილვა; 69. სპილო; 70. კრივი; 71. ბამბა; 72. პასატი; 73. იანძი; 74. ბოლიდი; 75. პაიკი.

**სურათებზე:** გედევანიშვილი. 1. შექსპირი; 2. ყური; 3. ტარზანი; 4. ბოუი; 5. ჩხიკვი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძე

# მოლების ოქრო ირანს დაუბრუნდა

Libération

დასავლეთის შესაძლო სანქციებისთვის მოსამზადებლად თეირანმა შარშან, შემოდგომაზე, დაიბრუნა 250 ტონა ოქრო. ეს სიმდიდრე მოლების რეჟიმმა თავის დროზე შესანახად მიაბარა შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკს. გამორიცხული არ არის, რომ ქვეყნიდან მაშინ მეტიც გაიტანეს.

ირანელ პარტიზანთა ორგანიზაციის (თეირანის რეჟიმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი კომუნისტური მოძრაობა) ცნობით, ირანში სულ დაბრუნდა 700 ტონაზე მეტი ოქრო და 20 მლრდ დოლარი, რომლებიც დასავლეთის სხვადასხვა ბანკში ინახებოდა. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ თეირანს შეეშინდა — დასავლეთის ქვეყნებმა, რომლებსაც სურთ შეგვაჩერებინონ ბირთვული სამუშაოები, ანგარიშები არ გაგვიყინონო.




პარტიზანთა ორგანიზაციის ინფორმაციის დაზუსტება ვერ ხერხდება — შვეიცარიის ბანკი იცავს ანგარიშის საიდუმლოდ შენახვის კანონს, ხოლო ციურიხ-კლოტენის აეროპორტში ირანის დიდმოხელეთა გასაიდუმლოებული ფრენები ირანის კომპანიის IRAN AIR-ის ჩარტერული რეისებით, იმას ნიშნავს, რომ კვამლი უცეცხლოდ არ არის.

# რატომ არ სთხოვენ პასუხს რუსეთს

The Washington Post

ცოტა ხნის წინ აშშ-ის ადმინისტრაციას ხელში ჩაუვარდა ერაყში აღმოჩენილი დოკუმენტები, რომლებშიც აღწერილია ომის საწყის ეტაპზე თუ რა გზით აწვდიდა რუსეთის ელჩი ბაღდადში სადამ ჰუსეინს მონაცემებს ამერიკის ჯარის გადაადგილების შესახებ.

მაგრამ აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე მაღალჩინოსნებს ვიდრე სატელევიზიო გადაცემის პირდაპირ ეთერში არ ჰკითხეს, ერაყში აღმოჩენილი დოკუმენტების შესახებ არაფერი განუცხადებიათ და ამის თაობაზე არც რუსეთის მთავრობისათვის მოუთხოვიათ ახსნა-განმარტება. მოგვიანებით აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა თქვა, — დოკუმენტებს დაწვრილებით უნდა გავეცნოთ, მანამდე კი რუსეთს პირდაპირ ბრალდებას ვერ წავუყენებთო.

აშშ-ის ადმინისტრაციას არ სურს აშკარად დაადანაშაულოს მოსკოვი სადამისათვის ინფორმაციის მიწოდებაში. ამას თავისი მიზეზები აქვს. აშშ ცდილობს პუტინი წარმოაჩინოს, როგორც დასავლეთის პარტნიორი, რომელსაც ღირსეულად შეუძლია უმასპინძლოს ზაფხულში „დიდი რვიანის“ სამიტს. გარდა ამისა, აშშ იმიტომაც ხუჭავს თვალს ნაპოვნ საბუთებზე, რომ არ სურს ურთიერთობის დაძაბვა.

მოსკოვი კი თავის კურსს აგრძელებს. მას შემდეგ, რაც ირანმა არ მიიღო მისი წინადადება, რუსეთში გაემდიდრებინა ურანი, ირანის დასაახლოებლად პუტინმა სხვა გზა მოძებნა — მოსკოვი და თეირანი იხილავენ რუსეთის მიერ ირანისათვის რაკეტების „დედამიწა-ჰაერის“ მიყიდვის საკითხს. პუტინმა იცის, რომ ირანს რაკეტები დასჭირდება, თუ მის სწრაფვას ატომური ბომბის შესაქმნელად, აშშ-ის მხრიდან სამხედრო დაპირისპირება მოჰყვება.

# ბუშმა ოლმერტი თეთრ სახლში მიიწვია

NEWSru.com



აშშ-ის პრეზიდენტმა არჩევნებში გამარჯვებული პარტიის, „კადიმას“ ლიდერი ეჰუდ ოლმერტი ვაშინგტონში მიიწვია.

ბუშის განკარგულებით, ყველანაირი კავშირი უნდა შეწყდეს „ჰამასის“ წევრებისგან შემდგარ მთავრობასთან. იერუსალიმსა და რამალაში მომხდარი პოლიტიკური მოვლენების შემდეგ ამერიკის პრეზიდენტის ნაბიჯები ცხადყოფს, თუ რა გზას დაადგება აშშ-ის ადმინისტრაცია.

ბუშის სატელეფონო საუბარი, ისრაელის მომავალ პრემიერთან, საარჩევნო უბნების დახურვისთანავე შედგა. თეთრი სახლის წარმომადგენლის, სკოტ მაკლელანის თქმით, „პრეზიდენტმა ოლმერტი ვაშინგტონში მიიწვია მისთვის სასურველ დროს, ისრაელის მთავრობის ფორმირების შემდეგ“.

ნათელია, რომ ბუში ემხრობა ორი მეზობელი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაცხოვრების პროექტის განხორციელებას (ეს პროექტი 2002 წელს შეიქმნა). სატელეფონო საუბარში ოლმერტმა პასუხად პრეზიდენტ ბუშს განუცხადა, რომ არიელ შარონის გზიდან არ გადაუხვევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუში და ოლმერტი მალე შეხვდებიან ერთმანეთს ვაშინგტონში, პალესტინის ტერიტორიიდან ცალმხრივად გასამიჯნი მეორე ეტაპის განსახორციელებლად. პირველი ეტაპი იყო ღაზის სექტორიდან ებრაელი მოსახლეობის გაყვანა, რომელიც შარონმა დაიწყო.

ჰამასი, რომელთანაც აშშ-ს არ სურს ურთიერთობა, შეტანილია მსოფლიოს ტერორისტული ორგანიზაციების სიაში. ბოლო წლებში მათ მიერ მოწყობილმა ტერაქტებმა ბევრი მშვიდობიანი მოქალაქე შეიწირა, ბევრი ამერიკელიც გახდა მათი მსხვერპლი.

სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის, განცხადებით, აშშ თანახმაა დიალოგზე პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარესთან მაჰმუდ აბასთან, რადგან მას შეუძლია „ჰამასს“ უარი ათქმევინოს ისრაელის მიმართ ძალის გამოყენებაზე.

ანალიტიკოსების აზრით, ბუში ისრაელის პრემიერს დროს მისცემს პალესტინის ტერიტორიიდან გამოყოფის პროცესის მოსამზადებლად.

# იუშჩენკოს დამარცხებას კარგა ხნით გაურკვევლობა მოჰყვება

THE WALL STREET JOURNAL

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ გმირს იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა ახალი მთავრობის ფორმირების პროცესში კოალიციაში პოტენციური პარტნიორებისთვის თავისი პირობები წაეყენებინა. იუშჩენკო ელოდა, რომ გაიმარჯვებდა რეგიონების პარტიის მეთაური, 2004 წლის სკანდალურ საპრეზიდენტო არჩევნებში მისი ოპონენტი ვიქტორ იანუკოვიჩი, ვარაუდობდა, ბლოკი „ჩვენი უკრაინა“ მეორე ადგილზე გავიდოდა და „ნარინჯისფერ“ ბანაკს უხელმძღვანელებდა. ასე არ მოხდა — პრეზიდენტის „ჩვენი უკრაინა“ იულია ტიმოშენკოს ბლოკმა მესამე ადგილზე გადასწია.



არჩევნების შედეგები ხელს ვერ შეუშლის იუშჩენკოს მცდელობას, კავშირი განამტკიცოს დასავლეთთან, რათა წინ აღუდგეს რუსეთის ძლიერ გავლენას უკრაინაზე.

არჩევნებს აუცილებლად მოჰყვება გაურკვევლობა, თანაც კარგა ხნით. პოლიტიკურ ლიდერებს საკმაო დრო დასჭირდებათ კოალიციური მთავრობის შესაქმნელად.

იუშჩენკოს და ტიმოშენკოს გზები შარშან ამ უკანასკნელის პრემიერ-მინისტრობიდან გათავისუფლების შემდეგ გაიყო. მაგრამ არჩევნების წინ ირწმუნებოდნენ, რომ აღადგენდნენ „ნარინჯისფერ ალიანსს“, რომელიც საგარეო პოლიტიკის პროდასავლურ კურსს დაუჭერდა მხარს. არჩევნების შემდეგ ქალბატონმა ტიმოშენკომ ბრძანა, — ხვალიდან ვიწყებთ „ნარინჯისფერ რევოლუციაში“ გამარჯვებული პოლიტიკური ძალების გაერთიანებასო; მაგრამ ძნელი სათქმელია, ასე მოხდება თუ არა.

სოციალისტებისა და სხვა მცირერიცხოვანი პარტიების დახმარებით შესაძლოა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ლიდერებმა კიდეც მიიღონ ადგილების უმეტესობა პარლამენტში, მაგრამ დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, შეძლებენ თუ არა პირადი და პოლიტიკური უთანხმოების დავიწყებას. მომგებიანმა პოზიციამ შესაძლოა ტიმოშენკოს ძალა შემატოს და მხოლოდ თავისი ხალხის გამინისტრება მოინდომოს, თავად კი პრემიერობა მოითხოვოს.

რეგიონების პარტიის ლიდერი ვიქტორ იანუკოვიჩი რუსეთთან მჭიდრო კავშირის მომხრეა და უკრაინელებს მოუწოდებს დასავლეთთან დაახლოების პროცესს სიფრთხილით მოეკიდონ. მის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ პრემიერ-მინისტრი იანუკოვიჩი გახდება.

# ბიძია თომას ქოხი მილიონად გაიყიდა

ДЕНЬГИ



მერილენდის შტატის ხელმძღვანელობამ კერძო პირისგან მილიონ დოლარად იყიდა ერთსართულიანი სახლი ზედ მიდგმული ხის ქოხით.

ისტორიკოსები ირწმუნებიან, რომ სწორედ ეს არის სახელგანთქმული ბიძია თომას ქოხი, რომელიც მოხსენიებულია ამერიკელი მწერლის ჰარიეტ ბიჩერ სტოუს ცნობილი რომანის მთავარი გმირის პროტოტიპის, ჯოსაი ჰენსონის მემუარებში.

ოდესღაც სახლი თამბაქოს დიდი პლანტაციის შუაგულში იდგა. ქოხში კი სამზარეულო იყო გამართული.

ამავე ქოხში ათევდნენ ღამეს პლანტაციაში მომუშავე მონებიც.

ჰარიეტ ბიჩერ სტოუს ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ჰენსონის მონათხრობი მონების მძიმე ცხოვრებაზე. მომავალი წიგნის გმირის პროტოტიპი, როგორც მისიონერი, ამერიკაში მოგზაურობდა, რათა ხალხისთვის მოეთხრო პლანტატორთა არაადამიანობის შესახებ.

რომანი პირველად 5 ათასი ცალი დაიბეჭდა 1852 წელს და ერთ კვირაში გაიყიდა. შემდეგი გამოცემა უკვე 300-ათასიანი იყო და ისიც თვალის დახამხამებაში გაიყიდა. წიგნის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ მას 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის მიზეზად მიიჩნევდნენ.

მერილენდის შტატის ხელმძღვანელობა ბიძია თომას ქოხში მუზეუმის გახსნას გეგმავს.

# იუშჩენკოს ქალიშვილი ამღერდა

LENTA.RU

უკრაინის პოლიტიკის პირველი პირების შვილებს უყვართ მუსიკა. ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს ქალიშვილი ევგენია ბრიტანელ როკმუსიკოსს გაჰყვა ცოლად. პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ქალიშვილი ვიტალინა კი თავად ამღერდა. მალე გამოვა მისი კლიპი უკრაინულ ხალხურ სიმღერაზე „შენი ბელურა ვარ“. კლიპი გადაღებულია კიევის აეროპორტსა და ვიქტორ იუშჩენკოს სახლში, როგორც ამბობენ, უკრაინის ყველაზე ძვირად ღირებული კლიპმეიკერის, მაქს პაპერნიკის მიერ.



ძნელი სათქმელია, გახდება თუ არა ვიტალინა იუშჩენკო პოპვარსკვლავი. თავად კი ამბობს, — მე არ ვაპირებდი მომღერლობას, უბრალოდ, მეგობარი ვაჟისთვის მინდოდა მეჩუქებინა ჩემი სიმღერის ჩანაწერი, მაგრამ იმდენად კარგი გამოვიდა, რომ სტუდიაში კლიპის გადაღებაც შემომთავაზეს და სიამოვნებით დავთანხმდიო.

## მოკლედ

**ქაბულში** სილამაზის სალონი გაიხსნა, რაზეც თალიბების მმართველობის დროს ავღანელ ქალებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ. პარიკმახერობა და მაკიაჟის ხელოვნება მათ აშშ-დან ჩასულმა სპეციალისტებმა შეასწავლეს. ახლა ქაბულელ ქალებს შეუძლიათ იზრუნონ თავიანთ გარეგნობაზე და არც დასჯისა შეეშინდეთ.

**ნიუ-იორკში,** DEUTSCHE BANK-ის 46-სართულიანი შენობის ნგრევისას, რომელიც სავაჭრო ცენტრის ჩამონგრევის დროს დაზიანდა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების მსხვერპლთა ნაშთი იპოვეს. ამ ცათამბჯენში ადრეც ნახეს ძვლები. როგორც ცნობილია, დაღუპული 2749 ადამიანიდან მხოლოდ 60%-ის იდენტიფიცირება მოხერხდა...

**ათენის** მახლობლად, კუნძულ სალამინოსზე, ბერძენმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს სასახლის კომპლექსის ნანგრევები. ექსპედიციის ხელმძღვანელის ფიქრით; სასახლე ეკუთვნოდა ეაკიდთა დინასტიას. ჩანს, სასახლე მისმა მკვიდრებმა ჩვენს ერამდე 1180 წელს დატოვეს, რაც ტროას დაცემის სავარაუდო თარიღს ემთხვევა. ამ სასახლის ბოლო პატრონი ლეგენდარული აიაქს თელამონიდი უნდა ყოფილიყო, რომელიც, ჰომეროსის თანახმად, ტროელებთან საბრძოლველად გაეშურა.

**საფრანგეთში,** უდიდესი კოსმეტიკური ფირმის, L'OREAL-ის ქარხნიდან მოიპარეს მაღაზიებში გასაგზავნად გამზადებული 10 ათასზე მეტი ქილა სახის კრემი REVITALIFT-ი. პოლიცია ინციდენტს იძიებს. ჯერჯერობით უცნობია, ქურდებმა მაინცდამაინც ეს კრემი რატომ მოიპარეს.

**ლონდონში,** მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში, 18 აპრილს გაიყიდება ისტორიაში ყველაზე ძვირად შეფასებული სასკოლო რვეული. იგი 10 ფურცლისგან შედგება და 12 წლის ლივერპულელი ბიჭის ხელითაა ნაწერი. წითელ ყდაზე პატრონს დაუწერია — ჩემი ანთოლოგია — მისი ავტორი სახელგანთქმული მუსიკოსი ჯონ ლენონია. აუქციონზე რვეული 100-150 ათასი გირვანქა სტერლინგი ეღირება.

**სირიაში,** კალიგრაფიის 40 ოსტატი მსოფლიოში ყველაზე დიდი ყურანის გადაწერას აპირებს. მათ სურთ წმინდა წიგნი გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს. ყურანის ტექსტი დაეტევა 2 მ სიგრძისა და 130 სმ სიგანის 120 ფურცელზე. სამუშაო ოქტომბრისთვის უნდა დასრულდეს.

**ირანის** პროვინცია ლორესტანში ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 70 ადამიანი, დაშავდა ათასზე მეტი.

**ჩეხეთსა და გერმანიაში** გაუთავებელმა წვიმებმა მეტისმეტად აწია მდინარეების — ელბისა და დუნაის წყლის დონე. მოსალოდნელი წყალდიდობის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.

*გვერდი მოამზადა*
*ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

შპს „გეოკორი“ აწარმოებს
ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორგის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

ევროპული დონის პოლიგრაფია
ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის“ გერმანულ დანადგარებზე
შპს „გოდოლი“
ხარისხი
ოპერატიულობა
ფასი
ტელ: 56-40-56
877-43-04-57



„ტოპსერვისის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 ა. „დიდუბის“ გვერდით
☎34-49-40; 35-47-47; 26-30-50; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 35-13-13

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**ვარ 43 წლის კაცი. მაქვს ტკივილი გულის არეში. რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში კარდიოლოგთან მივედი. ის კი მეუბნება, გულის მხრივ არავითარი ცვლილება არ გაქვსო. აღარ ვიცი, რა ვქნა. შეიძლება თუ არა, რომ გულის არეში ტკივილი სხვა ორგანოს დაავადებამაც გამოიწვიოს?**

***მკითხველი***

გულის არეში ტკივილი ხშირად არაკარდიალური წარმოშობის გახლავთ, ანუ გულის დაავადებასთან არ არის დაკავშირებული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარდიოლოგის კონსულტაციის გარეშეც შეიძლება მსგავსი დასკვნები გავაკეთოთ — უპირველესად , სწორედ კარდიოლოგიური პათოლოგია უნდა გამოირიცხოს და სწორად მოქცეულხართ, რომ ეს ნაბიჯი გადადგით.

სტენოკარდიის მსგავსი ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავის სისტემის პათოლოგიამ. ამ ორგანოებიდან წამოსული პათოლოგიური იმპულსი გულის ტკივილის მსგავს შეგრძნებებს იწვევს. ასეთ შეტევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქოლეცისტიტის (ნაღვლის ბუშტის ანთების), კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, კოლიტებისა და სხვათა დროს.

გულის არეში ტკივილის მიზეზი ხშირად არის ხოლმე ხერხემლის, კისრისა და გულმკერდის მალების ოსტეოქონდროზი, შუასაყარის დიაფრაგმის თიაქარი, რეფლექს-ეზოფაგიტი (საყლაპავის ანთება), როცა კუჭის მჟავე შიგთავსი საყლაპავში ბრუნდება და ტკივილის პროვოცირებას იწვევს.

იმის დასადგენად, თუ კონკრეტულად რა იწვევს თქვენს შემთხვევაში ტკივილს გულის არეში, აუცილებელია ჩატარდეს დამატებითი გამოკვლევები. თუმცა არ გირჩევთ ამის გაკეთებას თვითნებურად — კვლევის გეგმა ექიმმა-თერაპევტმა უნდა შეიმუშაოს.

**შეიძლება თუ არა წამლებმა გამოიწვიოს თირკმელთან დაკავშირებული პრობლემები? მაგალითად, აქვს თუ არა ასეთი ეფექტი პარაცეტამოლს?**

***ქეთევანი***

ნებისმიერი წამალი (დალევის თუ ინიექციის შემდეგ) ხვდება სისხლში, რომელიც თირკმლებში ან ღვიძლში იფილტრება. ამიტომ პრეპარატები აუცილებლად გაივლის ამ ორგანოებს. რაც შეეხება გვერდით ეფექტებს, ზოგი წამალი ოტოტოქსიკურია (მოქმედებს სმენის აპარატზე), ზოგი — ჰეპატოტოქსიკური (მოქმედებს ღვიძლზე), ზოგიც — ნეფროტოქსიკური (მოქმედებს თირკმლებზე). ნეფროტოქსიკური პრეპარატები ბევრია და მათი დანიშვნა მკაცრად განსაზღვრულ პირობებში ხდება. ექიმი ასეთ წამლებს უნიშნავს მხოლოდ თერაპიული დოზით და მხოლოდ მათ, ვისთვისაც აუცილებელია. თუმცა სამწუხაროდ, ასეთი პრეპარატები ურეცეპტოდ იყიდება. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ არასოდეს მიიღოთ წამლები ექიმის დანიშნულების გარეშე, ან უკიდურეს შემთხვევაში, დაეკითხეთ მაინც მას, შეიძლება თუ არა თქვენთვის ამა თუ იმ პრეპარატის მიღება.

რაც შეეხება პარაცეტამოლს, იგი არ ითვლება ნეფროტოქსიკურ პრეპარატად. თუმცა ხანგრძლივი უკონტროლო მიღების შედეგად შეიძლება გამოიწვიოს ნეფრიტი. ასევე არ შეიძლება მისი დანიშვნა თირკმლის ქრონიკული, მძიმე პათოლოგიების დროს.

**ჩემი შვილიშვილები დაბინდებამდე უყურებენ ტელევიზორს. გაკვეთილებსაც კი ტელევიზორთან ამზადებენ. გთხოვთ მიპასუხოთ, არის თუ არა მავნებელი ასეთი რეჟიმი მათი ჯანმრთელობისთვის?**

***მკითხველი***

რაღა თქმა უნდა, ასეთი რეჟიმი არათუ მოზარდი ორგანიზმისთვის, არამედ მოზრდილთათვისაც ძალიან საზიანოა. უარყოფითი შედეგები შეიძლება მივიღოთ რამდენიმე მიმართულებით: მოსალოდნელია დაზიანდეს მხედველობის სისტემა, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა, ნერვული სისტემა, ბავშვის ფსიქიკა. მოზარდს, ტელეგადაცემებისათვის, დღის განმავლობაში, ასაკის შესაბამისად, გარკვეული დრო უნდა ჰქონდეს გამოყოფილი. მაგალითად, 10-13 წლის ყმაწვილმა 3 საათზე მეტხანს არ უნდა უყუროს ტელევიზორს, თანაც არა ერთბაშად, არამედ გარკვეული შუალედებით.

ეცადეთ, ბავშვმა მეტი დრო დაუთმოს სპორტს, ჰაერზე სეირნობას, ოჯახის წევრებთან, თანატოლებთან ურთიერთობას, ინტელექტუალურ გართობას. ბავშვის ტელევიზორთან მეტისმეტი მიჯაჭვულობა იმის ბრალია, რომ იგი ვერ ახდენს თვითრეალიზებას. ამაში უფროსები უნდა დაეხმარონ.

**მყავს 8 წლის გოგონა, რომელსაც აქვს ცხვირის ძგიდის გამრუდება და ცხვირის წვერის დეფორმაცია. მაინტერესებს, რა ასაკშია მისაღები ცხვირის ოპერაცია (პლასტიკური) და ხომ არ გამოიწვევს რაიმე გართულებას — ბავშვი ძალიან განიცდის ამ ნაკლს. წინასწარ გიხდით მადლობას.**

***მანონი***

ცხვირის წვერის პლასტიკის გაკეთება ადრეულ ასაკშიც შესაძლებელია, მაგრამ ქირურგთა უმრავლესობა არჩევს მის გადადებას მოზარდობის პერიოდისთვის, მით უმეტეს, როცა დეფორმაცია უმნიშვნელოა. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება ცხვირი და ხრტილები. ამასთან ბავშვის ხრტილი არ არის ფორმირებული და ადვილად შეიძლება დაზიანდეს, რაც შეაფერხებს მის ზრდას. ეს ფაქტორი ართულებს მასთან მანიპულირებას. გარდა ამისა, თითქმის შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ როგორ შეიცვლება ასაკთან ერთად ცხვირის კონტურები. უფრო კონკრეტულ პასუხს ბავშვის გასინჯვის შემდეგ თავად ქირურგი გაგცემთ.

## კარაბადინი

**სტუდენტობის დროს არასწორი კვების გამო დამემართა კუჭის წყლული. მისგან თავის დაღწევაში დამეხმარა ბებიაჩემი. ახლა თავად ვარ ბებია, მაგრამ მისი რეცეპტი დღესაც მახსოვს და ყველას ვურჩევ მის გამოყენებას:**

**100-100 გრამი კარაქის, კაკაოს და თაფლის ნარევს დაამატეთ 50 გრამი ალოეს წვენი. ნელ ცეცხლზე დაადნეთ, კარგად მოურიეთ და თავდახურული მინის ქილით შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ თითო ჩაის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.**

***„კვირის პალიტრის" ერთგული მკითხველი, ზ. მანაგაძე***

ექიმის კომენტარი: მოცემული რეცეპტის კომპონენტები სხვადასხვაგვარად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ლორწოვან გარსზე. კარაქი ევრის ლორწოვანის ზედაპირს და იცავს მას მორიგი დაზიანებისაგან. კაკაოს ნაყოფი მდიდარია ცხიმებით, ცილოვანი ნივთიერებებით, სახამებლით, უჯრედისით, ორგანული მჟავებით, ალკალოიდებით (თეობრომინით, კოფეინით), ფოსფორისა და კალიუმის მარილებით, მას მსუბუქი ანტისეპტიკური, ეპითელიუმის დამცავი ეფექტი აქვს. რაც შეეხება თაფლსა და ალოეს, მათ შესახებ არაერთხელ გვისაუბრია. ალოეს ძლიერი ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო და ქსოვილთა რეგენერაციული თვისებები აქვს. თაფლი კი ცნობილია, როგორც იმუნომოდულატორი (იმუნიტეტის მომაწესრიგებელი), ბაქტერიების გამანადგურებელი, ანთების საწინაალმდეგო, ეფექტური საშუალება.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## სასარგებლო რჩევები...



კომპიუტერთან დიდხანს მუშაობის თუ ტელეგადაცემების ყურების შემდეგ, თვალების დაღლილობას მოგიხსნით მარტივი ვარჯიშები:

**1.** თავი დაიკავეთ სწორად, არ ამოძრაოთ. თვალებით შეხედეთ ჭერს, მარჯვნივ კედელს, იატაკს და მარცხნივ კედელს და — პირიქით. ვარჯიში გაიმეორეთ 3-5-ჯერ.

**2.** საწყისი მდგომარეობა იგივეა: მზერა მიაპყარით ფანჯრის იქით შორ საგანს ან ჰორიზონტს, შემდეგ საკუთარი ცხვირის წვერს. ვარჯიში გაიმეორეთ 3-5-ჯერ.

**3.** დასასრულს, 20-30 წამით ხელისგულები დაიფარეთ თვალებზე.

ეს ვარჯიში გაიმეორეთ საათში ერთხელ და მხედველობას შეინარჩუნებთ.

**4.** ორგანიზმში იოდის ნაკლებობა იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას, წონაში მომატებას, ტონუსის დაქვეითებას. თუმცა ზედმეტი იოდიც მავნებელია. არსებობს იოდის დონის შესამოწმებელი მარტივი ტესტი: ასანთის ღერზე დახვეული ბამბა დაასველეთ იოდში და წინამხარზე დაიხატეთ ბადე. თუ 2 საათის შემდეგ ხაზები უკვალოდ გაქრა, ე.ი. ორგანიზმს აკლია იოდი და უნდა მიიღოთ მისი პრეპარატები. თუ ხაზები ოდნავ გაფერმკრთალდა — ე.ი. იოდი არ გჭირდებათ.

**5.** გულძმარვის დროს ნუ იჩქარებთ საჭმელი სოდის ან წამლების დალევას, სჯობს მიიღოთ კარტოფილის წვენი.

2 ცალი გათლილი, უმი კარტოფილი წმინდად გახეხეთ, გაწურეთ ორფა მარლაში და წვენი სვით დილა-საღამოს პატარ-პატარა ყლუპებით (თან კოვზით ურიეთ, სახამებელი რომ არ დაილექოს), მერე ნახევარი საათით წამოწექით, იფიქრეთ სასიამოვნო ამბებზე ან დაიძინეთ. შემდეგ ისაუზმეთ. მკურნალობის კურსია 10 დღე, რომელიც უნდა ჩაიტაროთ 4-ჯერ, 10-დღიანი შესვენებებით.

**6.** სლოკინმა რომ უხერხულ სიტუაციაში არ ჩაგაყენოთ, გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

— *ღრმად ჩაისუნთქეთ, დაჭიმეთ მუცლის კუნთები, შეაჩერეთ სუნთქვა და ნელა ამოისუნთქეთ.*

— *ხელებით კარგად დაისრისეთ ყურები;*

— *შეიკავეთ სუნთქვა, დალიეთ 1/2 ჭიქა წყალი და დაიხარეთ წინ, მუხლებამდე.*

— *ენის ძირს შეუღიტინეთ თითებით.*

— *შეჭამეთ 1ჩ/კ შაქრის ფხვნილი.*

***ლიზა***

## უებარი ჩაი...



მიეძალეთ ჩაის. P ვიტამინის წყალობით, რომელსაც დიდი რაოდენობით შეიცავს ჩაი, იზრდება სისხლის წითელი სხეულაკების რაოდენობა, რაც აუცილებელია ანემიის მკურნალობისათვის.

დღეში 2 ფინჯანი მაგარი ჩაი ორგანიზმზე ისეთსავე ზემოქმედებას ახდენს, როგორსაც 4 ცალი ვაშლი, 5 თავი ხახვი, 7 ცალი ფორთოხალი და 2 ჭიქა წითელი ღვინო. აღმოსავლელი მკურნალები თვლიან, რომ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საჭიროა დღეში 8 ჭიქა მწვანე ჩაის დალევა. ის განსაკუთრებით ქალებისთვისაა სასარგებლო. ამერიკელმა დიეტოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მანდილოსნები, რომლებიც დიდი რაოდენობით მწვანე ჩაის სვამდნენ (დღეში 8-10 ჭიქა), გაცილებით იშვიათად ავადდებოდნენ მკერდის კიბოთი.

***დობრიე სოვეტი***

## დიეტა ჰიპერტონიკებისათვის

თურმე ჰიპერტონიკებისთვის საუკეთესოა პომიდვრის დიეტა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ანტიოქსიდანტები (ლიკოპენი, C და E ვიტამინები), რომელსაც პომიდორი შეიცავს, ხელს უშლის ტოქსიკური ჟანგბადის რადიკალების წარმოქმნას, რომლებიც აზიანებენ და კლავენ უჯრედებს. გარდა ამისა, ჟანგბადის რადიკალები მონაწილეობენ ბევრი ქრონიკული დაავადების, მათ შორის გულსისხლძარღვებისა და ონკოლოგიური პათოლოგიების განვითარებაში.

***ზდოროვიე***





წყლულოვანი დაავადება

✔ შეიძლება თუ არა სოდის მიღება კუჭის ტკივილის დროს?

✔ რით განსხვავდება კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი პათოლოგიები?

რატომ გვიკანკალებს ხელები

დროთა განმავლობაში თავად დაავადებულიც ამჩნევს, რომ ხელებს ძველებურად მარჯვედ ველარ ხმარობს... კალიგრაფია ეცვლება, მიმიკა უღარიბდება, მეტყველება ერღვევა

ბატონები

საჭიროა თუ არა ბატონების დროს წამლების მიღება

ტყუპიანობის გენეტიკა

ტყუპიანობა მემკვიდრეობით დედის ხაზით გადაეცემა

ჭორფლი

როგორ მოვიშოროთ ლაქები

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავანყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო **„ინტერპრესნიუსის“** ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).



„ჩემო უძლეველო ლომებო, ჭკუა ასწავლეთ გაკადნიერებულ ყაჩაღებს!“
(კ/ფ „ბაში-აჩუკი“)



„მაგან მეტი არაყი ყლურწოს, უარესი მაჩვენებას!“
(კ/ფ „ზოგი ჭირი მარგებელია“)



„ძალმომრეობა — თუნდ სიკეთისთვის, ერის კეთილდღეობისთვის ჩადენილი, მხოლოდ მაშინ ჰპოვებს გამართლებას ხალხში, თუ იგი მოწამებრივი სინანულით დაგვირგვინდება...“
(ჭაბუა ამირეჯიბი)



29 მარტს საზოგადოება მზის დაბნელების მომსწრე გახდა. ბუნების საოცარ მოვლენას მთელი პლანეტის მოსახლეობამ მიადევნა თვალი. გიორგი ლეონიძისა არ იყოს, საკითხავი ის არის, **„მაგ ზღვაში ჩავარდნილ მზეს საქართველოსას რა ამოიყვანს“**, თორემ სხვისთვის ცეცხლოვანმა მნათობმა დიდი ხანია გამთანათა.



„ხოლო შენ, მზეო საქართველოისაო, არლა მოიქეც მერიდიანსა ამას...“

(ანტონ I, ბაგრატიონი)

თითქმის ერთი თვეა, რაც პარიზი მასობრივი მიტინგებისა და მანიფესტაციების არენად იქცა. საქმეს ვერც პრეზიდენტ შირაკის ჩარევამ უშველა. ასეთი არეულობები და დაძაბული საშინაო ვითარება საფრანგეთს დიდი ხანია არ ახსოვს.



70 ადამიანი დაიღუპა და 1000-მდე დაშავდა ირანში მომხდარი 6-ბალიანი მიწისძვრის შედეგად. ეს ლორესტანის პროვინციაში მესამე ძლიერი სტიქიური მოვლენაა ბოლო დღეების განმავლობაში.





„როგორ, შენ კიდევ ბედავ ხმის ამოღებას, შე ჩარჩო, შენა?!“
(კ/ფ „ქეთო და კოტე“)



„ეხლა შენთან მოვიდე, არაა? შენი ლაყაფით ყური გამოვიჭედო, არაა? ტოლი ნახე, კოჭი გააგორე!“
(კ/ფ „დათა თუთაშხია“)

გასულ კვირას ბადრი პატარკაციშვილმა პროკურატურის ფონდში ბიზნესმენებისგან ჩარიცხული 160 მილიონი ლარის ასავალ-დასავალი მოიკითხა და იმ ზეწოლაზეც ისაუბრა, რაც მისი ტელეკომპანიის მიერ გირგვლიანის საქმის გახმაურების შემდეგ ხელისუფლებამ მოუწყო. ბიზნესმენის თხოვნა, ნუ შექმნით ჩემგან მტრის ხატსო, მმართველი პარტიის მთავარმა იდეოლოგმა გიგა ბოკერიამ შანტაჟად მიიჩნია და პატარკაციშვილი ოპოზიციის დამფინანსებლად და ქართული ბიზნესის დონ კორლეონედ მოიხსენია.

# ვინ შეიტანა ციხეში იარაღი?



## „ქურდებმა ციხის ადმინისტრაციას სალებავით აკრძალული ზონა შემოუხაზეს“

*(დასაწყისი იხ. გვ. 14)*

სახელმწიფო რომ სთხოვს წესრიგს პატიმრებს, თავად იცავს კი წესრიგს? 2004 წლის 16 აპრილის მდგომარეობით, ციხეში კვების პროდუქტების 40% არ შედიოდა. დაინტერესდა ვინმე, სად მიდის ეს თანხა? როცა დავაყენე ეს საკითხი, კინაღამ თავი გამიტეხეს, იუსტიციის სამინისტროდან და დეპარტამენტიდან დამემუქრნენ. ციხის ან დეპარტამენტის ხელმძღვანელს სიტუაციის სწორად განჭვრეტა და მის შესაბამისად მოქმედება მოეთხოვება, თორემ კაცის კვლა და უკმაყოფილების სისხლში ჩახშობა „იოლი გამოსავალია“.

მაინც რას ემსახურებოდა მე-5 იზოლატორის ჯანყი? ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად სასჯელაღსრულების სისტემის ექსპერტს **გურამ ელბაქიძესაც** მივაკითხეთ, რომელიც მომხდარი ფაქტის ირგვლივ საინტერესო ანალიზს გვთავაზობს:

— სამწუხაროა, რომ ინციდენტი მსხვერპლით დასრულდა, თუმცა, ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან მთელ მსოფლიოში ანალოგიური ამბოხებები ხშირად სრულდება ასე. ორი კვირის წინ ბრაზილიის ციხეში 18 პატიმარი დაიღუპა მსგავსი ამბოხებისას. მათ ლეიბებს მოუკიდეს ცეცხლი, რათა ფანჯრებიდან გადმოეყარათ, მაგრამ ველარ მოახერხეს და საკანშივე გაიგუდნენ. რაც შეეხება ჩვენთან მომხდარ ფაქტს, სამწუხარო ის არის, რომ პატიმრები ვიღაცის ბრძანებას შეეწირნენ. ვიღაცაში კი სწორედ კრიმინალური ავტორიტეტები იგულისხმებიან, რომლებმაც ამბოხების თაობაზე გასცეს ბრძანება.

— **როგორ ფიქრობთ, ეს ბრძანება სპონტანურად გაიცა თუ დაგეგმილი იყო?**

— პატიმართა მსგავსი აჯანყება მოულოდნელად არასოდეს ხდება. მით უმეტეს, მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ის, რაც გასულ ორშაბათს მოხდა, რადგან მას მთელი რიგი მიზეზები ჰქონდა.

— **კერძოდ?**

— მე ოცდაათ წელზე მეტხანს ვიმუშავე ციხის სისტემაში რუსეთშიც და საქართველოშიც. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ჩელიაბინსკში ერთი „საერთაშორისო დონის“ რუსი, ქურდი სერგეი პრეშკა დაიჭირეს, რომელმაც მაშინ არნახული თანხა — 300 ათასი საბჭოთა მანეთი შესთავაზა ციხის ადმინისტრაციას, რათა სასჯელის მოსახდელად თბილისში გადმოეყვანათ. რატომ იხდიდა რუსი ქურდი ამხელა თანხას? იმიტომ, რომ საქართველოში კრიმინალური ავტორიტეტებისთვის ნამდვილი ოაზისი იყო შექმნილი. „კრიტში“, სადაც წესით და რიგით, ყველა პატიმარი საკანში უნდა ყოფილიყო ჩაკეტილი, არასოდეს იკეტებოდა კანონიერი ქურდებისა და ე. წ. „ხარაშნიაკების“ (კაი ბიჭების) საკნები. ჩაკეტილები იყვნენ მხოლოდ ის პატიმრები, რომლებსაც ფულის გადახდა არ შეეძლოთ ციხის მაშინდელი ადმინისტრაციისათვის. კიდევ უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო კოლონიებში. ხონის ზონაში ასეთი კურიოზი მოხდა: კანონიერმა ქურდებმა ციხის ადმინისტრაციას სალებავით გაუხაზეს ეზოს ტერიტორიის შესასვლელი ნაწილი და უბრძანეს: — ამ ხაზს აქეთ გადმოსული არც ერთი ფორმიანი არ დავინახოთო(?!). ადმინისტრაციაც დაემორჩილა და ამ საზღვარს ყოველი კვირის მიწურულს მხოლოდ ერთი თანამშრომელი „არღვევდა“, რომელიც ქურდების მიერ აკრძალულ ტერიტორიას გადალახავდა და უკან ფულით ხელდამშვენებული ბრუნდებოდა(!). ასე ჩამოყალიბდა მანკიერი ურთიერთდამოკიდებულება კანონიერ ქურდებსა და ციხის ადმინისტრაციას შორის, რითაც ერთი მხარეც იგებდა და მეორეც. ჰოდა, რატომ გიკვირთ, როცა სამართალდამცველებმა კრიმინალურ ავტორიტეტებს მთელი ეს პრივილეგიები ჩამოართვეს და ისინი რიგით პატიმრებს გაუთანაბრეს, არ მოეწონათ.

— **ეს გასაგებია, მაგრამ ხომ არ მოხდა მეორე უკიდურესობაში გადავარდნა? ქუთაისის ახალ ციხეში მყოფი პატიმრების ახლობლები ამბობენ, რომ პატიმარმა კონტროლიორს ბატონობით უნდა მიმართოს. უბრალოდ კონტროლიორი რომ დაუძახონ, ამისთვის შეიძლება სცემონ კიდეც.**

— კი მაგრამ, რას ხედავთ იმაში ცუდს, პატიმარმა ზედამხედველს ბატონოთი რომ მიმართოს? მაგრამ ეტყობა, ჩვენი ყური ჯერ მიუჩვეველია ამას. ცხადია, პირველ რიგში ის კრიმინალები არიან მიუჩვევლები, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, უხეშად, დედის გინებით რომ მიმართავდნენ ზედამხედველს. კრიმინალური სამყაროს ალაგმვა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ბიზნესის წარმოების საშუალებაც იქნება და მთლიანად, საზოგადოებაც დაისვენებს კრიმინალების გავლენისაგან. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს არჩევანის გაკეთება არის საჭირო. ან უნდა დავუბრუნდეთ ძველ დროში და კრიმინალური სამყაროს რესტავრაცია მოხდეს, ანდა უარი ვთქვათ მასთან კავშირზე და ცივილიზებული საზოგადოება ავაშენოთ. დღეს ხელისუფლება მეორე გზას ადგას და ასეც უნდა იყოს. კრიმინალური სამყაროს ასალაგმავად კი ციხეში მდგომარეობის გამოსწორება არის საჭირო, რადგან ვინც მოიგებს ციხისთვის ბრძოლას, სწორედ ის იქნება გამარჯვებული. ამიტომ გამიკვირდა კიდეც, როცა ოპოზიციურმა პარტიებმა მეამბოხეებს დაუჭირეს მხარი და საკითხის პოლიტიზება სცადეს. ისევ ვიმეორებ. ცუდია, რომ იქ ხალხი დაიღუპა. მაგრამ რა მოხდებოდა მაშინ, ერთბაშად თუნდაც ათასი პატიმარი გარეთ რომ აღმოჩენილიყო? ალბათ გაქცევა მოხდებოდა სხვა ციხეებიდანაც და დაიწყებოდა ნამდვილი ქაოსი. საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და კრიმინალებმა კარგად დაინახეს, რომ ამით ვერაფერს მიაღწევენ და იძულებული იქნებიან ბედს შეურიგდნენ.

— **თქვენ ამბობთ, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა საკითხის პოლიტიზება სცადეს. მაგრამ პოლიტიზებაზე საუბარი ხელისუფლების მხრიდანაც შეიძლება, როცა გამოაცხადეს, რომ პატიმართა ამბოხით სხვადასხვა ძალა იყო დაინტერესებული. თუმცა ვინ იდგა ამ ძალის უკან, არ დაუკონკრეტებიათ.**

— ალბათ ნახეთ, რა რეაქცია ჰქონდა უკრაინაში მყოფ ქურდ ფირცხალავას ამბოხის ჩახშობის შემდეგ და რა სიტყვებს ისროდა საქართველოს ციხეებში მყოფი „ავტორიტეტების“ მისამართით, დაწყებული საქმე ბოლომდე რატომ ვერ მიიყვანეთო. იგივე რეაქცია ჰქონდათ საქართველოდან გადახვეწილ სხვა ქურდებსაც, რადგან დღეს მათ კარგად იციან, რომ „ასეთ საქართველოში“ აღარ ჩამოესვლებათ.

— **თქვენ ამართლებთ ხელისუფლების მეთოდებს. მაგრამ ხომ შეიძლებოდა სხვანაირად მოქმედება, რითაც თუნდაც მსხვერპლის თავიდან აშორება იქნებოდა შესაძლებელი?**

პატიმართა უმრავლესობა, რომელიც ამბოხში იღებდა მონაწილეობას, იძულებული იყო ამ ბრძანებას დამორჩილებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, უმოქმედობის გამო კრიმინალური ავტორიტეტები მოსთხოვდნენ პასუხს. ამიტომ ამის წინააღმდეგ მხოლოდ ძალის დაპირისპირება იყო საჭირო. თუმცა ვიმეორებ, კარგი იქნებოდა მსხვერპლი არ ყოფილიყო.

P. S. 27 მარტის მოვლენები არ შეხებია საპყრობილეს, ე. წ. „კრიტს“, სადაც განსაკუთრებით საშიში დამნაშავეები იხდიან სასჯელს. ციხეში მომხდარ არეულობას „კრიტიც“ გამოეხმაურა, მაგრამ სანდო წყაროს ინფორმაციით, იქ სიტუაციის განმუხტვა ქალაქის პოლიციის შეფმა, მერაბ ბალათურიამ თავის თავზე აიღო.

*ხათუნა პაიჭაძე*

*დავით დევდარიანი*

# „მინდა ადამიანებს შევახსენო ის უსამართლო სასამართლო“

## „ცნობილ სათნოებათაგან ერთ-ერთი — პატიმრის მონახულებაა“

ქაოსმა, რომელიც გასულ კვირას მე-5 საპყრობილეში რამდენიმე საათის განმავლობაში მეფობდა, მთელი ქვეყანა ააფორიაქა. იმ ორომტრიალში შეიძლება სწორედ ისინი დაიღუპნენ, ვისაც აზრადაც არ მოსვლია ციხიდან გაქცევა და მოთმინებით ელოდა სასჯელის ბოლომდე აღსრულებას.

ბუნტი აღსაკვეთია, მაგრამ საზოგადოებაში ჩნდება კითხვა, ნუთუ არ შეიძლებოდა ეს ყველაფერი უმსხვერპლოდ და უმტკივნეულოდ აგვეცილებინა თავიდან? აღნიშნულთან დაკავშირებით ვესაუბრებით საპყრობილეში არსებულ მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარეს, დეკანოზ **გიორგი თევდორაშვილს**.

— **ამბობენ, რომ საპყრობილეებში გაუსაძლისი პირობებია, რაც ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს პატიმართა ფსიქიკაზე და შემდგომ აგრესიას იწვევს.**

— მე არ განვიკითხავ არავის, მით უფრო საპყრობილეთა ხელმძღვანელებს, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საგანგაშო მდგომარეობაა. მე-5 იზოლატორში 4000 პატიმარი ზის. 30 კვმ ფართობზე 80-90 ადამიანი „ცხოვრობს“ და თითოეულს ღამეში მხოლოდ 4 საათის განმავლობაში უწევს ძილი. ამ პირობებში მათ სხვა აღარაფერი დარჩენიათ, უფალზე ფიქრისა და ციხიდან მალე გამოსვლის გარდა. მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნების საპყრობილეებში სასჯელი მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა გახლავთ, თორემ ციხეში ადამიანური ცხოვრების ყველანაირი საშუალება აქვთ. იქ არავის აქვს უფლება პატიმარს უმიზეზოდ სცემოს ან აგინოს...

— **როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა ბუნტის თავიდან აშორება თუნდაც მოძღვართა ინსტიტუტის ძალისხმევით?**

— კეთილი გულით და უფლის სახელით ყოველთვის შეიძლება ბოროტებასა და აგრესიაზე გამარჯვება. ამიტომაც დიდი სიყვარულით მივმართავ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლებს, მზად ვართ ნებისმიერ მომენტში თანამშრომლობისთვის. თუ შეამჩნევენ, რომ რაიმე ბუნტისმაგვარი მზადდება, მოგვმართონ. შეიძლება ერთობლივად შევიდეთ საპატიმროში. ადამიანურად ვესაუბროთ ამ ხალხს, რათა თავიდან ავიცილოთ მორიგი მსხვერპლი. ერთი ადამიანის სული მეტია ღვთისათვის, ვიდრე მთელი მატერიალური სამყარო. ამიტომ ერთი კაცის სიკვდილიც კი უდიდესი ტრაგედიაა. ვფიქრობ იმ ღამესაც არაფერი მოხდებოდა, უფრო მეტი სიყვარული და გულისხმიერება რომ გამოეჩინათ ძალოვან სტრუქტურებს. ახლა ძნელია მტყუან-მართლის გარჩევა და ამას არც აქვს ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა. ჯობდა მოძღვრები შევსულიყავით და ჩვენ დაგვემშვიდებინა ის ხალხი და არა „მაყურებლებს“, ქურდებს ან ძალოვან სტრუქტურებს. საერთოდ, ყველაფრის მიზეზი სიყვარულის არქონაა. ერთმანეთს დავშორდით და აღარც პატიმრები გვახსოვს. არადა, მათ განსაკუთრებით სჭირდებათ თანადგომა. ცნობილ სათნოებათაგან ერთ-ერთი არის პატიმრის მონახულება, თუმცა სამწუხაროდ, არ მახსენდება აღსარება, სადაც ქრისტიანი ინანიებს იმას, რომ საპყრობილეში მყოფი არ მოინახულა. ალბათ საზოგადოების გულგრილობა ამ სათნოების მიმართ, გადმონაშთია იმ ცნობილი 70-წლიანი პერიოდისა, როდესაც სასჯელმოხდილი კეთროვანივით ათვალწუნებული ჰყავდათ, რის გამოც ყოფილი პატიმრები საზოგადოებასთან ინტეგრაციას ვერ ახერხებდნენ. სამწუხაროდ, ასეთი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არსებობს და იგი უნდა შეიცვალოს. ვინც სასჯელს იხდის, უფრო მეტი შანსი აქვთ ცხონებისა და გამოსწორების, რადგან ციხეში მყოფთათვის სამსჯავრო უკვე დაწყებულია.

— **თუ შეიმჩნევა სულიერი ცხოვრებისადმი ლტოლვა პატიმრებში ამ ხუთი თვის მანძილზე, რაც მოძღვრებს მათთან ხშირი ურთიერთობის საშუალება მიეცათ?**

— ხშირად მიწევს პატიმართა მონახულება. ბევრი აღსარებაში ამბობს, რომ ყველაზე ცოდვილია... ბევრი პატიმარი აპროტესტებს თავის მდგომარეობას. მინდა ადამიანებს შევახსენო ის უსამართლო სასამართლო, რომელიც განკაცებულ ღმერთს მოუწყო დაცემულმა კაცობრიობამ. მაცხოვარს ერთი საყვედურიც არ დასცდენია. ვინც მართალია, ის თავს არ იცავს და არ შფოთავს. გაიხსენეთ პავლე და პეტრე მოციქულების, იოანე ნათლისმცემლის და მრავალ დიდ მამათა საპყრობილეში ყოფნის ამბები. ისინი საპყრობილეში ყოფნას თავიანთი ცოდვების საზღაურად მიიჩნევდნენ. მივმართავ ყველა „უსამართლოდ“ შეპყრობილ ადამიანს, შეიძლება დღეს შენ უსამართლოდ მოგისაჯეს, მაგრამ წარსულში ბევრი უსამართლობა ჩაგიდენია და ამისთვის პასუხი არ გიგია. ამიტომაც შენი დღევანდელი სასჯელი წარსულის ცოდვათა სამაგიეროდ ჩათვალე... ჩემი მრევლის ერთი წევრი (წარსულში მაღალჩინოსანი) ოთხი წელი უსამართლოდ იყო დაპატიმრებული, მაგრამ ამის გამო საყვედურს კი არა, აი, რას ამბობს — როდესაც ჩემს ცხოვრებას გადავავლე თვალი, აღმოვაჩინე, რომ ის ოთხი წელიწადი ჯამში შეადგენდა იმ შვებულებათა რიცხვს, რომლითაც არ მისარგებლია. ასე რომ, ციხეში გავატარე შვებულება, აქ წავიკითხე პირველად წმინდა წერილიო. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ის ეკლესიის წევრი გახდა. ამ მაგალითით იმის თქმა მინდა, რომ ეს სოფელი მოკლეა და სჯობს აქ დრო სინანულსა და ცრემლებში გაატაროთ, ვიდრე თავაშვებულ ლხენასა და დროს ტარებაში...

— **ბუნტის შემდეგ მოძღვრებმა მოინახულეთ საპყრობილეები. რა მდგომარეობა დაგხვდათ?**



„არც ერთ ქურდს არ უნდა თავისი შვილი მის გზას გაჰყვეს“

— მეორე დღესვე შევედით საპყრობილეებში. ყველგან მშვიდი სიტუაციაა, ვაკურთხეთ საკნები, დავლოცეთ პატიმრები.

— **უშუალოდ კანონიერ ქურდებთან თუ გაქვთ ურთიერთობა. ამბობენ, რომ მათ არც მოძღვრის ესმით. მხოლოდ საკუთარ აზრს მიიჩნევენ მართებულად.**

— ბევრს ვიცნობ ამ „იარლიყის“ მქონეს. თუ ეს ადამიანები თავიანთი ცხოვრების წესს შეიცვლიან, დიდი სიკეთის მოტანა შეუძლიათ საზოგადოებისთვის. როდესაც ადამიანი ამბობს, არაფერი მეშლება და ჩემი სიტყვა კანონიაო, ეს სასაცილო და მიუღებელია, რადგან მხოლოდ უფლის სიტყვაა კანონი. თუ წინათ ე. წ. კანონიერ ქურდს დაქორწინებისა და სახლის შეძენის უფლება არ ჰქონდა, ახლა კი ერთიც აქვთ და მეორეც, რაღა უშლით ხელს იმაში, რომ სწორად იცხოვროს, ქვეყნის კეთილდღეობაში მიიღოს მონაწილეობა. არც ერთ ქურდს არ უნდა თავისი შვილი მის გზას გაჰყვეს და არ მესმის, რატომ „აკურთხებენ“ სხვის შვილებს „შავებად“. ერთ მაგალითს მოგიყვანთ — ერთ სასულიერო პირთან, შავი სამღვდელოების წარმომადგენელთან შევიდა ქურდი და უთხრა — მამაო, მე შავი ვარო. მოძღვარს უპასუხია, — შავი კი არა, ბნელი ხარო(!). ქურუმების და კერპების დრო მოკვდა. ღვთის თვალში კი ქურდიც, ავაზაკიც, ყაჩაღიც, მდიდარიც, ღარიბიც, ჩინოსანიც და უჩინოც ყველა ერთია და ყველამ უნდა მოვინანიოთ. დამნაშავემ სასჯელი ციხეში უნდა მოიხადოს და გამოსწორდეს. ჩვენ კი ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც საავადმყოფოდან გამოსულს. ამ დროს უნდა გახსოვდეთ წმინდა მამა ეფრემ ასური, რომელსაც ტყუილად დააბრალეს ცხვრების მოპარვა, რის გამოც ციხეში მოხვდა, მაგრამ იგი იქიდან მორწმუნე ადამიანი გამოვიდა. ძალზე მნიშვნელოვანია საპატრიარქოსა და იუსტიციის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების ამოქმედება, რომლის მიხედვითაც პრობაციონერები ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში მიიღებენ მონაწილეობას.

კომუნისტებმა მოძღვართა ინსტიტუტი რომ გააუქმეს, ამიტომ შეიქმნა ე. წ. ქურდებისა და მაყურებლების ინსტიტუტი, რომელიც 21-ე საუკუნეში აღარ უნდა არსებობდეს.

*ეკა ლომიძე*

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. კარატისტი



ვახო გ. ბავშვობაში ჩია ტანისა იყო და არც მაინცდამაინც ღონიერი, ამიტომ ხშირად ჩაგრავდნენ თანატოლები. საკომპენსაციოდ ვახომ კარატეს შესწავლა დაიწყო. იმდენად მონდომებით მოეკიდა საქმეს, რომ მალე დიდ წარმატებასაც მიაღწია, შავი ქამარიც აიღო. ამის შემდეგ კი ყოველთვის ქომაგობდა დაჩაგრულს და ერთგვარი აზარტითაც კი ებმებოდა ქუჩის ჩხუბებში.

ერთხელაც შენიშნა, რომ ვიღაც ახმახს ტრამვაის უკანა კარებთან სტუდენტი გოგონასთვის ხელი ჩაევლო და ჩასასვლელისაკენ მიათრევდა.

— ხელი გამიშვი! არ წამოვალ!... — არ მიჰყვებოდა გოგონა.

ვახო მაშინვე „მოძალადისკენ" გაქანდა და კარატეს ილეთების კასკადი დაატრიალა. ცხვირგატეხილმა ახმახმა აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე გამოისროლა ტრამვაის უკანა კარიდან.

— მიყვარს სამართლიანობა! — წამოიძახა ვახომ და ამაყად მიმოიხედა.

— სამართლიანი ის იქნებოდა, შვილო, ამ უბილეთოს გამო საწყალი კონდუქტორი არ გეცემა(?!), — მიუგო იქვე მჯდომმა მოხუცმა.

*ეკა ჩუბინიძე, თბილისი*

## 2. „კისა"



70-იანი წლების ბოლოს სამი ქართველი სტუდენტი არდადეგებზე სტუმრად მოსკოველ მეგობართან, კოსტიასთან გავემგზავრეთ. კოსტიამ მაშინვე თავის გოგონას — ლარისკას დაურეკა და ახარა: თბილისიდან სამი ძმაკაცი ჩამომივიდა, სამი დაქალი მიიყვანე შენთან და ამოვალთ, ქართული ჭაჭა, ფორთოხალი და შოკოლადები ჩვენზე იყოსო.

საღამოთი სურსათ-სანოვაგით დატვირთულები, მოსკოვის ცენტრში ლარისკასთან მივედით, სადაც ოთხი ქერა გოგონა მოუთმენლად გველოდა. ლარისკამ მოგვიბოდიშა, სამსახურში დღეს მორიგე ვარ, თქვენ დაიწყეთ, მე კი მოგვიანებით შემოგიერთდებითო. გოგონებმა სასწრაფოდ სუფრა გაშალეს და ქეიფს შევუდექით. კოსტია წინასწარ კი გავაფრთხილე, ჭაჭა მაგარია და ნელ-ნელა დალიე-მეთქი, მაგრამ რუსულმა ხასიათმა უმალვე იჩინა თავი და ერთ საათში უგონოდ მთვრალი ლარისკას საწოლზე გაუხდელად მივაწვინეთ. დათო ხუმრობის ხასიათზე მოვიდა, თეფშიდან მოხარშული ქათმის გრძელი კისერი აიღო და მძინარე კოსტიას ჯინსის შარვალზე ელვაშესაკრავით დაუმაგრა... ბევრი ვიცინეთ და ქეიფიც გავაგრძელეთ. დათქმულ დროს ლარისკაც მოვიდა და შეყვარებული სუფრაზე რომ ვერ დაინახა, პირდაპირ საწოლ ოთახს მიაშურა. ოთახიდან ჯერ ქალის კივილი გაისმა, მერე კაცის ღრიალი...

როგორც აღმოჩნდა, ლარისკამ საძინებელში ასეთი სურათი იხილა: უგონოდ მთვრალ კოსტიას შარვალს ფუმფულა კატა — კისა მიჰპარვოდა... ლარისკას კივილზე კოსტია წამოხტა. კისას გემრიელი ლუკმის დაკარგვა არც უფიქრია, ერთხანს შარვალზე ჩამოეკიდა, მერე კი შესაკრავმა მის სიმძიმეს ვერ გაუძლო, კისამ ნადავლი დაითრია და გაიქცა! წყვილი კატას გამწარებული გამოეკიდა...

*ანდრო ჩაჩანიძე, ჭიათურა*

## 3. ფესტივალი ასპინძაში



იყო დრო, როცა ყოველწლიურად იმართებოდა ხალხური შემოქმედების ფესტივალები ჯერ რაიონებში, ხოლო შემდგომ დედაქალაქში.

1960 წლის ზაფხულია. ფესტივალი ტარდება ასპინძის კულტურის სახლში, რომელიც ვერ იტევს სოფლებიდან ჩამოსულ მონაწილეებსა და მაყურებლებს. ხალხის დიდი ნაწილი დარბაზში ფეხზე დგას.

პირველ რიგში სხედან ჟიურის წევრები, ხოლო მეორე რიგში ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი ლევან ისაკაძე, რაიკომის განყოფილების გამგეები და ბიუროს წევრები. სცენაზე ერთმანეთს ცვლიან შემოქმედებითი კოლექტივები. მოწონების ნიშნად გაისმის შეძახილები, ტაში. ბოლოს მაყურებლის წინაშე გამოვიდა სოფელ დამალიდან 80 წელს მიტანებული მუსიკოსი და ორი სალამურით ერთდროულად ააჟღერა მელოდია. მოწონების ნიშნად აღფრთოვანებული რაიკომის მდივანი ფეხზე წამოდგა და ტაში ისე დაუკრა. როგორც იქნა, ჩაცხრა მაყურებლის ოვაციები. რაიკომის მდივანმა კი გვერდით მჯდომ პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგეს გადახედა და უთხრა, — რას იტყვი, იაკოვლევიჩ, ხომ კარგად უკრავსო!

— შესანიშნავად, ლევან მიხაილოვიჩ, მაგრამ თან რომ ემღერა, უკეთესი იქნებოდაო!

*გიორგი ბერიძე, ასპინძა*

## 4. – კიდევ საკითხავია?!



სტუდენტობისას, 70-იან წლებში, ქართლის ქუჩაზე ვცხოვრობდი მეგობართან ერთად. ერთხელ ერთ-ერთი ძმაკაცი, სოსო ნარიმანიძე გვესტუმრა. უფრო სწორად ეზოში იდგა და იცინოდა. ეტყობოდა, კარგად იყო შექეიფიანებული. გაიცინებდა, შეისვენებდა, მერე ისევ აუტყდებოდა სიცილი.

— რა ფორმაში ხარ, სოსოია, არ იტყვი? — სიცილითვე ჰკითხა ჩვენმა მეზობელმა მარინა ინაშვილმა.

— სასირეთში ვიყავი (არის ასეთი სოფელი კასპის რაიონში. — გ. მ.), ქლიავის არაყი მასვეს და, რა ფორმაში ვიქნები, კიდევ საკითხავია? — სიცილითვე უპასუხა სოსომ.

*გერონტი მესხი, თბილისი*




**5.** ქუთაისელს დონორობა შესთავაზეს.

— მაგი რაიაო? — იკითხა გაკვირვებულმა.

— სისხლი უნდა მოგვცეო.

— რას ამბობ, თუ ძმა ხარ, — შეიცხადა, — გასაცემი სისხლი კი არა, სახლამდე თუ მეყოფა, ისიც არ ვიციო!..

*სულხან ძირკვაძე, თბილისი*

**6.** რაჭველ მებუფეტეს ჰკითხეს:

— რაჟიკუნა, დათვის არ გეშინია?

— ქვე რატომ უნდა მეშინოდეს?! ტყეში სანადიროდ მე არ დავდივარ და ბუფეტში ის არ დადის ლობიოს საჭმელად.

*შოთა გელაშვილი, ხაშური*

## გამოვლინდა კურიოზების კონკურსის მარტის თვის სამი გამარჯვებული

**პირველი ადგილი და პრემია — 50 ლარი** წილად ხვდა თბილისელ **გ. მამისაშვილს** კურიოზისთვის — **„რუჩკა" მეგონაო"**.

**მეორე ადგილი და პრემია** — 30 ლარი დაიმსახურა კურიოზმა **„ჭუკები"**, რომლის ავტორი **რომან ზუკაკიშვილია** (საგარეჯო, პატარძეული).

**მესამე პრემია — 20 ლარი** გადაეცემა საგარეჯოელ **ვაჟა (გოდერძი) ჯავახიშვილს** კურიოზისთვის **„მოხერხებული მაჭანკალი"**.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრემიების მისაღებად ველით რედაქციაში ხუთშაბათს, 6 აპრილს, 17 საათზე.

კურიოზების კონკურსი გრძელდება და მასში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს შეუძლია.

წარმატებებს გისურვებთ!

## ყურადღება! კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 5 აპრილის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 6 აპრილის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი

____________

____________

____________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №14**




## ·ფოტოპალიტრა·

გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.

რას დაარქმევდით?

____________

____________

____________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________



ბილ კლინტონი, გიორგი ბარამიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულჩვილობაც შემომეპარა და ყველაფერიც, რაც სიბერემ იცის...

## სულ ვშრომობდი, დრო არ დამიკარგავს, მაგრამ ეს რა ნუგეშია



*ცნობილ მსახიობს,* ***კარლო საკანდელიძეს*** *1-ელ აპრილს 78 წელი შეუსრულდა. მიუხედავად ასაკისა, ისევ სცენაზეა და მაყურებლის დიდ სიყვარულსაც იმკის. სცენაზე გამოსული მოღიმარი არტისტის შემყურე ძნელად თუ წარმოიდგენს, რა შრომის ფასად უჯდება მას სულიერი და ფიზიკური ტკივილების დათრგუნვა, კარლო საკანდელიძე, შეიძლება ითქვას, კლდეზე უმტკიცესი გამოდგა და დღესაც, მიუხედავად ავადმყოფობისა, წარმატებით აგვირგვინებს ჩანაფიქრს.*

**— ბატონო კარლო, 60 წლის წინ, 18 წლისას, როგორ წარმოგედგინათ მომავალი?**

— ხომ იცით, ახალგაზრდული ოცნებები სხვანაირია. წლები გადის, ფიქრობ და ხვდები, ყველაფერი გაცილებით რთული ყოფილა, ვიდრე გეგონა. ახალგაზრდობაში ყველაფერზე ამაღლებული შეხედულება მქონდა, საკუთარ მომავალზეც კი. მეგონა, უფრო მეტს მივაღწევდი. საერთოდ, ოპტიმისტი გახლავართ, მაგრამ ახლა უფრო მძაფრად ვგრძნობ ცხოვრების სწრაფ დინებას და ეს სევდას მგვრის... მარტო შენზე არ არის დამოკიდებული შენი მომავალი, სხვებზეცაა: პარტნიორებზე, რეჟისორებზე... ვინ მოთვლის. ძნელია იმაზე ფიქრი, რა იქნებოდა, ცოტა სხვაგვარად რომ მოქცეულიყავი, სხვას შეხვედროდი, სხვა როლი მოეცათ...



*„კავკასიური ცარცის წრე". რამაზ ჩხიკვაძე და კარლო საკანდელიძე*

ახალგაზრდობა დიდებული ოცნებების დრო იყო, სიბერემ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

**— როგორ იწყებოდა ყველაფერი, ვინ დაგხვდათ თეატრში, როგორ მიგიღეს...**

— თეატრში გენიალური არტისტები დამხვდნენ. აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძეს, სერგო ზაქარიაძეს საშუალება რომ ჰქონოდათ და უცხოეთში ეჩვენებინათ თავისი ნიჭი, მსოფლიოს აალაპარაკებდნენ. ასევე იყო მარჯანიშვილის თეატრშიც. საერთოდ, საოცრება ხდებოდა მაშინდელ თეატრალურ სამყაროში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთეს რამეს მოიფიქრებდა და გააკეთებდა. ის, რაც მე ვარ, ჩემი მასწავლებლების დამსახურებაა. მათ გამიკვალეს გზა სცენისაკენ. მსახიობის ოსტატობას გიორგი ტოვსტონოგოვი და დოდო ალექსიძე გვასწავლიდნენ. ლილი იოსელიანმა მასწავლა სცენაზე დგომა, მეტყველება, მოძრაობა, პარტნიორის მოსმენა, დიდად მადლიერი ვარ მისი, რომ უფრო მეტად შემაყვარა ჩემი პროფესია.

**— ყმაწვილურ სიცელქეს არასოდეს აჰყოლიხართ?**

— როგორ არა, მაგრამ მსახიობის ოსტატობაში მაგას ვერ ვიკადრებდი... ვერც მეტყველებასა და ქორეოგრაფიაში გავიიოლებდი საქმეს. ეს პროფესიის შეურაცხყოფა იქნებოდა.

**— ცეკვა ადრეც გეხერხებოდათ თუ ქორეოგრაფიის გაკვეთილებზე გასწავლეს თეატრალურ ინსტიტუტში?**

— მე ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვსწავლობდი საბალეტო ხელოვნებას, სტუდიის დირექტორი ცნობილი ქორეოგრაფი დავით ჯავრიშვილი იყო. ომიანობის დროს საქართველოში ჩამოვიდა უდიდესი ბალერინა მარია გერტი მეუღლესთან, ცნობილ დირიჟორთან — ალექსანდრ გაუკთან ერთად. ისე მოეწონათ ჩემი ცეკვა, მითხრეს, თუ ისურვებ, გიშვილებთ, უდიდეს მოცეკვავედ გაგზრდითო... ვუთხარი: მართალია, დედა არა მყავს, მაგრამ მამა მყავს, დები და სხვისი შვილი ვერ გავხდები-მეთქი. გული დასწყდათ. მერე ვახტანგ ჭაბუკიანი ჩამოვიდა. მნახა და... თავის სტუდიაში ჩამრიცხა. ცოტა ხნის შემდეგ გამოიკრა ბრძანება, რომ „გედის ტბაში" მასხარას პარტია უნდა შემესრულებინა, „ბალჩისარაის შადრევანში" — ნურადისა. უარი ვთქვი. დიდი ბოდიში, მაგრამ თეატრალურ ინსტიტუტში მივდივარ-მეთქი...

**— არ გიყვარდათ ბალეტი?**

— მიყვარდა, როგორ არა, მაგრამ... ერთხელ ვახტანგ ჭაბუკიანმა სოროკინის, რაისკის და გერმაშოვის საგრიმიოროში შემიშვა. როგორც კი შევედი, თვალში მეცა — სამივე იჯდა, ხელში ჩხირები ეკავათ და ქსოვდნენ... ვიფიქრე, აქ ჩემი ადგილი არ არის-მეთქი...

**— ბრძანეთ, დედა არ მყავდაო.**

— 3 წლისა დავობლდი, ამბობენ, უკურნებელი სენი სჭირდაო. ჩემი უფროსი დები თბილისში სწავლობდნენ, მათ წამომიყვანეს და გამზარდეს. დიდი ჯაფა ადგათ იმიტომ, რომ ძალიან ცელქი ვიყავი, მართლაც აუტანელი. მახსოვს, ერთ კვირადღეს მე და ჩემი მეგობარი თენგიზ სანაძე თეატრში მივდიოდით. შემთხვევით მთაწმინდაზე ამოვყავით თავი. ნავებზე ვქანაობდით. ჩემი ანცობა იმით დამთავრდა, რომ ნავი დამეჯახა და მინას მუცლით დავენარცხე. სასწრაფოდ წამიყვანეს ბავშვთა საავადმყოფოში. ექიმი ბატონი შალვა ლამბაშიძის ძმა იყო, თან გადამყვა, შეშინებული ჩანდა. საოპერაციოდ უნდა შევეყვანე, მაგრამ კართან რომ გავჭიმე ხელ-ფეხი, ძვრა ვერ მიქნეს... საბედნიეროდ, თავი დავიძვრინე. საავადმყოფოდან ექიმმა მიმიყვანა შინ. კინაღამ გაგიჟდა ჩემი და... მე სითბო და სიყვარული არ მაკლდა, მაგრამ მაინც ძნელია უდედობა... დედა ბუნდოვნად მახსოვს... ისიც რატომღაც ცხოველებთან ერთად. მაგალითად, მახსოვს, დედა წყაროზე მიდიოდა. მე უკან მივყვებოდი, ჩემს უკან ფინია მოდიოდა, შემდეგ კატა. მერე ის მახსოვს, როცა თბილისიდან ჩამოასვენეს, მის სასახლეს სახურავში მინა ჰქონდა დატანებული. ძალიან მინდოდა, შიგ ჩამეხედა, მაგრამ არ მიმიშვეს... ძალიან კარგი მამა მყავდა. რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი იყო ვანში, კარგი განათლება მომცა...



*„ჭინჭრაქა". კარლო საკანდელიძე და ბელა მირიანაშვილი*

**— ბატონო კარლო, ბრძანეთ, მეხსიერებაში ცხოველებიც ჩამრჩაო. ეტყობა, ძალიან გიყვართ...**

— მიყვარს. ახლაც მახსოვს ჩვენი მონადირე ძაღლი, ჩიტო ერქვა, უჭკვიანესი იყო. ნადირობაც მიყვარდა, თუმცა დიდებული მონადირე არასოდეს ვყოფილვარ. ერთხელ, მამას თოფი მოვპარე და მე და ჩიტო სანადიროდ წავედით. გაიხარა ძაღლმა, თოფი რომ დამინახა ხელში. ვესროლე ერთი — ავაცდინე, მეორე — ავაცდინე... შვიდჯერ რომ ტყუილად გავისროლე, ძაღლმა გაკვირვებით შემომხედა, პირი იბრუნა და წავიდა. დავუძახე, მაგრამ არ მობრუნდა. წამოვედი შინ მოწყენილი და შერცხვენილი. კაკლის ძირში შესასვენებლად ჩამოვჯექი. ღუღუნი შემომესმა. ავიხედე, გავისროლე ალალბედზე და რვა ქედანი ჩამოვარდა — საფანტმა დახოცა! მოვედი შინ ამაყად. მამა გაბრაზებული დამხვდა — რატომ მოიპარე თოფიო. ჩიტოს დაბრუნებით გაუგია ეს ამბავი. მერე ქედნები შენიშნა: — როგორ მოკალიო, — მკითხა. როგორ და, დავინახე ერთი — ვესროლე, მერე მეორეს, მესამეს... დაიცა, დაიცა, — შემაწყვეტინა, — ჯერ ნადირობა არ დაგიწყია და უკვე ტყუი. ქედნები ცალცალკე არ სხდებიან, ერთად იციან ჯდომა. ეგ ერთი გასროლით მოგიკლავსო.

**— მამათქვენი ამაყობდა მსახიობი შვილით?**

— არა. უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი. ისე, „მაგდანას ლურჯა" რომ ნახა, კი მითხრა, არა გიშავს, კიდევ კარგი, მაჩანჩალა არ გამოხვედიო. მამა აკაკი ვასაძეს კარგად იცნობდა. მიამბობდა, — მამამისმა კინაღამ მოკლა, როცა მსახიობობა მოინდომაო, სცენა, იცი, ვის ეკუთვნისო — ლადო მესხიშვილს, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძესო...

**— სრულიად ახალგაზრდა გახვედით სცენაზე, გადასალებ მოედანზე. უფროსი მსახიობები, როგორც პარტნიორები, როგორ დაგამახსოვრდათ?**

— ძალიან კარგად... სერგო ზაქარიაძემ თქვა ერთხელ ინტერვიუში ჩემზე, კარგი პარტნიორიაო. ის თვითონ იყო არაჩვეულებრივი პარტნიორი და გულწრფელი მაყურებელი. „შემოდგომის აზნაურების" მეათე სპექტაკლი ვითამაშე. შემოვიდა — წარმატებას გილოცავო. ალბათ, ახლა ნახეთ პირველად-მეთქი. ერთი სპექტაკლიც არ გამომიტოვებიაო. შენზე ვფიქრობდი, — სამართებელზე გადის, ან ახლა ჩამოითლის ფეხებს, ან ახლა-მეთქი. რომ ვიგრძენი, მშვიდობით გაიარე, მოვედი და მოგილოცეო. სახალხო არტისტობა ახალგაზრდამ მივიღე. შემრცხვა — ჯერ რა დროსია-მეთქი. სერგო ზაქარიაძე მაშინ რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. შენ არავინ გეკითხებაო, — მითხრა.

**— ისეთი როლი თუ შეგიძლიათ დამისახელოთ, რომლის შესრულებაც ყველაზე მეტად გაგიჭირდათ?**

— ოტია იოსელიანის პიესაში, „სანამ ურემი გადაბრუნდება", კარპეს როლი მომცეს. ვატყობ, არაფრით არ გამომდის. ვნერვიულობ. სერგო ზაქარიაძე ჩემს ნათლიას — აგაბოს თამაშობდა, უფრო სწორად, კარპე ეძახდა ნათლიას. შემატყო, რა დღეში ვიყავი. რას შვრები, შეგარცხვინა ღმერთმა, ქენი რამეო... დადგა ჩვენების დღე. გადავწყვიტე, მარტო რეპლიკები მიმეცა პარტნიორებისათვის და როლზე უარი მეთქვა. შევედით ფოიეში. შემოვიდა ავტორი. გამარჯობათ თქვენიო, — მოგვესალმა. ეს გავიგონე თუ არა, თავში ყველაფერი გადამიტრიალდა. მივხვდი, ოტია იოსელიანი უნდა მეთამაშა. გავიქეცი საგრიმიოროში, მივიკარი წარბები, გავიკეთე გრიმი, გარდერობში გამოვართვი ბრახუნა ფეხსაცმელები, სვანური ქუდი... აგაბო ხვდება შვილებს სცენაზე და ამ დროს შევდივარ მეც. შევყავი თავი და დავიძახე: — გამარჯობათ თქვენი! ტაშით და სიცილით დაინგრა თეატრი. სერგო ზაქარიაძე რამპასთან იდგა და გაოცებული მიყურებდა. ვითამაშე ჩემი ეპიზოდი. დამთავრდა სპექტაკლი. სერგო მომაჩერდა და: ამას მიმალავდიო?! — შესძახა გაბრაზებულმა. მას შემდეგ კარგა ხანს არ მელაპარაკებოდა... ერთ მშვენიერ დღეს მოვიდა და შემირიგდა.

**— რამდენი წელია, რაც რუსთაველის თეატრის სცენაზე თამაშობთ?**

— 57 წელია ერთი თეატრის სცენაზე ვარ.. ინსტიტუტის დამთავრების მერე ძალიან მინდოდა მარჯანიშვილის თეატრში მუშაობა. შალვა ლამბაშიძეს — სამხატვრო ხელმძღვანელს — მოვეწონებივარ, აკაკი ხორავამ არ გამიშვა. გავბედე, ვთხოვე, გამიშვით-მეთქი. არაო. იცი, როგორ დამწყდა გული? მერე მოვიმიზეზე: ტანით პატარა ვარ, რუსთაველის თეატრის სცენაზე არ გამოვჩნდები, მარჯანიშვილის სცენა პატარაა, იქ მეტი შანსი მექნება-მეთქი. არავითარ შემთხვევაში, შუბი ხალთაში არ დაიმალებაო, — მითხრა აკაკი ხორავამ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვფიქრობ, მარჯანიშვილის თეატრში მეტის გაკეთება შევძლებდი... თუმცა უსაზღვროდ მიყვარს ჩემი თეატრი.

**— 57 წლის წინ რას განიცდიდით სპექტაკლის დაწყებისას და რას განიცდით ახლა?**

— ახლა უფრო ვღელავ. ადრე სულ არ ვნერვიულობდი.

**— გულჩვილობა ხომ არ შემოგეპარათ?**

— გულჩვილობაც შემომეპარა და ყველაფერიც, რაც სიბერემ იცის...

**— ყველაზე მეტად რა გენატრებათ?**

— ახალგაზრდობა მენატრება... ზოგი ამბობს, ფუჭად ვიცხოვრეო. მე სულ ვშრომობდი, დრო არ დამიკარგავს, მაგრამ ეს რა ნუგეშია.

P.S. „კვირის პალიტრა" დაბადების დღეს ულოცავს ბატონ კარლოს, დღეგრძელობას, წარმატებას უსურვებს თეატრის სცენაზე და სცენის მიღმაც.

*ლელა ჯიყაშვილი*


განსხვავებული ჟურნალი

ირაკლი კაკაბაძემ ანა დოლიძეს სიყვარული აუხსნა

ვახტანგ რჩეულიშვილმა მეუღლეს რეალურ შოუში მონაწილეობა კატეგორიულად აუკრძალა

ვინ შეიტყუა ნინო ორდენიძემ გეი-კლუბში და რომელი პოლიტიკოსისგან იღებს რჩევებს

მთვრალ გიგა ნასარიძეს მთვრალი ქალი შეხვდა

დეპრესიაში ჩავარდნილი კაბუ სვამს და ღამღამობით სასაფლაოზე დადის




ორშაბათობით!

# „გულშემატკივარს ვთხოვთ, ხმაურიანად გაამხნევონ გუნდი!..“



რამდენიმე დღეა, სპორტის სასახლეში გაცხოველებული მზადებაა. ოღონდ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მოედანზე კალათბურთელები ან მოჭიდავეები კი არა... ჩოგბურთელები ვარჯიშობენ. 7-9 აპრილს საქართველოს ნაკრები „დევისის თასზე“ სამხრეთაფრიკელ ჩოგბურთელებს დაუხვდება და ევრო-აფრიკული ზონის I ჯგუფში ანაცვლებას შეეცდება. საკუთარ კედლებში თამაში ყოველთვის დიდი უპირატესობაა, თუმცა, რადგან მასპინძლებმა ღია კორტების წესრიგში მოყვანა ვერ მოახერხეს, იძულებული გახდნენ ხელოვნური საფარი საფრანგეთში შეეძინათ და აფრიკელებს ქართველი ქომაგისთვის უჩვეულო — დახურულ დარბაზში დახვედროდნენ.

სამხრეთ აფრიკა საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი მეტოქეა. მათი ლიდერი — ვესლი მუდი კი პლანეტის ორმოცდაათ საუკეთესო ჩოგბურთელს შორისაა. მუდი თბილისში ტურნირის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩამოვა, იმავე დღეს ელიან საქართველოს ნაკრების საუკეთესო ჩოგბურთელს — ირაკლი ლაბაძესაც. ლაბაძე ბოლო ხანს არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება და ქართველი ქომაგის თვალწინაც საკმაოდ იშვიათად უწევს თამაში, თუმცა იმედია, ირაკლი „დევისის თასის“ მატჩებისათვის მობილიზებას მოახერხებს (უპირველესად — ფსიქოლოგიურად) და თავის სიტყვას ომახიანად იტყვის. მომავალ მატჩებზე სასაუბროდ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვესტუმრეთ. როგორც აღმოჩნდა, იმის მიუხედავად, რომ სპორტის სასახლეში ყველაფერი მზად არის, **ლეილა მესხი** მაინც ძალიან ნერვიულობს.

— ხელოვნური საფარის შესაძენი თანხების მოსაძიებლად, ყიდვისა და ტრანსპორტირებისთვის საკმაოდ ცოტა დრო გვქონდა. ამის მიუხედავად, ყველა ეს საკითხი მოვაგვარეთ და ჩოგბურთელებმა უკვე ივარჯიშეს კიდეც სპორტის სასახლეში. ალბათ დაგაინტერესებთ, ჩვენი აკადემიის კორტებზე რატომ არ ვუმასპინძლეთ სამხრეთაფრიკელებს, მით უმეტეს, რომ ფედერაციას უკვე აქვს „დევისის თასის“ მასპინძლობის გამოცდილება. საქმე ის არის, რომ წლევანდელი კენჭისყრის მიხედვით, საქართველოში ასეთი მასშტაბის ასპარეზობის მასპინძლობა საკმაოდ ადრე, აპრილის დასაწყისში გვიხდება და იყო იმის საშიშროება, 7 აპრილისთვის თიხნარი კორტების მომზადება ვერ მოგვესწრო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ სტუმრები დახურულ დარბაზში მიგველო და რადგან ვერის ბაღის საკალათბურთო მოედნის ზომა საკმარისი არ აღმოჩნდა, მატჩების გამართვა სპორტის სასახლეში გადავწყვიტეთ.

**— როგორც ვიცი, ხელოვნური ხალიჩა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა...**

— ტურნირის ორგანიზება საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ფედერაცია ამ ხარჯებს მარტო ვერ გასწვდებოდა, სპორტის დეპარტამენტი და ოლიმპიური ფონდი დაგვეხმარა.

**— რაც შეეხება უშუალოდ მონაწილეებს...**

— ჩვენი გუნდის პირველი ნომერი, რა თქმა უნდა, ირაკლი ლაბაძეა. ის ისეთ მოთამაშეთა კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც „მაყურებელზე თამაში“ უყვარს, შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია, რამდენი მაყურებელი მოვა და როგორ დაუჭერენ მხარს ჩვენს ჩოგბურთელებს. ძალიან გვეიმედება ლადო ჩიხლაძეც. მას და ირაკლის წყვილში თამაში მშვენივრად გამოსდით და „დევისის თასზე“ მნიშვნელოვანი მატჩებიც მოუგიათ. ჩიხლაძე კარგად თამაშობს დარბაზში და მსგავს საფარზე ჩინებული მონოდებებითაც გამოირჩევა. ნაკრების დანარჩენი წევრები ახალგაზრდა მოთამაშეები არიან: საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი გიორგი ჭანტურია და გიორგი ხრიკაძე.

რაც შეეხება სტუმართა გუნდს, სამხრეთ აფრიკა საკმაოდ ძლიერი და გამოცდილი ჩოგბურთელებით არის დაკომპლექტებული და მისი ნაკრები ოთხჯერ იყო უმაღლეს ლიგაში. აფრიკელთა ლიდერი, ვესლი მუდი „უიმბლდონის“ შარშანდელი ტურნირის ჩემპიონია წყვილთა თანრიგში და ამით ყველაფერია ნათქვამი. გამოცდილი ჩოგბურთელია მათი მეორე ნომერიც. მას ახლა დაახლოებით იგივე რეიტინგი აქვს, როგორც ლაბაძეს, მაგრამ ირაკლის მსგავსად, ერთ დროს ისიც შედიოდა 50 საუკეთესო ჩოგბურთელთა რიცხვში. როგორც იცით, ლაბაძის საუკეთესო შედეგი 42-ე ადგილი იყო მსოფლიო რეიტინგში. ასე რომ, მაყურებელს ძალზე კარგი სანახაობა ელის და ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ამ პაექრობაში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩეს.

**— ბოლო ტურნირებში ირაკლი ლაბაძე არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდა...**

— ირაკლი საკმაოდ უიღბლო სპორტსმენია. ჩინებულად ჩატარებული სეზონის შემდეგ ტრავმა მიიღო და თითქმის ერთი წელი გაუცდა. ბოლო ტურნირი საგანგებოდ „დევისის თასისთვის“ ითამაშა, რათა ფორმაში შესულიყო. წინა კვირას თირკმელის შეტევა ჰქონდა და ცოტათი შეგვაშინა კიდეც, თუმცა, ახლა ყველაფერი კარგად არის და თავს არ დაზოგავს. მთავარია, ფსიქოლოგიური პრობლემები არ შეექმნეს.

**— დახურულ კორტზე თამაში ქართული ჩოგბურთისთვის არცთუ ჩვეული მოვლენაა. ამაზე რას იტყვით?**

— მართალი ხართ, თუმცა, ჩვენი გუნდისთვის თავად საფარი საკმაოდ ხელსაყრელია, რადგან ირაკლიც და ლადოც საკმაოდ სწრაფ ჩოგბურთს თამაშობენ. სხვათა შორის, მატჩების დროს მაყურებელს ინფორმაციას მიაწვდიან თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რათა მოთამაშეებს დახმარების ნაცვლად ხელი არ შევუშალოთ. ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან კი არა, მთელ მსოფლიოში ხდება. მაყურებელს იმისკენ მოვუწოდებთ, რომ ქულის მოპოვების შემდეგ, რაც შეიძლება „ხმაურიანად“ გაამხნევონ გუნდი.

**— უახლოესი დღეების მთავარი თემა „დევისის თასია“, თუმცა, ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელების — უპირველესად კი ანა ტატიშვილის გამოსვლასაც უნდა შევეხოთ...**

— ანა ძალზე ნიჭიერი და შრომისმოყვარე გოგონაა, ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე და რაც მთავარია, ისეთი ცნობილი სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშაა, წარმატებებს აუცილებლად მიაღწევს. ბოლო პერიოდში ანას მცირედი ფსიქოლოგიური პრობლემები ჰქონდა, თუმცა ასეთი რამ ყველას შეიძლება დაემართოს და ცნობილ ჩოგბურთელთან გამარჯვების შემდეგ, ეს პრობლემაც გადალახულია...

# „ელ კლასიკო“ კლასიკური გამოდგა



სრულიად ესპანეთისათვის უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება შაბათს შედგა „ნოუ კამპის“ სტადიონზე. „ბარსელონა“-„რეალის“ პაქრობა ყველა საფეხბურთო მოვლენას გადაფარავს ხოლმე, იმის მიუხედავად, თანაბარ ფორმაში იმყოფებიან თუ არა გუნდები და აქვს თუ არა კონკრეტული მატჩის შედეგს სატურნირო მნიშვნელობა.

დედაქალაქური გრანდისა და კატალონიური სუპერკლუბის დაპირისპირება ათეულობით წელია გრძელდება და როცა „ელ კლასიკო“ ახლოვდება, მთელი ესპანეთი მომავალი მატჩის მოლოდინით ცოცხლობს. ბუნებრივია, გამონაკლისი არც პირველი აპრილის შეხვედრა ყოფილა და იმის მიუხედავად, რომ „ბარსელონას“ რამდენიმე დღეში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ელოდა, ეჭვიც არავის შეჰპარვია, ფრანკ რიიკარდი „ნოუ კამპზე“ უძლიერეს შემადგენლობას რომ გაიყვანდა.

თავის მხრივ, დასაკარგი არაფერი ჰქონდა „რეალსაც“, რომელიც კარგა ხანია ყველა „ფრონტს“ ჩამოშორდა და თანაც, პირველ წრეში, საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხიც (0:3) ახსენებდა თავს. მადრიდელთათვის გამარჯვებას ის თეორიული შანსიც უნდა შეენარჩუნებინა, საჩემპიონოდ რომ დარჩენიათ, თუმცა, ლოპეს კაროს შეგირდებმა კატალონიიდან მხოლოდ ქულის წამოღება შეძლეს და ამაზეც მადლობელი უნდა იყვნენ.

„ბარსელონა“ მთელი მატჩის განმავლობაში დომინირებდა და მალევე დაწინაურდა კიდეც. — რობერტო კარლოსისა და ვან ბომელის დუელის შემდეგ, ეს უკანასკნელი გაზონზე ისეთი ძალით დაენარცხა, იფიქრებდით, აქედან ველარ წამოდგებაო, თუმცა როცა არბიტრმა პენალტის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო, ჰოლანდიელი ჩიტივით წამოფრინდა. რონალდინიომ კი თერთმეტმეტრიანი უზადოდ შეასრულა და — 1:0. სულ მალე, იმავე კარლოსს მეორეჯერაც აუფრიალეს ყვითელი ბარათი და „რეალი“ უკვე 25-ე წუთზე კაცნაკლული დარჩა...

ამის შემდეგ, უპირატესობა კვლავაც „ბარსასი“ იყო, თუმცა დედაქალაქელებმა ერთი სწრაფი კონტრშეტევა მაინც „გააძვრინეს“. მართალია რონალდოს სიმსუქნისა და სიზარმაცის ეტალონად აცხადებენ, მაგრამ ამჯერად დაამტკიცა, რომ გოლების გატანა კვლავაც შეუძლია. საბოლოოდ, 1:1 და საჩემპიონო რბოლა ფაქტობრივად დასრულებულია. ესპანეთის ჩემპიონობაში „ბარსას“ ველარავინ შეეცილება, „რეალს“ კი ისლა დარჩენია, მომავალი სეზონისთვის მოემზადოს.

და კიდევ, „ელ კლასიკოს“ სათადარიგო სკამიდან ადევნებდა თვალს მადრიდული კლუბის სიმბოლოდ ქცეული რაული. ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელს თითქმის სამ ათეულ „კლასიკოში“ მიუღია მონაწილეობა და ამ ხნის მანძილზე ეს მხოლოდ მეორეჯერ მოხდა, მოედანზე გასვლა რომ ვერ მოახერხა...

## სპორტული კალეიდოსკოპი

### უარი აბრამოვიჩს

ახალი ზელანდიის ხელისუფლებამ უფლება არ მისცა ლონდონის „ჩელსის“ მფლობელს რომან აბრამოვიჩს იახტის ღუზა ქვეყნის სანაპიროსთან ჩაეშვა. ზელანდიელებმა ეს იმით ახსნეს, რომ ეშინოდათ — აბრამოვიჩის იახტაზე მყოფ თუთიყუშს ადგილობრივი ფრინველები „ქათმის გრიპით“ არ დაევაადებინა. „თუთიყუში რიგი დაავადებების პოტენციური გამავრცელებელია“ — აღნიშნა ზელანდიის ხელისუფლების წარმომადგენელმა ფილ ბერკლიმ. შესაძლოა, ზელანდიელებს სხვა რაიმე მოტივით არ სურდათ ებრაელი ოლიგარქის ქვეყანაში შეშვება, თორემ საეჭვოა, აბრამოვიჩის თუთიყუშს რაიმე დაავადება, მით უფრო — „ქათმის გრიპი“ აწუხებდეს...

### ოცდასამიდან ათი ევროპელია

იმ 23 არბიტრს შორის, რომლებიც ამ ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატს მოემსახურებიან, 10 ევროპელია. გერმანიაში ჩავლენ მასიმო ბუზაკა (შვეიცარია), ფრენკ დე ბლეკერე (ბელგია), მასიმო დე სანტისი (იტალია), ვალენტინ ივანოვი (რუსეთი), მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი), მარკუს მერკი (გერმანია), ლუბუშ მიხელი (სლოვაკეთი), გრემ პოლი (ინგლისი), რიკ პულა (საფრანგეთი) და კიროს ვასარასი (საბერძნეთი). როგორც ფიფაში განაცხადეს, ფრენკ დე ბლეკერეს დანიშვნა პირობითია, რადგან ამ მსაჯს ფიზმომზადებაში აქვს ტესტი ჩასაბარებელი. მსოფლიო ჩემპიონატზე არბიტრებს 64 მატჩის მომსახურება მოუწევთ და იმედია, წლევანდელი მუნდიალი წინასავით სკანდალური არ გამოდგება.

### „იუნაიტედის“ თაგვები



ოდესმე დაფიქრებულხართ, რატომ არ არიან „ოლდ ტრაფორდის“ სტადიონზე სპილოები? როგორც სამოყვარულო კლუბი „ბარტონ ალბიონი“ იტყობინება, ამის მიზეზი სპორტულ არენაზე მცხოვრები ათასობით თაგვია...

„ბარტონის“ საშინაო მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ 0:0 დასრულდა, განმეორებითი შეხვედრა კი „მანიუმ“ 5:0-ით მოიგო და სწორედ ამის შემდეგ განუცხადა „ალბიონის“ მცველმა პრესას, თუ როგორი „ზოოპარკია“ განლაგებული „ოლდ ტრაფორდის“ ტრიბუნების ქვეშ, — როცა არ უნდა დაიხედო ძირს, ყოველთვის თაგვს დაინახავ, ნაბიჯის გადადგმის შესაძლებლობასაც არ გაძლევენ... — განაცხადა რაიან ოსტინმა. თუმცა, „ბარტონის“ ფეხბურთელის აზრს არ იზიარებენ „მანჩესტერის“ ბანაკში. — თაგვები პრობლემებს მაინცდამაინც არ გვიქმნიან, — აღნიშნავენ კლუბის თანამშრომლები, — სტადიონი არხსა და რკინიგზას შორის მდებარეობს და ხანდახან თაგვები ჩვენც „შემოგვირბენენ“ ხოლმე. ინფორმაცია კი იმის შესახებ, რომ სტუმარი გუნდის ფეხბურთელებს გასახდელში ყველის დატოვების უფლებას არ აძლევენ, არ დასტურდება.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები.
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge


მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის
სამ და ოთხკამერიანი
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩვენ მაინც ბოლომდე ვიომებთ“



ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ლიონსა“ და „მილანს“ შორის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი კახა კალაძე გახლდათ. მას შემდეგ, რაც დაცვის ცენტრში მიუჩინეს ადგილი, კახა კიდევ უფრო შთამბეჭდავად ათამაშდა და ფრანგებთან მატჩიც უშეცდომოდ ჩაამთავრა. მილანური კლუბის დაცვით ხაზში „საპენსიო“ ასაკის ფეხბურთელები საკმაოდ არიან (ამაზე ისიც მეტყველებს, „ლიონთან“ შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში 39 წლის კოსტაკურტამ რომ დაიწყო), რაც ჩვენებურის სამომავლო პერსპექტივას კიდევ უფრო ზრდის. ლიონში დაფიქსირებულმა ნულოვანმა ფრემ ნახევარფინალისტის ვინაობის გარკვევა განმეორებით შეხვედრას მიანდო და მართალია, მილანელები ძირითად ყურადღებას სწორედ ამ შეხვედრას დაუთმობენ, არც ჩემპიონატის „დავიწყება“ მართებთ. იტალიის პირველობაზე მილანელთა მთავარი კონკურენტი — ტურინის „იუვენტუსია“. — რვაქულიანი ჩამორჩენა საკმაოდ რთული აღმოსაფხვრელია, თუმცა, ჩვენ ჩვენსას შევეცდებითო, — ამბობს **კახა კალაძე**, რომელსაც „ლეჩესთან“ შეხვედრამდე რამდენიმე წუთით ადრე დავუკავშირდით.

— „ლიონთან“ საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით — პირველ ნახევარში. უპირატესობაც მოვიპოვეთ, მაგრამ რამდენიმე საგოლე შანსი გავუშვით ხელიდან. მერე მასპინძლებმაც გამოასწორეს თამაში და შემოგვიტიეს, თუმცა, აშკარა საგოლე მომენტები არც ისე ბევრი ჰქონიათ. ფრანგებს კარგი გუნდი ჰყავთ, კოლექტიურ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ მილანში უპირატესობა ჩვენ გვექნება და დარწმუნებული ვართ, შემდეგ ეტაპზეც გავალთ.

**— „ლიონი“ შთამბეჭდავ სეზონს ატარებს და მის შესაძლებლობებზე წარმოდგენა მატჩამდეც გექნებოდათ, მაგრამ პირისპირ, რეალურად დანახული სხვაა...**

— ფრანგებს განსაკუთრებულად ძლიერი ნახევარდაცვა ჰყავთ. სწრაფი, ძალისმიერი თამაშით გამოირჩევიან და ვერც მათ თავდამსხმელებზე იტყვის ვინმე აუგს. ბუნებრივია, საფრანგეთის ჩემპიონატი ევროპის წამყვან ლიგებს საკმაოდ ჩამორჩება და მხოლოდ იქ ლიდერობა ძლიერი კლუბის იმიჯის შესაქმნელად არავის გამოადგება, თუმცა „ლიონი“ ჩემპიონთა ლიგაშიც ჩინებულად ასპარეზობს და „საჩუქარი“ არავისთვისაა...

**— საწყისი წუთები მთლიანად „მილანისა“ იყო, მერე კი უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ. ამას რას დააბრალებ?**

— ფრანგული კლუბის უპირატესობა ძირითადად მოედნის შუახაზში გამოიკვეთა. ეს, შეიძლება ჩვენს გადაღლილობას, უხარისხო მოედანს დავაბრალოთ, თუმცა, ფაქტია — მოედნის ცენტრალურ ნაწილს მასპინძლები უკეთ აკონტროლებდნენ. მეორე საკითხია, უპირატესობის სათავისოდ გამოყენება რომ ვერ მოახერხეს. 0:0 ისეთი ანგარიშია, განმეორებით შეხვედრაში ფავორიტად ვერავის დაასახელებ — ყველაფერი „სან-სიროზე“ გაირკვევა.

**— განმეორებით შეხვედრაში „ლიონს“ ლიდერი, ჟუნინიო უბრუნდება?**

— შესაძლოა, მათთვის რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს ამ ფეხბურთელის დაბრუნებას. ჟუნინიო საჯარიმოებს მართლაც კარგად ასრულებს, თორემ ისე მისი ძირითადი ფუნქცია გამთამაშებლობაა. მე უფრო იმაზე გავამახვილებდი ყურადღებას, ფრანგები ტიაგოს რომ მოისაკლისებენ. ეს ფეხბურთელი „ლიონისთვის“ მართლაც ბევრს ნიშნავს და მისი სახით სერიოზული ძალა დააკლდებათ. „მილანის“ ტაქტიკა ყველა მატჩში წარმატების მიღწევაა და ასე იქნება ამჯერადაც. „სან-სიროზე“, საკუთარი გულშემატკივრის წინაშე ვთამაშობთ და იმის გაფიქრებაც კი არავის სურს, რომ შეიძლება ფრანგული ბარიერი ვერ გადავლახოთ.

**— თუ „ლიონს“ გასცდით, „ბენფიკასა“ და „ბარსელონას“ შორის გამარჯვებულს შეხვდებით. ბუნებრივია, ნახევარფინალში გასვლის მეტი შანსი კატალონიურ კლუბს აქვს. „ბარსელონა“ — „მილანის“ შერკინება როგორ წარმოგიდგენია?**

— ვერაფერს გეტყვით. ჯერ ნახევარფინალში გავიდეთ და მაგაზე მერე ვიფიქრებ. ისე, გამორიცხული არ არის, ესპანურ-პორტუგალიურ დაპირისპირებაში გამარჯვება „ბენფიკას“ რომ დარჩეს. თუ შემდგომ ეტაპზე „მილანი“ და „ბარსელონა“ გავა, გულშემატკივარი მართლაც ლამაზი დუელის მომსწრე გახდება.

**— ბევრს ლაპარაკობენ კობიაშვილით „მილანის“ დაინტერესებაზე. შენთვის თუ არის ამ თემაზე რაიმე ცნობილი?**

— ჯერჯერობით, ამ საკითხზე კონკრეტული ლაპარაკი არ ყოფილა. ის კი ვიცი, რომ „შალკედან“ პოულსენის ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია, რაც შეეხება კობის, მასზე ვერაფერს გეტყვით. სეზონის ბოლო ახლოვდება და უამრავი ისეთი ფეხბურთელის გვარი სახელდება, ამა თუ იმ კლუბის თვალთახედვის არეალში რომ არის. ლევანი „მილანში“ თუ აღმოჩნდება, ჩემზე უფრო კმაყოფილი ვინ უნდა დარჩეს? მასთან ერთად უდიდესი სიამოვნებით ვითამაშებდი...

**— ბოლო მატჩში, „მილანის“ რიგებში ვეტერანი, ალესანდრო კოსტაკურტა გამოჩნდა. ასე გაგიჭირდათ?**

— რას იზამ, გაჭირვება მიჩვენეო — ნათქვამია... სტამი დაშავებული გახლდათ, მალდინიც ახალი გამოჯანმრთელებული იყო და კოსტაკურტა ამიტომ ათამაშეს. ისე, გასაკვირი არც არაფერი მომხდარა, ალესანდრო ჯერ ორმოცისაც არ არის(?!)...

**— ბოლო დროს, სერია A-ს უპირობო ლიდერი, ტურინის „იუვენტუსი“ არცთუ შთამბეჭდავად თამაშობს. ეს თქვენთვის ხელსაყრელი კია, მაგრამ როგორ გგონიათ, ტურინული გრანდის კრიზისი დიდხანს გაგრძელდება?**

— „იუვენტუსმა“ მხოლოდ „არსენალთან“ მატჩი კი არ ჩააგდო, იტალიის ჩემპიონატშიც საკმაოდ ცუდად გამოიყურება. გუნდს აშკარად ეტყობა გადაღლილობა, რაც არ უნდა იყოს, მთელმა სეზონმა 13-14 ფეხბურთელის კისერზე გადაიარა და მათ გამძლეობასაც ხომ აქვს საზღვარი? „იუვენტუსი“ ის გუნდი აღარ არის, რაც სეზონის სტარტზე იყო და ტურინელთა კრიზისი ლონდონურმა შეხვედრამაც დაადასტურა. „იუვესთან“ 8-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა, მაშინ, როცა ჩემპიონთა თასისთვის ვიბრძვით, თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ მაინც ბოლომდე ვიომებთ...

# სალუქვაძემ ლიცენზია დაიბევა

ბოლო დროს არცთუ დიდი წარმატებით მოასპარეზე ქართველმა ჩუბინმა, ნინო სალუქვაძემ პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. სალუქვაძემ ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში მიმდინარე მსოფლიო თასზე სპორტული პისტოლეტიდან სროლაში მეოთხე შედეგი აჩვენა. თუმცა, ეს შედეგი ლიცენზიის დასაბევებლად საკმარისი აღმოჩნდა და ქართველ სნაიპერს შეუძლია 2008 წელს მშვიდად დაელოდოს. გუანჩჟოუში პირველ სამ ადგილზე გასულ მსროლელებს პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები კარგა ხნის წინ ჰქონდათ მოპოვებული და ნინოს მეოთხე ადგილი „გამსვლელი“ სწორედ ამიტომ გამოდგა.



ნინო სალუქვაძე აქტიური სპორტის გარდა, საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტიც გახლავთ და იმის მიუხედავად, რომ ბოლო ხანს ძველებურად ველარ ჩუბინობს, ქართველ მსროლელთაგან ყველაზე გამოცდილიცაა და ოლიმპიადაზე ჩვენი მთავარი იმედიც. სასიხარულოა, რომ ჩინეთში მოპოვებული ლიცენზია ნინოს ორივე სახეობაში — როგორც სპორტული, ასევე პნევმატური პისტოლეტიდან მსროლელთა შორის ასპარეზობის უფლებას აძლევს.

# ოთხიდან ოთხი



ზაზა ფაჩულია შეიძლება ითქვას, ჩინებულ სეზონს ატარებს „ატლანტის“ გუნდში და დიდი შანსია, მიმდინარე ჩემპიონატის აღმოჩენადაც დაასახელონ. ეს იმის მიუხედავად, რომ ჩვენებური ბოლო დროს წინანდებურად სტაბილური ველარ არის და შთამბეჭდავ შეხვედრებს უფერულ მატჩებსაც გამოურევს ხოლმე. თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ გადაღლის ბრალია.

გამოსარჩევი შეხვედრა ფაჩულიამ გასულ კვირასაც ჩაატარა. მისმა „ატლანტამ“ „ინდიანა პეისერზს“ უმასპინძლა და ტრადიციულად დაამარცხა. თუმცა ტრადიციაც არ ითქმის — ეს გუნდები მეოთხედ დადგნენ ერთმანეთის პირისპირ და ატლანტელებმა მეოთხედ(!) იმარჯვეს. მასპინძელთაგან ელ ჰარინგტონი და ფაჩულია გამოირჩნენ და ზაზას ორმაგ დუბლამდე მხოლოდ ერთი მოხსნა დააკლდა. საბოლოო ჯამში, მისმა მონაგარმა 17 ქულა, 9 მოხსნა და 4 დაფარება შეადგინა. სამწუხაროდ, იმავეს გამეორება ჩვენებურმა „ნიუ-ჯერსი ნეთსთან“ შეხვედრაში ვერ მოახერხა. ამჯერად მის ანგარიშზე მხოლოდ 8 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი ჩაიწერა.

აქვე საქართველოს ნაკრების კიდევ ერთ წევრზე: „ქართველი ზანგის“ — შემონ უილიამსის „ბარსელონამ“ ევროლიგის მეოთხედფინალს უწია და საფეხბურთო სეხნიების მსგავსად, ისიც მადრიდის „რეალს“ გადაეყარა.

*რუბრიკა მოამზადა რატი შელეგიამ*


პროექტირება
დიზაინი
მშენებლობა
რემონტი
შეკიდული ჭერი

ცხოვრების ახალი სტილი



ნიუ მოდუს ვივენდი

ვაჟა-ფშაველას გამზ. 45
ტელ: 899 23 13 28
899 25 63 14



თმის გადანერგვის კლინიკა
„ჰეალაინ ინტერნეიშნლ“



ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- კონფიდენციალობა, გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრამვისა და დამწვრობის შემდეგ
- თმა ბუნებრივად იზრდება, აღარასდროს ცვივა და იჭრება ჩვეულებრივად
- ფასი იაფი და ხელმისაწვდომი

HAIRLINE INTERNATIONAL

მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული

ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში



ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62
www.hairline.ge

